

K 212 107  
3

၁၆၃၄၂၀  
နာရီလ၊ ၁၉၇၅

ဟန္တတေသုဂ္ဂကြပ်  
မျှ မျှ  
ပန္တ ပန္တပင်  
မျှ မျှ  
လွှာစကောင်



# საქართველოს

## საეკლესიო ისტორია

12 212 3 104

შედგენილი

12 212 107/3

მოხე ჯანაშეილის-მიერ

12 212 108/3

გამოცემა

12 212 109/3

12 212 110/3

„მწყემსი“ ძ. რედაქციისა.

ოფიციალური  
ეჭვთამე სესამის სტატუსი  
1886 წ.





637 (3Γ)

637 3(2r)

ეროვნული  
ბიბლიოთეკი

ამ წიგნის გამოცემაში ღამიარება გაგვიწია „ივერთბანქმა“

© მ. ჯანაშვილი, 1990

0503020906  
— 90 —  
M (605 (06))

ქორეპირატიული ფირმა „აიდი“

## ტინასიტყვაობის მაზისჩად.

---

აქინდელი წეარონი, ოომელინიც უოკელს შეზომელს შეუძლიან მოიშოვოს, საკმაონი არ არიან ასესესნელად იმ კითხვისა, თუ რა გვარი იდუმალი ძალით შეურობილიყო მცირე ესე ერთ ქართლოსიანთა, ოომ ამდენი ხნის განმავლობაში, აზიანს ბაზარისებით გარემოფულმა, არა თუ დაჭირებული დროშა ქრისტიანებისა, ოოგორც ეს მოსალოდნელ იყო, არმელ, ფაქიზად დაცული წარსულთა საუკუნეთ საომარზედ, ღირსეულად გადასცა იგი მე IX-X საუკუნეს.

ჩვენ, შეძლებისამებრ, ამ წიგნის შედგენის დროს, ეს ცდილობდით, სხვათა შორის, მიგვიმცია უკრადლება საქართველოს საპეტესიო ისტორიის განსაკუთრებულ თვისებისათვის, ოომელიც გამოისარგის ქართველთ ღრმა და, თთოვმის, უმაგალითო სიუკრულით ქრისტიანობისადმი და ამისთხმავე სხვათა ხალხთ სარწმუნოებათა და რწმენათა ჰატივის ცემით. ამ თვისებით ქართველი იმ უოკელს ყამსა და კითარებაში მაღლა იღენენ უკულა ხალხებზე, იუკნენ იგინი ბერძენ-რომელნი, თუ სომებ-ურიანი ანუ მაჭმელიანი. უმთავრესად, ეს იუ მიზეზი იმისა, რომ მრავალთა გრიგალ-ქართველთა, მის დღეში შეუწყვეტელთა საქართველოს ცხოვრების ოკეანესა ზედა, ქართველთ მკრდი 15



საქართველოს განმაფლობაში კლდესაკით აქარწყლებ-ანიაკებდა...

უმთავრეს წეაროდ, ამ წიგნის შესადგენად, გვქონდა, რა-  
საკეთო კელია, საქართველოს მატიანე (ქართლის-ცხოვრება და  
საქართველოს სამოთხე); მისგან ხანდის-ხან მოგვევავს ზოგი-  
ერთი ადგილები უცვლელად; სხვა წეარონი, რომლებიდამაც  
აგრძოვე გსარგებლობდით, გვიჩვენებდა თავ-თავის ადგილას  
ტექსტში.

პ. 8. ჭანაშეილი.

7 იანვარს 1886 წ.

ქ. თბილისი.

## გამოჩევლისაზან.

---

პოეტი ქრისტიანისათვის საზოგადოდ და განსაკუთ-  
რებით სამღებელო და საეკულიგიო მოსამსახურეთათვის  
მიუკილებლად საჭიროა იკოდეს იმ ეკლესის ისტორია,  
რომელსაც (ეკლესია) იგი ეკუთვნის. ჩვენში, სამწუხაროდ,  
დღემდის არ მოიპოვება ქართულს ენაზე იმ გვარი გამოცემა,  
რომლითაც შეიძლებოდეს, ბევრად თუ ცოტად, შესწავლა და  
გაგება საქართველოს საეკულესიო ისტორიისა. აი მიზეზი,  
რომელმაც გვაძიულა ჩვენ მივყელო შრომა და ჩვენის სა-  
ფასით გამოგვეცა ეს საეკულესიო ისტორია. სწორი და-  
მფლებული ვართ, რომ ეს გამოცემა სასარგებლო იქმნება  
სამღებელო და საეკულესიო მოსამსახურეთათვის, მოსწავლე-  
თა და ჟურნალისტითათვის.

გამომცემელი, „მწუმარი“-ს რედაქტორი მ. დ. ლაშაშიძე.

---

# ქრისტიანობის გავლენება საქართველოში.

თ ა ვ ი Ⅰ.

ქრისტეს მოცეკველინი.—საქართველოს მოქცევა წილად ხვდა მარიამ დედასა.—ქრისტეს მედიოვად საქართველოს მეფე.—ქრისტიანობის დევნა საქართველოში.

ამაღლების წინად მრისტემ მიჰმართა თეის მოციქულებს შემდეგის სიტყვებით: «წარდევდით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-პსუმდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა»; შემდეგ გაუბედურებისა მოციქულთაგანის მუდასი, რომელმაც 30 კუსტოდა გაპყიდა მართალი სისხლი და მერძე შეინა და შიშვილიბა, დაშთნენ 11 მოციქულნი: «ხეი-მონ, რომელსა ეწოდა პეტრე და ანდრია ძმა მისი, მაკობ ზებედესა და მიანე ძმა მისი, ზილიპპე და ბართლომე, მომა და მატეოს მეზევერე, მაკობ პლუტესი და ლებეოს, რომელსა ეწოდა მადეოს, სეიმონ ქანანელი» (მათ. 10, 2, 3, და 4).

მათ მოციქულთ და აგრეთვე მუდასაც ჯერ მრისტეს ქვეყანაზე მყოფობის დროს მინიჭებული ჰქონდათ ძალა ქრისტიანობის ქადაგებისა და სასწაულთ მოხდენისა: «მიჰსცია მათ ხელმწიფება სულთა ზედა არა წმიდათა, რათა განასხმილენ მათ და განჰკურნებდენ ყოველთა სენთა და უკველთა უძლოურებათა» (მათ. 10, 1).



შაგრამ ეს მოციქულნი მრისტეს ამაღლებადინი შემოვალი შეიძის მოფენამდის მხურეალე მონაწილეობას ან იღებდენ ახალი სჯულის გაერცელებაში, არამედ სულ მუდამ გარს ეწვივნენ თვის ღმერთ-მოძღვრს და მისგან განიმტკიცებოდნენ სჯულის სწავლაში. მეათე დღეს მრისტეს ამაღლების შემდეგ მათ მოეფინათ შეიდა სული «და ალიესნეს ყოველნი სულითა შეიდითა და ოწყეს სიტყვად უცხოთა ენითა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყვად». ამ ნაირის სასწაულის შემდეგ მოციქულთა სხვა-დასხვა ენაზე დაიწყეს ლპარაჟი. ამ დროს ქრისტიანობიში, საცა მოპოდა სული წმიდის მოფენა, იუვნენ სხვა-და-სხვა ტომის და ქვეყნის წარმომადგენელნი:

„პართი და მიღნი, უშიკნი და ელამიტელნი და მკეიდრნი შუა-მდინარისანი, პურიასტანისანი და კაპალუკი-სანი, პონტოსანი და ახიაშვანი» (საქ. 2. 9).

„ზორგვაისანი და პამფულისანი, ეგვიპტისანი და ადგილისა ლიბისანი, კურინით კერძონი და მოსრულნი ჭრომნი, პურიანი და მწირნი» (საქმე 2. 10),

„ერიტელნი და არაბიელნი, გვესმის იტუეიან-რა ჩვე-ნითა ენითა დიდებასა ღმრთისასა» (საქმე 2. 11).

პნეაირად რომ განემტკიცნენ მოციქულნი მაღლითა ღვთისათა, პეტრე გადმოდგა სახლის ბანზე, უქადაგა და განუმრთა იქ შეკრებილთა ხალხთა მათ თვალთა წინაშე მომხდარი სასწაული ესე და იქვე 3,000 კაცმა ირწმუნა შერისტე. ასრე სული შმიდის მოფენის დღესვე დარსდა მყლესია (ქრისტიანთ საზოგადოება.)

მს იყო პირეელი გამარჯვება მოციქულებისა. ამ დღიდებან ისინი განშორდნენ ერთმანეროს და გაემგზავრა



ნენ იმ ქვეყნებისაკენ, რომელთ განათლება წილად ხდათ მასში მიღება  
სული წმიდის მოფენის დღეს.— საქართველოში შემოვიდნენ  
შოცექულნი პნდრია და სიმეონ პანაგელი. პრია  
ჰელაგეს ძრისტეს სჯული იმრეთში (კოლხიდაში) და ზე-  
მო ქართლში სამცხემდის. ხოლო მოციქულმა ბართლო-  
მემ მოიახა საქართველოს აღმოსავლეთის მხარე, რომელ-  
საც მაშინ ერქვა პლანია და აქ დასთესა თესლი პონიე-  
რი და მაცხოვნებელი (იხ. მოთხრობა სოფრონისა გვ.  
397). აქვე უნდა მოვიხსენოთ ის ფაქტი, რომ ამ მოცე-  
ქულთ გარდა საქართველოს განათლება—გაქრისტიანება  
სულის წმიდის მოფენის დროს ხედა ლეთის-მშობელის.  
სტეფანე მთაწმინდელი ამბობს, რომ სულის წმიდის მოფე-  
ნის შემდეგ მოციქულთ განიშრახეს წილის-ურა იმის შე-  
სახებ, თუ ვის რომელი ქვეყანა წილად ხდება, რათა ჰელ-  
ალის სახარება. მაშინ წმიდამან მარიამმა უთხრა მოცე-  
ქულთა: «მეც მიყარეთ თქვენთან წილი: არ მინდა უწი-  
ლოდ დაუშო. დე მეც მერგოს ქვეყნა, რომელსაც მარ-  
გუნებს უფალიო». წილის ყრით მარიამ დედას ერგო მევ-  
რია ანუ იბერია, ესე იგი საქართველო. როდესაც ლეთის-  
მშობელმა დაპირა მეცნიერების გამომგზავრება, ანგელოსი  
გამოცხადა მას და უთხრა: «ნუ განეშორები მეცნიერების  
სა; წილ-ხდომილი შენი ქვეყნა განათლდების მომხეალში;  
შენი მეუფება განემტკიცების იქ \*). (წმ. ცხოვ. 15 მარია-  
მობისთვისა

\* ) მართლაც მარიამი დაშთა იქრუსბლიმში; დოდი წნის შემდეგ  
შეს გამოეცხადა მოავარ-ანგელოსი გამრიცხლი და აუწეა მოახლება მისი  
შიძინებას; სივედილის დღისთვის, მარიამ დედის სურვილისა შეპრ, უფა-

ამნაირად დედასა დეთისასა ვერ მოუხდა ჩვენ შემოსელი ნაში შემოსელა, თუმცა შემდევ არას დროს არ დატოვა-ვებიერთ უზრუნველად და უოველთვის აღმოუჩენია ჩვენ-თეის თეისი დიდებული მფარეველობა და დედობრიეთი სი ყვარელი.

მოციქულები კველანი მხნედ და გულ-მოდგინედ ალ-სრულებდნენ მრისტეს დარიებას და სწავლას. უშიშრად შედიოდნენ წარმართთა ქვექნებში და იტანდნენ კოველ-გვარ ტანჯვას და ჰერაგებდენ. მრისტიანობას ბევრი მტრი ჰყვანდა და პოხიერი თესლი, მოციქულთაგან დათესილი, ძეირად ჰითულობდა იმნაირსავე პოხიერს ნიადაგსა. მრის-ტიანებს წარმართთა აღმოუჩინეს საშინელი ბრძოლა. მრისტიანების ხოცუა-ჟლეტა, ჯვარუმა, ქიოთ ჩაქოლდა, თავის კვეთა და სხვ. გამრავლდა. ჰველა მოციქულები ტანჯულ, ჯვარუმულ იჭინენ; გარდა იოანე ზებედესი, რომელიც ლრმა მოხუცებულებაში აღსრულა.

შართველთაც, სხვათა შორის, იმსხვერპლეს ერთი მოციქულთაგანი—სიმეონ ქანანელი, რომელიც ასაფლავია ნიკაპესში (აფხაზეთში), სიმეონ ქანანელის ეკკლესიაში. ანდრია მოციქულის შესახებ ჩვენი მატიანენი და სხ. მწე-

---

ლმა მოახდინა ისე, რომ უკელა მოციქულები, გარდა თომასი, შეიყარნენ იერუსალიმში და ნახეს ქალწულის მიმინება. მოციქულთა დაასა-ფლავეს გვაში მისი გვთსამანიის ბაღში, მაგრამ მესამე დღეს, როდე-საც მოვიდა თომა მოციქული და მისი თხოვნით ახალეს საფლავი, გვალარათერი იპოვნეს-რა, გარდა ქალწულის სამისლისა. მაშინ ღვარის-მშობელი ანგელოსებით გამოეცხადა მათ და აუწყა თავის აღდგინება შეკდროით.

რალნი მოგვითხრობენ, რომ მოციქული პნდრია ტრავე-ზუნ ტილგან შემოსულა იუერიაში, საცა პირველად უქადა-გნია ქალაქ დიდ-აჭარაში; მემრე ყოფილა იგი ძლარჯეთში, აწყვერში, ცხუმში (სუხუმში), სამეგრელოში, აფხაზეთში და აქედან გადასულა პირიმში და ყელგან შეაი ზღვის გარემოში უკრცელებია ქრისტიანობა. ზარდა ჩვენთა მატიანეთა ამნაირადე ამ მოციქულებზე მოგვითხრობენ სხვა მწერლებიც; მაგალ. ბერძნის მწერალი ნიკიფორე, ნიკიტა პატლაგონელი და სხვანი მოციქულთა ცხოვრების აღმწერელნი (პ. იოანელიანი).

აღნენ შნავთ აგრძეთვე იმ ფაქტს, რომ მოციქულების შემოსელამდე საქართველოში (40 წ.) ქართველთ გვარია-ნად ჰქონდათ გაცნობილი მრისტეს განხორციელება, ქა-დაგება, ტანჯვა, ჯვარცმა და მისი ამაღლება.

მრისტეს მედროვე მეფე საქართველოში იყო შესანი-შნავი ჟარიმანი ანუ პლეტი. პრან იმეფა 2 წლიდამ მრი-სტეს წინ, ეიდრე 10 წ. მრისტეს შემდეგ; როდესაც ური-ანი ჯვარს-აცმიდნენ მაცხოვარსა, მაშინ ყოველის მხრიდგან ურიათა წარმომადგენ ელნი შეიკრიბნენ ქრისტიანობიში. სა-ქართველოს ურიათავან, რომელიც საქართველოში დასა-ხლდნენ ნაბუქოლონისორის დროს, მცხეთიდამ წავიდა ყრმა მლიოზი \*), რომელიც იყო ერთი დასისათავმანი, დაყენებული მრისტეს საფლავის დარაჯვალა, ევითარუ

\*) ოქმ. ბატონ. ამბობს, რომ ელიონი იყო მღვდელი და წი-ნადაც ყოფილია იგი იერუსალიმშით და ფილიპპე მოციქულის კარგი მეცნარი იყოვთ. ამ უქმად იგი პირ-და-პირ მივიდა ფილიპპესთან, რომელმაც გააცნო იგი ქრისტესა (ისტ. გვ. 437).



ჯეარს-აცვეს იგი, განივევეს სამოსელი მისი და განივდეს წილი, რათა აღესრულოს თქმული იგი წინასწარმეტყველისა შიგი, რომელისა იტყვის: «განივევეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართხა ზედა განივდეს წილი» (მათ. 27, 35); პი ეს კვართი შფლისა, რომელიც ქსოვილი იყო ლეთის-შრობლისაგან, ჩეენი მატიანების, ეკკლესიის და სხ. მოწმობით წილად ხედა ჩემნებურს ურის მძლიობში; მან კვართი შფლისა მოიტანა მცხოვაში და გადასცა დასათვისსა სიღონისა, რომელმანც მაგრა გულზე მიიქრა იგი და მყის სული განუტლეა. ამ მოვლენამ თაფ-ზარი დასცა იქ მყოფთა და ყველა მცხეთელთა.

მაგრამ უფრო პით შეშინდნენ მაშინ, რომ კვართი შფლისა ვერაფერით ღონის-ძებით ველარ გამოაცალეს მკვდრს სიღონისა. მლიონზე განიზრახა კვართიანად დის დამარხვა, მაგრამ ბევრი ეცადა და აღვილიდამ ვერ დასძრა. მოუწოდა მრავალთა ხალხთა და ვერც იმათ შესძლეს გვამის აღება. მრავილნენ მეჭის კაცნიც, მაგრამ იმათაც ვერა მოაგვარეს-ხა. შეშინ ეს დიდი საკუთრეულება აცნობეს მეფე პდერეკისა, რომელიც მოვიდა და ბევრი ეცადა, რომ ან კვართი გამოიხსნა სიღონისა გულიდამ, ან ვვამი მისი შეეძრა აღვილიდამ. ბევრი ეცადა და ვერა გააწყორა. მაშინ სოქე (ისტ. თემი. ბატ. გვ. 139:) «იქნო არს ერთი რომელიმე ლმეტოთაგანი და განგებითა ლმეტოთათა მოს-სულ-არს სოფლიდ და საკუთრეულებად ესე მის მიერი არს და, ვვან ემ, ფრიად კეთილ არს ესე ქვეყანისა ამის ჩეენი სათვის და მეცნობისათვისცა ჩემისა, რომელ ნიჭი ესე მოვ-

ვლინა ადგილა ამას შორის სამოთხისა \*) ამის ჩემისა...»  
 იქვე მეფემ დააყენა ყარაულები მლიოზთან ერთად და  
 თვითონ შინ წავიდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ იყო მიწის  
 ძერა, გაიპო ის ადგილი, საცა იღო გამი სიღონისი და  
 კვართინად შთანთქა იგი. პმ მოვლენამ უმეტესად შთა-  
 ბეჭდა ხალხში რწმენა იქსო შრისტეს ღმერთობაზე. შეტრო  
 საკვირველი ის იყო, რომ სწორედ იმ ადგილს, საცა  
 ლეთის განვებით შთანთქა გამი სიღონისი იქსოს კვართი-  
 თურთ, აღმოსცენდა კვაპაროზის ხე. ჩემი ეკვლესის გად-  
 მოცემით ამ კვიპაროზის ხის ტოტებს და ფოთლებს ჰქონ-  
 და სამუშანალო ხასიათი: აფად-მყოფნი, სნეულნი, ფრი-  
 ნეელნი და მხეცნი ტყისანიც კი, ოდესაც შექებოდნენ ამ  
 ხის ტოტებს ანუ ფოთლებსა, მყის განიკურნებოდნენ სნე-  
 ულებისაგან. ამ კვიპაროზს შემდეგ საუკუნოებშიაც არ  
 დაუკარგავს თეისი ძალა და მუდამ სასწაულები მოუხდე-  
 ნია.

ასრე, ჩემ ვხედავთ, რომ საქართველოს ერმა მოცი-  
 ქულების ანდრია და სიმეონ მანანელის შემოსვლამდე  
 კრიგად იცოდა კულაფერი, რაც გადახდა ფარისეველთა  
 მოწყალებით იქსოსა.

მოციქულნი რომ შემოვიდნენ საქართველოში და  
 დაიწყეს ქადაგება, ბევრნი, ძალიან ბევრნი ქრისტიანდებო-  
 დნენ. ამხობდენ კრპებსა და აგებდენ ეკკლესიებსა. მს  
 რომ გაიგო პდერეკი მეფემ განრისხდა უცხო ნათესავთა  
 ზედა მის სამეფოში თავისუფლიად მოქმედებისათვის და

\*) სამოთხე—მტილი, საშეგებლის იმარჩვიდეს სამოთხესა შინა  
 ამის საწუთოსა (ქართ ცხ. გვ. 278).



წყრომით უბრძანა ძლარჯვეთის მრისთავს, — რომელმაც ნების დართო ხალხს სჯული გამოეცვალა მის საერისთაოში — რათა ქრისტიანობა სწორად აღვეილოფა იქაურობიდამ. პლერკის უნდოდა ზეპურიობა მოციქულებისა, მაგრამ ანდრიამ მოასწრო და დროიანათ გავიდა ყირიმში, სიმეონ მანანელი კი, როგორც ზემოთაც ესთვეით, აღესრულა აფხაზეთში. მრისტიანთა დეწა ისეთი სასტიკი და შეუპრალებელი იყო, რომ საქართველოში მაღლ სრულიდან მოისპონ კვალი ქრისტიანობისა (იხ. დრევ. ისტ. ერთ. გვ. 65 — 66 ს. ბარათოვისა).

თუმცა ასრულ სდევნილენ ქრისტიანობას საქართველოში, მაგრამ აქვე მოვიყენოთ ზოგიერთ ცნობებს, რომ მლებიდამაც სჩანს, რომ ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში მრისტეს ჯვარ-ცმიდან მოვიდებული, ვიდრე საქართველოს განმანათლებელის მოციქულთა სწორის ნინამდის არ შეჩერებულა. მწერალი ისრინე და ბარონიც ერთხმად ამტკიცებენ, რომ იმპერატორის ტროიანისაგან პონტუში და ხერსონეში დაწყებდეულ რომის ეპისკოპოსს ძლიმენტის (100 წ. ქ. შემდეგ) თვის სასწაულებით დიდი გავლენა ჰქონდა სკერიელებზე და პოლხიდელებზე, რომელთაც მრავალგან ქრისტიანობა იწამესო. ბგრეთვე რამდენიმე სწის შემდეგ ამისა საქართველოში გამოჩდნ ადგილობრივი ქრისტიანობის მწამებელნიც: პალმი, ეპისკოპოზი პონტისა და მისი შეილი ერეტიკოსი მარკიონი, რომლის მწვალებლობა შეაჩვენეს მე-6 მსოფლიო კურგაზე.

## II.

საუკუნოდ ქრისტიანობის დამყარება საქართველოში ვეუთენის მოცეკვლითა სწორის ნინას. მა იყო ნათესავი მთავარ მოწამის გიორგისა, ასული ერმე მთავრის ზაბულონისა და მეუღლესა მისისა სოსანასი, იერუსალიმის პატრიარქის მობენისას დასწულისა, ტომობით კაბადოკიელი \*). მისი მშობლები იყვნენ უშეილონი და ეთიარეუ მოაკიმე და ანნა, აბრამი და სარა, ზაქარია და მლისაბედი ეველებოდნენ ღმერთსა, რათა დაეხსნა იგინი ბერწობისაგან და მიეკა შეიძლი, რომელსაცა შესწირავდნენ შეფალსა მსახურებლად. მართლაც, როდესაც მიეკათ ნინა, დედამიან მისმან აღთქმისა მებრ აღზარდა იგი გლოხაკთა მსახურებაში. მდეს ნინა შეიქმნა 12 წლისა, იმის მშობლებმა განჭყიდეს თვისი საჩხო-საბადებელი და გაემგზავრნენ იერუსალიმს. აქ დღისას აღარ ყოფილიან ერთად. ზაბულონი ბერად შემდგარა და მიუმართა მოარდანის მხარეს კაცთა ველურთა გასანათლავად; სოსანა იერუსალიმის პატრიარქს დაუნიშნავს გლოხაკთა დედა-კაცთა სანუგეშებლად და გასანათლებლად; მცირე წლოვანი ნინო ანუ ნინა \*\*\*) კი დაშორნილა ტაძარში დეინელ ქალ ნიაფორასთან. ამასა ჰყი-

\* ) წარჩინებული ჩვენი დ. ი. ჩუბინაშვილი, პროფესორად ნამუშით, თავის სტატიაში „ეტნოგრაფიული განხილვა ძეგლთა და ახალითა კაბადოვისა ან ჭინეთის მეცნიერთა მოსახლეთა“ ამტკიცებს, ძეგლი მწერლების დახმარებით, რომ მოუღილი კაპადოკია დასახლებული იყო ქართველთა ტომისაგან, ქსე იგი მეგრელთა და ჭინელისაგან. როგორც წმიდა გიორგი, ისე წმიდა ნინო და 13 წმიდანი (ამათზე შემდეგ) იყვნენ ქართველნიო და როგორც უგველა კაპადოკიელებმა, ისე ამათაც იცოდნენ ქართველი ქნაო.

\*\*) ნინო, ნინა, ნენე, ნინნე ერთი და იგივე სახელწოდებაა. ამ სახელით, ზოგიერთი მწერლების სიტყვით, ჰისირიაში (ეგვიპტე)



თხეიდა და ისწავებდა საჩქმეუნოებას, ქმნილებასა ქრისტესა  
და ენებასა მისა. ხოლო ისმინა რა, რამეთუ კეარი მცხეთელ-  
თაურიათაგან წაღებულ არს, გამოჭკიოთხეიდა ნინა,, სადა არს  
მცხეთა?“ - მიუგო ნიაფორმან: „, არს ქვეყანა ჩრდილოეთისა,  
საწარმართო მთიულეთი...“ ამის დამმარხელი ნინა გულსა  
ზინა ჰმაღლობდა ღმერთსა... ამის შემდევ იერუსალიმში  
მოსულა ერთი სასახლის დედა-კაცი და გაუცრცელებია  
ხმა, რომ იმპერატორის პონსტანტი ძლიორის ცოლს მღვ-  
ნეს ჰსურსო ქრისტიანობის მიღება. ნინა დიდის სიხარუ-  
ლით გამოუცხადებია თავისი სურვილი დედოფლის მოქ-  
ცევისათვის და პატრიარქის ნება-ყოფლობით და კუთხევით  
გამგზავრებულა ახალ რომში, ანუ პონსტანტინოპოლის.  
აქ, დედათ მონასტერში, სცხოვრებლნენ 50-ი მოლო-  
ზანნი და მათ შორის ვიღაც დედოფლალი რიფსიმე და მისი  
დედა—მქუდე ზაიანე. აქ ამათთან ერთად დაუკუია 2 წელიწადი  
და ნათელ-უკია რიფსიმე და ზაიანესათვის და 50 სულთა-  
თვის. რიფსიმე ყოფილა მეტად მშენიერი და წარმართ იმპერა-  
ტორის დიოკლიტიანეს მოუსურებია მისი ცოლად შერთვა.  
მაშინ ყველა ქალებს თავზარ დასცემიათ და აქეთ იქით დაფან-  
ტულან. სხვათა შორის, წმ. ნინო რიფსიმე და ზაიანეთი გა-  
მოპარულა მცირე აზის ქალაქ დეინში და თანამგზავრებთან  
ერთად დასახლებულა საწნახლის ტალავარში. მაგრამ აქაც  
მყუდროება ვერ მოუპოენია. დიოკლეტიანეს ბრძანებით  
მიუგნია მათთვის სომხეთის მეფეს ტირდატს და იმპერა-

---

და სხვაგან იწოდებოდნენ მოლოზანნი, ხოლო შემდეგში ქრისტიანო-  
ბამ საკუთარ სახელად ჰქონდა. წმიდა ნინას მრავალნი მწერალნი ჰქა-  
დან „, უშვები“ . ეფრემ ბერი ქართველი ათონელი მე X საუკუნეში  
დაწვრილებით განმარტებს ნინოს სახელ-დებას (3. ოსელიანი).



ტორის ცოლობის უარ ყოფისა გამო რიცხიმე, ზაინერშეული მომავალი და მრავალნი სხეანი უწვალებია და მაუკლავს, ხოლო წმ.  
ნინო ლეთის განვებით იქვე მიმაღლულა. აქ უშემწეოდ  
დარჩენილ წმიდანს ბევრი ულოცნა და მხურვალედ უვეღრ-  
ნია მარიამ დედისათვის, რათა მას მიეცა ძალა და აღმო-  
ქინა მფარველობა. ლეთის-მშობელიც სიბმარში გამოსცხა-  
დებია ნინოს და უთქვამს მისთვის: „გაემგზავრე ივერიაში,  
დაამკიდრე იქ სახარება და მე ვიქნები შენი შემწე“. მე-  
რე მარიამ დედას ვაჲის ტოლების ჯვარი გადუცია ნინას-  
თვის და უთქვამს: „ეს იქნება შენი შემწე და მფარველი  
ყოველს გაჭირვებაში, ყოველი ხილული და უხილავი  
მტრების წინააღმდეგ. ძალითა მისითა დაამყარებ იქა სიტ-  
უასა ძისა ჩემისასა, შეულისა ჩერებისა შესო ძრისტესა“\*)  
მეუს წმიდანს გამოლეიბებია და თავის ხელში უნახავს სწო-  
რეთ ის ჯვარი, რომელიც ძილში მყოფობის დროს მისცა  
მას დედამან ლეთისამან. ნინოს მეტად გახარებია ამ სას-  
წაულისაგან, შეუკრავს ეს ჯვარი თავისი თმებით და გა-  
მომგზავრებულა საქართველოსკენ. ბევრი უვლია იმას და  
მოსულა იუბილათამდე. საღაცა „დაუსამთრია, გარემოცუ-  
ლი დიდის ჭირით“\*. ზანაფშულზე ისევ გასდგომია გზას  
და ზაფხულს მისულა ზანავრის ტბამდის ჭავახეთში. აქ

\* ) ზოგნი უარ პუნდვნ გაზის ჯვრის მიცემას ნინასთვის და ამ-  
ბობენ: „ხმა ესმა (ნინას) ზეგარდამო, რომელ ეტეოდა: „ვითარმედ  
ესრო იყოს შენიცა წარყენება სასუფველად წინაშე ღვთისა, უამსა  
მას, ოდექ ეგი მეღა, რომელ არს გარემო შენსა, ურველნივე იქნეს  
ვარდის ფურცელ სუნნელი, არამედ აღსდეგ და ვიდოდე ჩრდილოდ  
კერძო, სადა იგი ფრიად არს სამკალი და მშენე ყოვლად არა“ (ქართ-  
ცხოვრ.).

მეთევზებს მისთვის მიუკიათ საჭმელი და უსწავლებიათ  
 მცხეთის გზა. მალე ნინო მტკვრის პირ-პირ მოსულა ქა-  
 ლაქ ურბნისამდის და აქედან ღმერთების თაყვანის მცემ-  
 ლებთან და ვაჭრებთან ერთად გამგზავრებულა მცხეთას და  
 აქ შესდგომია წარმართ ქართველთა მოქცევას და კეშმა-  
 რიტების ნათელით ხალხის განათელის საქმეს. მაგრამ, მი-  
 ნამ ვიტყოდეთ იმაზედ, თუ როგორ შეუდგა ის ამ მეტად  
 მძიმე მოვალეობის აღსრულებას, თეალი უნდა გადავავ-  
 ლოთ სახოგადოდ ხალხოსნობის და კერძოდ საქართვე-  
 ლოს სარწმუნოებრივ მდგომარეობას და აგრეთვე ქრის-  
 ტიანობის დამკიდრებას და გამარჯვებას მსოფლიოში,  
 ვიდრე წმ. ნინოს მოღვაწეობამდის ჩვენ ქვეყანაში.

ხალხი გამრავლდნენ, განიპარენ მოელს მსოფლიო—  
 ში, განუსაყუთრდათ მათ ენანი და დაუწყეს მსახურება  
 მჩესა, მთვარესა, ვარსკვლავთა, ცხოველთა, წყალსა და  
 სხვ., მაგრამ ესეც არ იყმარეს: ოქრო ვეცხლისაგან ჩამო-  
 ასხეს სახენი (კერპნი) თეისთა ღმერთთა, დასდგეს იგინი  
 ტაძრებში \*) და დაუწყეს მათ ვეღრება ანუ მსახურება და მოუ-  
 რანდნენ ხოლმე შესაწირავად, სხეათა შორის, ძეთა კაცთასა.  
 ძართველნიც, როგორც ნოეს-შეილის შეილის შეილთაგან  
 წარმომდგარნი, არ იყვნენ მოკლებულნი კერპთ მსა-  
 ხურებასა. ძველის დროიდგან იგინი დასახლდნენ არა-

\*) იხ. დაბადება XI, I—9. პაპილონის გოდოლის აშენება,  
 ენების შერევა ანუ იაფეტის, სიმის და ქამის ჩამომავალთა ჩრდილო-  
 ეთისკენ, დასავლეთისკენ და სამხრეთისკენ გადასახლება და მრავალთა  
 განსაკუთრებულთა ენათა და ჭრომთა წარმოდგომა ეკუთვნის 3247—  
 2712 წწ. ქრისტუს დაბადების უწინარეს.



რატის და მაცეასიონის მთების შეუ, დაიწყეს მეურნეობა, გვიპლიოთის მუშაკობა და თაყვანის ცემა მრავალთა ღმერთთა. პირველად იგინი თაყვანსა-სცემდნენ ქართველთ წინაპარის მართლოსის საფლავსა, რომელიც იყო პრიმაზში, მცხოვის ახლო გორაზე, მემრე აქვე სხვა და სხვა დროს და აგრეთვე მრავალთა მა- ლალთა მთების წევროვებზე დასდგეს კუპინი და ესავდნენ მათ. უპირველესი ღმერთი ქართველთა იუვნენ: პრიმაზი, ზა- დენი, ბოჩი, ზაი, ზაცი, ანიანი და დანიანი. ბატონიშვი- ლი თემურაზ თავის ისტორიაში (გვერ. 51) ასრე ბლ- წერს კერპსა ბოჩისა: „ესჩნეს შეიდნი ხელნი, რომლი- თაუ ხელმწიფებლა თვითეულითა ხელითა, თვითეულთა უმაღლესთა მათ უოველთა სხვათა მწევრალთაგან შეიდთა მწევრალთა კაცასიისათა და თვითეულსა ხელსა მისსა აქნენ და თვითო ფერი ხელმწიფება: მოუწენად საჩვებლობი- სა, წყალობისა გინა რისხეისა“.

ძერპებს, როგორც ყველგან, ისე ჩვენში, ჰეკანდათ თეისნი მსახურნი ანუ მღვდელნი, რომელთაცა იცნობდ- ნენ ქურუმებად. უოველნი კერპთ მორწმუნენი მოუზანდნენ ხოლმე თავის ღმერთებს მსხვერპლად: სუნნელოვან ყვა- ვილებსა, რძესა, მაწონსა, ნალებსა, თაფლსა, კარაქსა, ყველ- სა, ოქროსა, ვერხლსა და სხვ. უოველი შემოწირული კერპთათეის ქურუმთ უნდა გაეყოთ სამ ნაწილად: პირვე- ლი ნაწილი ერგებოდა ქურუმთა; მეორე ნაწილს დასდებ- დნენ ხოლმე ერთ სასტუმრო ოთახში და უოველნი ღა- რიბ-დატაკნი მლოცველნი მიეიღოდნენ, შეექცეოდნენ, იშვებდნენ, ილტენდნენ და მერმე მიიქცეოდნენ სახლთა თვისთა; მესამე ნაწილს დაურიგებდნენ ხოლმე ტუეთა, ჰურიბილთა და დაურდომილთა. ხოლო ყველა ის, რაც



იყო ძეირფასეული (ოქრო, ვეცხლი, რგალი, ჭურული), მაგრა ეუფენიდა ტაძარისა და ერთა ერთ დაისაკუთრებდა. \*)

ამნაირად ყოველს ხალხს ჰყავნდა თვისწინი ნიერიერინი ღმერთნი და აქენიდათ თვისი კერპთ-მსახურება, ბომონნი და ჰყავდათ ქურუმნი. შეელაზე უფრო ბევრი ღმერთი ჰყავნდათ ბერძნთ, მისირელთ, რომაელთ და სხვათა და სხვათა. ზოგი თაყვანსა სცემდა კატასა (მისირელნი), ღორისა, ზოგი თხასა და სხვა. ამ მდგომარეობაში იყო საჩრდილოება უფლა ხალხებში, ეიდრე შრისტეს მოხველამდე. ხოლო შრისტეს სწავლამ მოხდინა დიდი რელიგიური ცელილება ხალხოსნობის რწმენაში. მრავალგან შეიგნეს მისი კაცის არსების გამაცოცხლებელი და გამაფაქიზებელი საჩრდილოება, დათრებუნებს ბომონნი, კერპნი და მათ ადგილს აღუშენეს ტაძრები ერთ-არსა ღმერთსა ჩეგნსა. მაგრამ ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვება წარმართობაზე იწყობა IV საუკუნის დასაწყისიდამ. 313 წელს რომის მძღვანელმა იმპერატორმა ქახესტანტინ ნება დართო თვისთა ქვეშევრდომთა უშიშრად ელვიარებინათ შრისტე ღმერთი. ამნაირმა ქრისტიანობის წარსახლებამ იმპერატორის შერით ქრისტიანთა წრენი, საზოგადოებანი და ტა-

\*) ისილე , ისტ. დაარს ივერიისა, ე. ი. გომირგისა, რომელ არს სრულიად საქართ. „ქმნილი საქართ. შეაღცამ. მეფ. გომირგის ძის თეიმურაზისაგან. გამოც. ს.-პეტერბურგშ 1848 წელსა. თუმცა თეიმურაზ არ ისხენიებს იმას, რომ ქართველებს შესახირავად. მოკეპვანდათ თვისთი ჩვილინი ყრმანიცა და პირიქით უარ ჰყოფს ამ გვარის მხხევრილს, მაგრამ სხვა მწერალნი დარწენებით ამბობენ, რომ, ვითომ, ქართველებს მართლადაც სცოდნოლესთ ყრმების შეწირვა ღმერთითის და რომ მეფე რევს 200 წლებში ქრისტესით აღუკრძალას ეს უგუნდრი ჩვეულება.



ძარნი განამრავლა; მაგრამ ქრისტიანობა უმეტესად განმტკიცდა ხალხოსნობაში მაშინ, როდესაც ძოსტანტინეს დედამ, მოციქულთა სწორმა მღენემ იპოვნა სწორეთ ის ჯერა, რომელზედაც შემსჭვალული იყო მაცხოვარი ჩე-ნი. მალე მთელს საბერძნეთს, მცირე აზიას, რომს და გა-რემოთა ხმელთა-შეუა ზღვისათა მოყდო ქრისტიანობა. შევლგან ითრგუნებოდნენ კერპი და შენდებოდნენ ეკკ-ლესიანი და ტაძარნი. \*) ამის შემდეგ საქართველოს ერსაც დიდხანს აღარ დაუყენა ურაზმუნობაში: სულ ხეთი წე-ლიწადი, ესე იგი 313 წ. 318 წლამდე. სწორეთ ამ დროს საქართველოს მეფედ იყო მირიანი.

265 წელში მრისტეს აქეთ ვარნაზიანთა — ნებრო-ტიანთა და პრშავენიანთა უკანასკნელ წარმომადგენელი ასეუგური მოკვდა. მას დარჩა მხოლოდ ერთი ასული. მაფან ცასალარმა ყველა ქართველ ერისთვებს და წარჩი-ნებულთ მოუყარა თავი მცხეთაში სათათბირო დ იძის შე სახებ, თუ ვინ დასენა მეფედ საქართველოისა. ამ კრებას მაფანმა მოახსენა: „მოიკლა სპარსოვან დიდი მეფე სომ-ხეთისა; დაპყრობილ იქმნა: პართია, სირია, მიდია და ი-

\*) ქრისტიანობის გამარჯვებისათვის არა მცირე ღვაწლი მრუ-ძღვით შემდეგთა გამოჩენილოთა მეორე და მესამე საუკუნეებში მქადაგე-ბელთა, რომელთაც დაინტერესოდ განაგრძეს მოციქულებისაგან დაწეუ-ბული საქმე: რომის ეპისკოპოს კლიმენტის, შეპყრობილს ტრიანე-საგან კიმერიის ბოსფორში. ამან შავის ზღვის პირებზე ააშენა 70 ეპლენიანი, ამათგან ერთი კალხიდაში; ანტიოქიის ეპისკოპოსს იუსტინე ცამარიელს; პოლიოეპიპოს, სმირნის ეპისკოპოსს, ორინეს, ლიკონის ეპის-ტოპოს; კიპრიანს კართაგენისას და სხ. (ისტ. საქართველო თავ. ბა-რათოვისა, ნაწილი II და III გვერ. 7).



ლია რომი; სპარსთა მეფის განზრახვა არის შეზღუდული მთელი ჩვენი ქვეყანა, დარჩენილი ობლად და არავინ არის ჩვენში იმისი წინააღმდეგომი; გამოვთხოვთ სპარსთა მეფეს საკუთარი ვაჟი ჩვენ მეფედ და შევეხვეწოთ, რომ შერთოს იმას ცოლად ასული ასფაგურისა იმ პირობით, რომ იმისმა შეიღმა აღიაროს სჯული ჩვენი და აღიაროს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა...“ მოსხენებული მეფე სპარსთა იყო მასრე ანუ ხოსრო სასანიდი, რომელიც ისის იყო ასულიყო სპარსეთის ტახტზე. მასრემ წამოიყვანა საქართველოში თვისი ვაჟი, 7 წლის მირიანი, ნაშობი შეეღლისა, შერთო ცოლად ასული ასფაგურ მეფება, დაუმორჩილა მას საქართველო, რანი, მოვაკანი, ჰერეთი, სომხეთი და ყოველნი მთიულნი მავყასიისანი და უბრძანა მირიანს და იმის ლალას მირეანობზე, რათა ებრძოლონ ზაზართა. მირიანს უბრძანა ყოფილიყო ორსავე სჯულსაზედა: „მამათა ჩვენთა ცეცხლის მსახურებასა და თქენთა (ქართველთა) კერპთასა“ დაუტოვა თვისსა ძესა 40,000 შედარი და წარვიდა სპარსეთად.

მცირე წლოვანმა მეფემ დიდად შეიყვარა ქართველნი, ისწავლა ქართული ენა, ზე, ჩვეულებანი, „შეამჟა კურპი და ბომონნი და კეთილად მჟყრა ქუჩუმინი“. 15-ტი წლისას მოუკედა შეულლე და „მოიყვანა მეორე ცოლი საბერძნეთით —პონტით, ასული ულიოტორისა ნანა.“

ბი ამ მდგომარეობაში იყო საქართველო, როდესაც შეცეთაში, როგორც უკვე ესთეჭით, შემოვიდა წმ. ნინო\*)

\*) ესჭეს გარეშეა ის ფაქტი, რომ წმ. ნინო უმაწევილობითვე იყო ქრისტიანობის დიდი მოღწეუნე, მით უმეტეს, რომ მისი სამშობლო იყო

მი დღეს, რა დღესაც ნინო შემოვიდა მცხეთაში, იყო პრ-  
მაზის და ზადენის დღეობა (6 აგვისტოს). მეფე, დედოფა-  
ლი ნანა, ერთ მრავალი, ჩატულნი ფერად-ფერადად, აღი-  
ღებენ არმაზის გორაზე ღმერთების თაყვანის საცემლად.  
ჭ. ნინაც აუგა და ნახა მდგომარე კაცი ერთი სპილენ-  
ძისა, რომელსა „ეცვა ტანსა მისსა ჯაჭვი თქმოისა და  
თავსა მისა ჩაფხუტი თქმოისა, სამხრენი და თვალნი მის-  
ნი იყვნეს ზურმუნტისა და ბივრიტისანი და ეპურა ხმალი ხე-  
ლისა მისსა ელვარე და ბრწყინვალე... და კვალად მარჯვე-  
ნით მისსა სხვა კერპი, სახითა კაცისათა მდგომარე, სახე-  
ლი მისი ზაც და მარტენით მისსა უდგა კაცი ეცხლისა  
და სახელი მისი ზამ.„ შეელანი თაყვანსა სცემდენ ამ  
ღმერთებსა. მას შეიღება ნინო შეძრწუნდა და შევეველრა  
ღმერთსა, რათა სასწაულებრივ განებია გუნდი ეს უმე-  
ტართა. შედრება წმიდანისა შესმენილ იქმნა. ასტყდა საში-  
ნელი ქარიშხალი, ქუჩილი, მოვიდა საშინელი წვიმა; ხალ-  
ხი სწრაფად გაიფარა ქალაქისკენ და სოფლებისკენ; სეტ-  
ყავაშ შემუსრა კერპნი, რომელნიც შთაიბრიენენ კლდეთა

კაპადოკია, რომელშიაც პირველ საუკენეში ქრისტეს შობიდგან იყვნენ  
მრავალნი ქრისტიანები; მესამე და მეოთხე საუკენეში კი აქ არ იპოვე-  
ბოდა არც ერთი კერთმესახური. ამ დროს აქ იყო 50 საეპისკოპოსო სა-  
ყდარი ანუ ეპარქია: კესარიისა, ნისისა, თერმისა, ტიანისა, ციბისტრისა,  
ნაზარეზისა, მელიტინესი და კომანისა და სხ. ჩინებულნი მღვდელ მთავა-  
რნი ამ ადგილისან იყვნენ: ჭ. გრიგოლი, ბასილი კესარიელი,  
გრიგოლ ნისტოლი და სხ. მრავალნი სახელ გათხმულნი და ჩინებულნი  
მწერალნი (იხ. გალინის ისტ. კაპადოკიისა, ცტრაბონი, წიგნი 12. ჭ  
ვ ცტატიაში დ. ი. ჩუბინაშვილისა, ეტნოგრაფ. განხილვა ძაღლოთა და  
ახალოთა კაპადოკიის ან ჭანეთის მევიდრთა მოსახლეები).



ნაპრალთა მათ შინა. მეორე დღეს რომ წარმოადგინა დარ იხილეს თვისნი ღმერთნი, მიზეზად უბედურებისა სცნეს რომელიმე ღმერთი, განჩინებებული მათზე.

მესამე დღეს წავიდა ნინო მცხეთაში; აქ მეფის ბალის ახლოს გაიკეთა მაყულის ქახი, შიგ დაასევნა ვაჭის ჯვარი, დაიწყო ლოცვა და ქადაგება. პირველად მან მოაქცია მრისტეს სჯულზე მეფის მებალე ცოლით, ურისის მღვდელი აბიათარი და ასული მისი სიღონია და სხევნი ექვსნი კუნი; აგრეთვე განუკურნა მეფეს დიდი ხნის სნეული მეულელ-ნანა. ამ ნაირად ქადაგებდა ნინო მრისტეს სჯულსა 3 წლის განმავლობაში და ბოლოს 318 წელსა მისმა სწავლა-ქადაგებამ მირიანიც შეიპყრო და მანაც ისურგა ქრისტიანობის მიღება. შპ. ნინოს რჩევით მეფემ იმპერატორის პოსტუმტინეს აცნობა თვისი გარდაწყვეტილება და სთხოვა მღვდლები და ეპისკოპოსი. მმკრატორი და დედა მისი მღვენე აღიერებენ სიხარულითა დიდითა და „წარმოუკლინა ჯეარი და ხატი მაცხოვერისა, მიოანე ეპისკოპოსი, მღვდლინი თონი და დიაკონი სამი, ფიცარი ფერხისა უფლისა და ამსჭვალი და მოუკზაენა ეკკლესის მაშენებელი მჩაგალი“. რამწამს სამღვდელო პირთა მოაწიეს მცხეთას, მეფე მირიანშა შეჰქანა თვისნი ქვეშეგრდომნი და მტკურაში მოანთლა. შრიათაგან განათლენენ მხოლოდ 50 პირნი, ჩამომავალნა აეაზავის ბარაპასი, რომელთაც ამის გამო მეფემ უბოძა დაპა ციხე-დიდი.

### III

მეფის ბალში მცხეთაში იდგა დიდი კვიპაროზის ანუ ნაძეის ხე. მეფემ ნინოს რჩევით მოჰკეთა ეს ნაძეი და მისი ტოტები იხმარა ეკულესის სვეტებად. მკულე'ის აშენების დროს მოხდა სასწაული. ნაძეის ექვსი სვეტი რომ დასადგე ეკულესისათვის, მაშინ მეშეიდე სვეტად ნაძეის ღერი უნდა დაედგათ, მაგრამ ვერას გზით ვერ შესძლეს მისი ადგილიდამ დაძრა, ვიღრე ციდამ ან გველოზები არ ჩამოვიდნენ და არ მოაგდარეს საქმე. ამავე დროს ნინომ ადგილობრივ გაიგო, რომ კვართი შეფლისა ჰმარხია მცხეთაში; ზემოხსენებულმა სასწაულმა კიდევ ყველის აფიქრებინა, რომ კვართი უკეთელად უნდა ყოფილიყო მოკვეთილ ნაძეის ხის ქვეშ.<sup>1)</sup> მაგრამ ნაძეს სიღოდა მიზრნი და ჰუსტონებიდან სწორი საწყისი იყო. ასრე აშენეს პირველი ტაძარი საქართველოში. დაასდა მაშინ სამწყსო, ანუ ეკულესია შეფლისა

1) არც ერთგან ისტორიაში ჩემი არ აღმოგვითხავს, თუ რომ მეფის, ან რა დროს პოენილ და მიწიდამ აძლევაულ იქმნა ისეთი დიდი საუნჯე შეძლებისათვის, როგორც არის კვართი უფლისა იქსი ქრისტესი. მხოლოდ უველავი დარწმუნებულნი არიან (იხ. სეინაქარი 10 ივნისისა), რომ კვართი პოენის უებღებ, სულ მცდამ ინახებოდა მცხეთის სამთავრო ტაძარში და ხან იდო გვადრუცმუ, ხან ჯვარში (კვართზე დაწერილებითი ცნობები თავის აღგილას იწევს).



ჩევნისა და დაწესდა სასულიერო წოდება, რომელიც მომზადებული იყო და დაწესდა სულ მთლიად შესღებოდა ბერძნთაგან. მცხეთის ტაძარი, აღშენებული მაცხოვერის სახსრად, ხსენებული სევტის გამო დღესაც იწოდება სევტი-ცხოველად. თქმულება არის, რომ იმ მეშვიდე სევტის, რომელიც ახლაც იმყოფება მცხეთის ტაძარში, სულ მუდამ სდიოდა მ-რონიო.

ნაძერის ხილამ კიდევ გააკეთეს სხვა ჯვრებიც, რომელთაგან ერთი დასგებს მცხეთის პირ და-პირ, არაგვის გაღმა გორაკე, იქ, სადაც ეხლა ჯვრის ეკულესია; <sup>1)</sup> მეორე — უჯარმაში, <sup>2)</sup> მესამე — თხოთის გორაზე <sup>3)</sup> და მეოთხე სოფ. ბოდბეში.

<sup>1)</sup> ეს ეკულესია ლევთაგან გათხრდა 1787 წ. და აშ ჰერიკ ცალიერად პირის-პირ მცხეთისა, არაგვის მდინარის გაღმა გორაზე. ეკულესია იწოდება აგრძელებულ ჯაჭვის ეკულესიად, თუმცელია არის, რომელ ჯვარის ტაძრიდამ მცხეთის სობორიშე მაღლა ჰაერში გამცელი იყო ჯაჭვი. ჯვრის ტაძარში მცხოვრები წმ. ბერი ამ ჯაჭვები გადადიოდა მცხეთაში საზრდოს გადმოსატანად. ერთხელ გადამგაბლმა პერმა გულში ცოდვა გაიგლო, ჯაჭვი გაუწყდა და ოვით ჩამოვარდა აღელგებულ მდინარის ზეიროვნებში.

<sup>2)</sup> უჯარმა ამ დროს დიდი და მრავალ მცხოვრებლებიანი ქალაქი იყო. ეხლა უძრავო სოფელია. მდებარებს გარეთ-კახეთში (კუხეთში).

<sup>3)</sup> თხოთი ის ადგილია, საცა მეფე მირიანმა გადასწუვიტა გაქრისტიანება და განათვლა. ამ ადგილას, როგორც გადმოგვცემს დუგენდა, მირიანი ნადირობდა. მან მოელო სანახები მეტრანისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მაღალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლის ციხედა. განვიდა თხემსა მთისასა, დაუპნელდა მათ ზედა მზე და იქმნა გითარცა დამე ბნელი უკუნია. მეფემ ბევრი ევედრა თავის ღმერთობისა, მაგრამ ამაზე: შეელა არ საიდამ იყო. მაშინ სიქვა მან: „აღმერთო ნინი, განმინათლე ბნელი ეს და აღვიარო სახელი შე-



შემდევ ამისა მეფე და ნინო შეუდგნენ ბრძნებს ქრისტიანობის გასაცრცელებლად სამეფოს შორეულ პუ-  
თხეებშიაც. როგორც სჩანს საეკლესიო მატიანეთაგან, ჭართალელნი, შხოველნი, ზუდამაყრელნი და სხვანი მთი-  
ულნი არ განათლულან მცხეთაში მეფესთან და სხვა ქა-  
რთველებთან ერთად. პი ამათ მოსაქცევად და კავკასიო-  
ნის ანელს ღელე-ყურეში ქრისტიანობის დასაწერგავად გა-  
მგზავრებულა იგივ წმიდანი.

„აწ უკვე, საყვარელნო ჩემი, იყლოოდეთ კერპო-  
შსახურებისაგა“ (პარინთ. მპისტ. წმ. მოც. პავლესი ო.  
10. 14). მოღვა თქვენი კერპების დასამხობად საკირვე-  
ლი დელა-კაცი ეს ნინო. მართლაც ნინო ეპისკოპოსით  
ითანეთი, მეფით, ერთი მრისთავით და სხვ. წავიდა შორ-  
ბანსა, მოუწოდა ჭართალელთა, შხოველთა, ზუდა მაყრე-  
ლთა და უქადაგა „შვარი ქრისტიანეთა, კეშმარიტი, მი-  
მყანებელი ცხოვრებად საუკუნოდ“. მაგრამ შხოველთა  
და ზოგიერთ სხვა მთიულთ არ მოუნდომნიათ ქრისტიანო-  
ბის მიღება და როდესაც მეფეს ამის გამო დაუმხია მათი  
კერპები, მაშინ ივინი გადასახლებულან თუშეთში: ნინო  
და მისი ამალა წამოსულა მრწიო თიანეთში, უქადაგნია მათ-  
თების ქრისტიანობა და მათაც მიუღიათ. პქედგან ნინოს  
მოუსურებია გამგზავრება რანს, მოსაქცევად მეფეს მირია-  
ნის სიძის შეროზისა, მაგრამ ოდესც მიუწერნია სოფ. ბო-  
დემდის, დაუძლეურებულა და ამიტომ იქვე დაშვენი-

ნი, აღმართო ძელი ჯვარისა და თაყვანი გსუე მას და აღვაშენო სა-  
ხლი სალოცველად ჩემდა და ვიუო მორჩილ ნინასა სჯულსა ზედა  
რომთასა“. ასრეც მოჰქდა. (თეიშერ. გვ. 258).



ლა და იქიდგან დაუწყება ქადაგება სჯულისა შორცესსა  
და წარმართი ხალხი მახეთ-პერეთისა უნათლია ნათლითა  
კეშმარიტითა „და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ-იღეს  
ლრუბლითა მით და ზღვითა“ (პორ. მპისტ. წმ. მოც. პავ. 10, 2). მაგრამ დილ-ხანს აღარ გაფრიძელდა ფამი მოლგა-  
წეობისა წმიდისა ამის ნეტარისა დედისა ჩევნისა ნინასი.  
იგი ძრიელ დასწეულდა. მაშინ მოვიდნ მისა მეფის ძე  
რევი <sup>1)</sup> და მეუღლე მისი სალომე, აგრეთვე ეპისკოპოსი  
მოანე და უველამ მოინდომეს „წარმოყენებად წმიდისა  
ნინოსი მცხეთად, ხოლო წმიდა ნინო არა ერჩიდა. მაშინ  
წარვიდა თვით მეფე და სიმრავლე ერთს ძლიერისა და მი-  
ვიდეს მისთანა და შეჰქრიბა სიმრავლე ერთა და ჰქედეიდა  
ყოველი იგი ერთ პირსა ნინოსა, ვითარცა ზეცისა ანგე-  
ლოზისა და მოსწყვედდინ ფესვსა სამოსლისა მისისასა,  
მიიღებდეს და ემთხვეოდეს სარწმუნოებით. და ისტულებით  
ეველრებოდეს ყოველნი დედოფალნი გარემოს მსხვილი,  
რომელთა მოზღვოდეს ცრემლნი თვალთაგან მათდა გან-  
შორებისათვის მოძღვრისა მის და მოლგაწისა და სწეულთა  
შეურნალისა ხელოვანისა“ (ბატონიშ. თემ. ისტ. გვ. 270).

უკანასკნელ წარებში თვისის სოფლად ცხოვრებისა,  
წმიდასა ნინოს, თხოვნისა მებრ დედოფლისა სალომე  
შეჯარმელისა და ჰქროე პერისეანელია უამბნია თვისი წა-  
რსული თავგარდასავალი ანუ, უკეთ ესთქვათ, თვისი ბი-  
ოგრაფია. „იწყო სიტყვად წმ. ნინომ და იგინი (სალომე

<sup>1)</sup> რევი იყო ძე მირიანისა. მას ცოდნად ჰუვანდა სალომე, რო-  
მელმაც აღწერა წმ. ნინას ცხოვრება და თავ გარდასავალი. რევი  
სცხოვრებდა უჯარმაში და განაგებდა კახეთსა და მის მიდამოსა.



უჯარმელი და ჰეროვ პერისეანელი) ცერლეს და წარმო უსაზღვრელი უთხრა ყოველი, რომელი ზემოთ დავსწერეთ ცხოვრება მის წმიდანისა „და ნეტარისა“ (ივე გვ. 271). შემდეგ ეპისკოპოსმა მოანემ შესწირა უსისხლო მსვერპლი და აჩიარა წმ. ნინო ხორცა და სისხლა მრისტესა. წმიდამან ნინომ დრმა მოხუცებულებაში (67 წ.) განუტევა სული თვისი დასაბამითგან სოფლისა 5834 წ., 329 წ. ძრისტე-სით, ქართლად მოსელით მისითვე 25 წელსა. წმიდა გვა-მი მისი, მისივე ანდერძის ძალით, დამარხეს იქვე პოდბეში, იქ, საცა ეხლა წმ. ნინას კულესია, რომელიც ამ ბოლო დრომდის იყო სამიტროპოლიტო ტაძრად. <sup>1)</sup>

შემდგომად ნინოს დასაფლავებისა, მეფე მირიანს მო-უკლია ჰერეთი, ქართლი და მთელი თვისი სამეფო, თით-ქმის ყველგან განუმტკიცებას ხალხი საჩრმუნოებასა ზედა სამებისა ერთ არსებისა დეთისასა.

თქმულება არის, მერე საფუძვლიანი, რომელ ესე მირიან წასულიყოს ძოსტანტინოპოლის და ეხილოს დიდი იმპერატორი რომისა და საბერძნეთისა ძოსტანტინე, რო-მელსაც დიდის პატივის ცემით მოულია მეფე. პქედ-ვნ მირიანი გამგზავრებულა იერუსალიმიდ და უშოვნია

1) პირველი ქვეის ტაბარი ნინას საფლავზე ააგო მირიანის ძემ პაქარმა. ეს ტაბარი განხალუებულ იქმნა მიტროპოლიტის იოანესაგან (1837 წ.) აქაური მიტროპოლიტის სამწყსო იუ ქიზიუი კონდოლამდის და გაენივე (მიტროპოლიტინი) გვირგვინისან ჰუთიფენ ხოლმე კარეთის მეფეთა (შევ. გრ. ც. მ. Ioc. გვ. 47, შევიზვა 29). წმ. ნინო მოცი-ჭულთა სწორად აღვიარებულ იქმნა ჩენი კუკლესისაგან და მის დღე-დაად დაინიშნა 14 იანვარი, დღე აღსრულებისა მისისავე. საგალობელი კ შეუდგინეს მე IV ხაუ. გასულს.



ქართველთა ჯგარის მონასტრის ადგილი. მს ის წარმოშობული კარგი „საღაცა ლოთმან, ძმის-წულმან აბრამისამან, დანერგა სამი მუგუზი ერთად და სასწაულითა აღინძარდნეს იგინი ქართხელ, რომლითა დაწმუნებულ იქმნა ლოთ, რომელ მიერევების მას ცოდეანი მისწი. შევირის მონასტრის ტრაპეზი სდგას ძირისა ზედა ლოთის ხისასა. ძირი იგი ხისა მის აქმამდე იხილების ქვეშე წმიდისა ტრაპეზია“<sup>2)</sup>. მირიან მეფის დროსვე დაწყებულა იერუსალიმში ქართველთა ჯგარის ეკკლესია. პირველად იგი ყოფილა მცირე, მემრე მეფეებს გაუდიდებიათ, გაუმშევნიერებიათ და უჩუქებიათ მისთვის დიდი მამულები საქართველოში.

როდესაც მირიანი დაბრუნდა საქართველოში და სცნო თვისი უფროსი ძის ოევის, მახეთის შმართველის, გარდაცვალება. მან ეს შხარეც შეუერთა თვისისა სამეფოს და მალე თვითონაც აღესრულა (342 წელს.)<sup>3)</sup>. ზამეფიდა ძორუან ტინესთან მზევლად მყოფი მეფის ძე ბაქარი.

2) მირიანს დიდია, ჭრჩეულს სხვას ვისმე დავითს, ამად გითარმედ, იყნეს უმდლეს უმნესნი, შეფერი პირველ სხვა და სხვათაგანს ტომთა, პატრა არა სონდეს მონად თვისად უფალისა. ~ ეშვებამეის შესხმა მიცემად ქებით.

სხვა სავლე იქმნა, მირიან რჩეულ წმინდა, გვერდი სიბრძით განგებით შთაჭრილ-ცრქით ამით ტყვისაგან, თავისუფალ ტყევობის, მცნობელი და მსწრაფლად განლვიერებული ღვთისად, შრომი შესრი ქრისტეს აღმმართები ჯვარის.

ესე არს პირველ და დასაბამ მეფეთა, ჟეთილ-შახურთა, გინ მოიმადლა ნიშად, ქრისტეს სახელის და მის შორისებათ.



ბაქარს მამაზე მცირე ღვაწლი არ მიუძღვის ჩენჭიშულითია ხალხის წინაშე. იგი მხურვალედ შეუდგა ქრისტიანობის გაერცელების საქმეს და აგრეთვე ხალხის განათლებისას. მან საბერძნეთიდან გამოიწერა განათლებულნი პირნი და თავის სამეფოს ყოველი კუთხისკენ გაგზავნა იგინი საქადაგებ-ლად ქრისტიანობისა. მის დროს მოიკუნენ წარმართობიდამ ხევ-სურნი, აფხაზნი და მრავალნი სხვა მთიულნი. მრისტიანო-ბის მკეიდრად დასამყარებლად ამავე მეფემ ააშენა მრავალი ტაძრები და დაწესა საეპისკოპოსო კათედრანი სხვა-და-სხვა აღგიღლას, მაგ. წილკანში, საცა ააგო წილქის ლეთის-შმობლის მშევნიერი ეკკლესია და აგრეთვე სხვაგან. ბაქა-რმავე ეკკლესიებში შემოილო ქართული წირვა-ლოცვა და გალობაცა, მიმსგაესებული ბერძნულის ხმისა. ბაქარი ყო-ველ გვარ ღონისძიებას ხმირობდა, რათა ქართული ეკკლე-სია დაეყუნებინა სამშობლო ნიადაგზე. ამიტომ იგი ცდი-ლობდა, რომ ხალხში გაერცელებინა განათლება და ამ-ნარიად მოემზადებინა მამულისა და ეკკლესიისათვის მოსა-მსახურე პირნი. ამის მიზანით მან მრავალგან დააარსა სკო-ლები, საცა სჯულისა და სხვა საგანთა გარდა ასწავლიდ-ნენ აგრეთვე ბერძნები და ასირიულ ენათა. ჩვენს ენა-ზე გადმოათარებინა ბერძნი სამღეთო წიგნები. მაგრამ სი-კვდილმა აღარ დააცალა ბრძნენსა და განათლებულსა ამა-

წინაშელგარ ექმნა, ღვთისა მიმართ ქართველთა,  
ხოლო გვირგვინი მიიღო მოცეკვედით.

(ა. წელი სიტყვების. მუხ. 549, 550 და 551)  
მარიან ჭავარისა მცხეთის ტაძარში, მისი სახე კი გამოხატულია იურ-სალომის ქართველთა ჯვარის მრასტრის კედელზე.



მეფეს განვითარება ჩინებულისა სამსახურისა მაშტალისათვის.  
იგი აღესრულა 364 წელს.

მავე წელს მეფეობა მიიღო მისმა შეიღმა მიზარდა  
III, ოომელიც აგრეთვე მუყაითად შეუდგა ქრისტიანობის  
საქმეს. მის დროს სამწყსოს განვევებდა მთავარ-ეპისკოპოსი  
იაკობი. შემდეგ იობი. მიზარდა მთავარი კლარჯე-  
თის და ჯავახეთის მცხოვრებნი ქართველნი და მციდრად  
დანერგა იქ ქრისტიანობა. იმერეთში ააფი მშენიერი ხო-  
ნის სობორო, ოომელსაც განუწესა ეპისკოპოსი. აგრეთვე  
სხვა-და-სხვა აღიღლას ააშენებინა მრავალი ეკკლესიები. მის  
მეფობის განმავლობაში (364—379 წ.) საქართველოს  
ეკკლესია სტუბებოდა მშეიღობიანობითა და წარმატებაში  
წედიოდა.

---

## IV.

შრისტიანობის და ამასთანავე საქართველოს მშევ-  
 დობიანობა ცოტათი შეფერხდა მირდატის ძის მარაზ-ბაქა-  
 რის დროს (379—394 წ.) სპარსელნი, რომელთაც დიდად  
 არ ესიმიუნებოდათ შრისტიანობის გავრცელება საქართვე-  
 ლოში, შემოვიდნენ ჩვენ ქეყუნაში, აიღეს არანი, სომხი-  
 თი და დადგნენ იქ, საცა თბილისია; აქ გორაზე, წინააღ-  
 მდევ ქართველთა, ააგეს «შურის ციხე» და დაუწეუს ქრი-  
 სტიანებს დევნა და წევალება. მარაზ-ბაქარი იძულებული  
 შეიქმნა შერიგებოდა მტერს და დაეთმო მისთვის არანი,  
 აღმოსავლეთი ნაწილი საქართველოისა და ეძლია ხარეი. ბერძენთა იმპერატორმა არ მოუწონა გარაზ ბაქარს ამნაი-  
 რი სამარცხევინო საქციელი და აუჯანდა ძლარჯეთი ბასია-  
 ნი მდის და იქ მშართველად დასეა საქრომათი. ამავე დროს  
 სპარსელთაც გამოუცხადეს ომი ქართველებსა; ამის მიზე-  
 ზად შეიქმნა ქართველთ გპისკოპოსი აკლი, რომელმაც თა-  
 ვის სამწყსაში—სპარსეთში გადასწეა წარმართთა ტაძარი. სპარსელთ ჯარებმა დაიწყეს რბევა საქართველოს განპირა  
 მხარეებისა (იხ. ჟუმარ. ფაქტ. ერა. ც. 52, წიგ. თ. 3. ბარათავეისა). ამ ომების დასრულებამდის  
 მოკუდა ჩვენი მეუე და გამეფდა ტირდატი, რომელიც ცუ-  
 ლობდა დაეშეიდებინა თეისი სამეფო. მთავარ-ეპისკოპო-



სის ილიას შემწეობით მშვიდობინობა დამკარეფულ გვიჩა? სპარსელთ დაინარჩუნეს რანი და მოვაკანი, ბერძნოთ ძლა-რჯეთი <sup>1)</sup>). ბამეფებულმა ზარსმანმა (405—408 წ.) დაი-წყო დანგრეული ეკულესიების განახლება და ახლების ავე-ბა, მაგრამ მაღლ მოკვდა და მეცნიერის ტახტა ზედა აღვი-და მტერი ქრისტიანობისა და უნნეო მეფე მირდატი IV (408—410 წ.). მან უარ-ჰყო სჯული თვისის ხალხისა და მოინდომა წვალება ქრისტიანებისა. მაგრამ სპარსელებმა აღარ აცალეს. ხარკის მიუცემლობისა გამო ქართველებზე განძინებულნი მცერნი შემოვიდნენ საქართველოში, ალ-ობრეს იგი, დამხეს ყველა ყველესიები და მათ წილ და-სდგეს კერპნი. ხალხი სამღვდელო პირებით ურთ, შეინჩნა მთებში და კახეთის ხევში. თვით მეფე დაატყვევეს, გაგზა-ვნეს ბალდალში და იქვე მოკვდა. საქართველო, უმეოდ დაშორებილი, ჩაერდა საშინელ მდგომარეობაში, მშველე-

1) ბერძნოთ იმპერატორმა თეოდოსი მცირებ ჩევნ მეფეს მეცნიელად გამოსთხოვა შეილი მურვანის (12 წლისა), რომელმაც მცირედთა კამთა დაისწავლა უველივე წერილი, ენა ბერძნული და უველივე სწავლუ-ლებს საცეკვესით და საფილოსოფოსით და აგრძელებ ენა ასურებრივი. პეტრე (მონაზონობის სახელი) იყო, ამბობს მიხეილ სირიელი, მე საქა-რთველოს მეფისა, მძეგლად შემოუვანილი კოსტანტინეპოლიში და, რო-დესაც აქ იმან შეისწავლა საღმო წერილი, შეუდგა მკაცრ მონაზო-ნების ცხოველებას და სახელ-განითევა დიდად; პეტრემ თავის სურვი-ლის წინააღმდეგ, მიიღო მღვდელ-მონაზონობა და შეიქმნა არზი-პის-კოპისი პალესტინისა. იმის საკათედრო ადგილი იყო გაზი და ისე იყო იგი განვითარებული, რომ არავის შექძლა იმასთან გაასხიბა. ამ წმინდა კაცს ჰუგანდა მოწავედ განსწავლებითაგნი მონაზონი ითანე, რომელმაც სწერა მრავალი. პეტრეს მიმუეგლია პალესტინა და აქ აუშენებია რამოდენიმე მონასტერი, სასწავლო და სასტუმრო. გარდა-



ლი ჩვენი ქვეყნისა გამოაჩნდა აյ მირდატისა პატილი. მა-  
შეფებისევე უმაღლ (410—434) გონიერმა ამა მეფემ შეირთო  
ცოლად ბერძნთა ხელმწიფოს ასული მარიამა, <sup>1)</sup> რათა  
უნებელად ყოფილიყო ბერძნთაგან. შემდევ შეუდგა სა-  
რწმუნოების აღდგენას. მათ განდევნა ცეცხლ-თაყვანის  
მცემელნი; დაახლო კურპნი და ბომონნი და ხელ-ახლა ააფო  
ტაძრები; სხვათა შორის წმ. სტეფანესი ქ. მცხეთაში. ბან-  
დევნილნი ქურუმი საჩიტრით მიიქცნენ წინაშე არანის და  
აღიზბექანის მმართველის ბარჩაბოლისა და სოხოვეს შეელა  
და დასჯა პატილისა. ღიღმალის სპარსთა ჯარით ეს საში-  
ნელი მცერი შემოედრა საქართველოში, მაგრამ ძალოვა-  
ნის ჩვენის მეფის პატილისაგან იქლია და განდევნილ  
იქმნა არანამდის, რომლის მცხოვრებთაგან მრავალნი  
შეიცყრო პატილმა, ტუვე ჰყო და დიდის ალათით უკ-მოი-  
კრა და იღლესასწაულა თვისი გამარჯვება. და ეს გამარ-  
ჯვება მცერთა ზედა მიაწერა ძალას მრია-ტესსა.

ამავე დროს საქართველოს მთავარ-ეპისკოპოსად იყო  
სპარსელი მოიციდანი, რომელიც მხოლოდ გარეგნობით  
ქრისტიანობდა, თორემ ნამდვილად კი იყო მცერი ამ

ცვლილა პრწყინვალუ მოლვაწეობით სახელ განთქმული ნი წლისა ზე-  
ნონ იმპერატორის დროს (474—491) და დაფლულა დიდითა დიდე-  
ბითა მონასტერისა ქართველთასა ფლესალიმს. ვრცელი ბირებაფია მი-  
სი აღწერია სირიულად მისავე მოწავეს ზაქარია ქართველს და ქარ-  
თულად უთარგმნია მღვდელის მაკარის (იხ. ისტ. განუშტისა, გვერდ.  
80—81, შენიშვნა დ. ზ. ბაქრაძისა.)

<sup>1)</sup> მარიამი და მისი რძალი სანდეგტა (გაქრისტიანებული) მუ-  
ტად ღვთისნიერნი იყვნენ. მათ თანამდებობით და შემწეობით პირველად გა-  
დმოიდეს ქართულად სახარება, სამოციქულო და სხვა წიგნები.



სჯულისა. მს ცრუ მღვდელ-მთავარი უარ-ჰყოფდა ზოგიერთი ერთ ქრისტიანულ წესებს და შემოპერანდა არიოზის<sup>1)</sup> მწევალებლობა, რომელიც იმპერიატორის ვალენტის მფარ-ველობით ედებოდა მთელს აღმოსავლეთს. ზარდა ამისა ღირსეულ და ზედ-მიწევნით ქრისტიანობის მკოდნე მღვდელებს და ეპსკოპოსებს სცელიდა და მათ მაგიტ ამწესებდა თა-ეს სწავლის მაღვიარებელ პირებს. თუმცა დიდის სიფრ-თხილით ურევდა ღვარძლსა ნიკეის მსოფლიო კრებისაგან აღვიარებულ და დამტკიცებულ ქრისტიანებრივს წესებში, მაგრამ მაინც კერძო გადურჩა მეფის პრიილის სამართალს. პრიილის პრიანებით მოპერა კრება ეპისკოპოსებისა მცხე-თაში. ამ კრებაზე დაესწრნენ ეპისკოპოსნი: წილკისა, მცხეთისა, ნეკრესისა, რუისისა, ხონისა და სხ. კრებამ მო-ბიდანის სწავლა იცნო წინააღმდეგად ქრისტიანებრივის სწავლისა, განაუყნა მთავარ-ეპისკოპოსობიდამ მობიდანი და განაცევა სამშობლოდამ. ამ დროს ძოსტანტინოპო-ლის საპატიოარქო ტახტზე იჯდა არიოზის მწევალებლობის გომხრე ნესტორი, რომელსაც მობიდანისთვის შეეძლო მცხეთის კათედრა დაებრუნებინა, თუ მესამე მსოფლიო კრებას მცესში<sup>2)</sup> პოლო არ მოელო ნესტორისა, მისის

თორინიკეს ათორმეტი ათასი მხედარი ყოვლითა და სამხედრო და გამოცდილნი გულოვანნი”; ამ ჯარით „წარემართა თორინიკე მტერთა ზედა და მეოტყუნა იგინი, ალილო დიდ-დიდი ქალაქი და ციხენი მტკიცენი; დიდისა სიმხნითა თეისითა შემუსრნა, აოტა სკლეაროსი და ვიზერ სპარსეთამდე მეოფად წარაქცია<sup>1)</sup>). შესრეთნი სახელოვანნი საქმენი ჰქმნეს მაშინ ქართველთა, რომელ ყოველნი გარემონი მტერნი ძრწოდეს მათგან“. შემდეგ მატრანე განავრმობს, რომ რაც რამ ნატყვენავი იშოვნა თორინიკემ ბრძოლის ველზე აყვლა დედოფალმა მისუა თორინიკესა და ითანეს და აგრეთვე ყოველნი განდღომილნი მთავარნი საბერძნეთისანი „მოილებდენ თეისთა სიმდიდრეთა და მისცემდენ მათ და ესენი ეველჩნეს დედოფალსა და განტევებულ იქმნეს“. შემდგომად „დიდისა ნიჭითა მიიქცინეს მთა წმიდალე და შეიმოსა კუალად თორინიკე მონაზონებასა.“

მართველთა ამ ალაცით დაუწყეით ალშენება მთაწმიდაზე მონასტრისა: ჰქმნეს ტაძარი პატიოსანნი და ფრიადისა შენებულებითა განშევნებული და შეამკუდს ხატთა მიერ პატიოსანთა და ჯვართა და ყოველთა სამეულთა სრულ-ჰყენეს იგი და შემოუკრიბეს მას გარემონი მონასტრისა მის და დაუუწენეს მამულნი და ეგრეთვე სათავ-

1) ო-რნიკე შეეპროლა სკლეაროსსა მცირე აზიაში, მდინარე დალისის ხეობაში. ეს ბრძოლა ალუწერით როგორც ჩერნთა მწერალა, ისე ფრანგთა, სომებთა. ამავე ბრძოლაზე მოგითხოვს საფარის მონასტრის წარწერა. მტერზე გამარჯვების შემდეგ თორინიკე წერ წარმოემართა საქართველოდ თვის ბენებრივ მეფის თავგანის საცემლად და მერმე წავიდა საბჭომენის.



ნოდ თეთრი და ალავსეს შინაგანი მონასტრისა სრულიად შემუშავდა  
ქართველთა მონაზონებითა და უქმნეს დასაყუდებელნი და  
ალილეს სიგელნი მეფეთაგან თქმოს ბეჭდითა დაბეჭდილნი,  
რათა უფლებდენ იგინა ივერიასა მონასტრებსა ზედა ხაუკუნდ  
უფლებათა შესაკლითა და გასაკლითა მისითურთ და კურინ  
უძლისთ უფლებად მათ ზედა გინა შეკირკებად და ჰქმნეს  
შენებულებანი, რომელნიცა კიდევ მოდლენილელად დღედ-  
მდე ჰეგიან და ოწყეს თარგმანება წიგნთა სამღვოოთა და  
მრავალნი წიგნი გადმოთარგმნეს ქართულსა ზედა ენასა“  
(მოთხრ. ივერ. მონასტრ.).

ვს მთარგმნელნი და მოლგაწენი, გარდა იოანესი  
და თომონიკესი, იყვნენ:

- ა) იოანეს ძე მეფეიმი; ამის შრომანი არიან: 1, თა-  
რგმნებად თოანეს თვისისა სახარებისა; 2, სწავლანი წმ. მამისა  
ჩეკნისა დადისა ვასილისნი; 3, მისივე თარგმანება ფსალმუნ-  
თა; 4, წიგნი წმიდის კლემქსისა; 5, წიგნი წმიდისა მაკარ-  
ისა; 6, მაქსიმეს სწავლანი (აღმსარებისა); 7, წიგნი წმიდის  
იანკესა (ასურის ტანებისა), რომელსა შინა არიან სხვანიცა  
მამათა გამორჩეულთა სწავლანი; 8, წიგნი წმ. დოროთეისა;  
9, წამება და სასწავლი წმ. მთავარ-მოწამისა დამიტრისნი  
(თესალონიკელისა); 10, ცხოვრება და წამება წმ. სტეფანე  
ახლისა; 11, ცხოვრება და წამება წმ. კლემპინი, რომთა შეპი-  
სა; 12, წამება წმ. კლიმი ანკურელისა; 13, ცხოვრება წმ.  
გრიგოლ ღეთის-მეტევალისა. 14, ცხოვრება წმიანდ.  
დადისა ვასილისა მთავარ—ქადისებოსისა; 15, წამება წმ.  
აკელესიმესი; 16, ცხოვრება წმ. ბაგრატისი; 17, წამება წმ.  
მანა, ერმოგენი და კვერაფისა; 18 წმ. გრიგოლ ნიასელისა  
თჭმული შესხმა, მმისა თვისისა დადისა ვასილისა და ჭალწულ-  
5



ებისათვის, და წმიდისა მამაო ჩვენისა თარგმანი, მარტინ შემადგროვის, და წმ. მცხე წინასწარმეტყველის ცხოვრების თარგმანი; 19, ოთანე მასარებელის ხილა და ხილვის ასენა; 20, თარგმანი ოთანე ქრისტელისა; 21, ფქმული ოთანე დამას-სკელისა ღრისა ბენებისათვის ქრისტისა, 22 წმ. ღერთის-მშობ-ლის მობისათვის; 23, ცხოვრება დიდისა თანასისა აღვესან-დროებისა; 24, წამება წმ. სამთა ერმათა: აღვითონ, ფილადელფიული და გრეტინანები; 25, ცხოვრება წმ. ღმოვირი მძღვარისა დიდ-სა; 26 სწავლანი წმ. მძმისა ზოსიმესინი სარწმუნოებისათვის; 27, სწავლანი წმ. მამისა ევტემისინი სარწმუნოებისათვის; 28, ახნავსარი საწელიწალ, უმცრესი; 29, მიმოსკება და ჭადაგება წმ. ოთანე მასარებელისანი; 30, სქემის გურთხევა, ბერ-ძელი; 31, მონაზონისა გურთხევა; 32, ქსჯელის კანონი წმ. ოთანე მმარტებისა და მემჭვისა კრებისა; 33, ბევრის წერა მართლისათვის სარწმუნოებისა; 34, სწავლანი წმ. მარტინისანი; 35, წამება წმ. ფერიანისა (მონაზონისა). 36, წამება წმ. ანთამოსი; 37, წამება წმ. მოწ. ელასისა და ღრთა მონა-ზონთა; 38 წამება წმ. თეოდორე სტრატილატისა, თეოდო-რე შერგებისა ეპსტრატითურთ, და წმ. კვსტათესი და შეიღ-თა მისთა; 39, სწავლანი წმ. კასანდესინი; 40, წიგნი დიალე-ტონი; 41, წმ. მთავარ-ან გელოზთა სასწაული; 42 ცხოვრება წმ. ნიკოლაოზისა, საკურველ-მოქმედისა; 43, წიგნი ღვთის-მკ-ტემელისა გრიგორისი; 44, მაქსიმეს რეათა გული; სიტუა-თა; 45, გასიღის თქმული კანის შეიღთა შერის გებათათუს; 46, შეაღამენი ბერძელი; 47, ღოცვანი ბერძელი და სს. ბ) პრისტი ნინო-წმინდელ ეპისკოპოსი. წმ. მმა აზ-სენი მონაზონად აღკვეცილ იყო იერუსალიმს. მოიწვიეს იყი საქართველოდ და მისცეს ეპისკოპოსობა ნინო-წმილი-ობი იმისა რაოდინისამე დროისა წარეცდა მთალ-წმილად



და გარდაიცვალა. იქვე ასაულადია. მისი შრომანი: 1, უკიდურესი  
ლეთის-მეტყველება ითანე დამასკელისა, 2, წიგნი გრიგოლ  
ნოსელისა, 3, მეტაფრასი და საგალობრელი წმიდათა.

გ) ითანე ზრდელის ძე, რომლის შრომანი არიან:  
1, დარღვევა მაქმადიანთა სარწმუნოებისა და სიტუა სარგინო-  
ზთა მოქცევისათვის სარწმუნოებისადმი ჭრისტესსა, 2, შეიძ-  
თა მსოფლიოთა კრებათათვის, 3, ისტორია კუკლესიური  
თეოდორიტესი, არა სრული, 4, საგალობრელი კანონი იკვრი-  
ასა პორტაციისა, ანუ ჯარისა დკონს-მშობლისა.

აგრეთვე განთქმულნი იყენებ: ლირისი ითა-  
ნე ხახულელი, ოქროპირად სახელდებული, ნეტარი  
ბერი ზრიგოლ, ახალი პპრამ სტუმრის მოყვარე და სხვა-  
ნი მათნი ჩობაძენი, რომელიც ამავე დროს მოღვაწეობ-  
დებ: შელუშმას, შეეს-მთას ან ტიოქიის მახლობლად, მე-  
რისალიმს, ხინას და, რასაკირეველია, პთონსაც. პთონზე  
განსაკუთრებით ბრწყინვავდენ: დიდი პთანასე, რომელსაც  
ლავრა აეშენებინა და სასწაულებსაც იქმოდა; შევი ზრი-  
გოლ, ზაქარია მირდატისძე, არსენი — კეგანელის ჭოჯივის  
მეგანძურთ უნუკესი; ზოორგი — ნათესავი მეთვიმისა; ხეიმე-  
ონ და ზაბრიელ, რომელიც მეთვიმეს შემდეგ მცერის  
მონასტერს განავებდენ; მეოფანე ხუცესი, რომელიც  
იყო „ფრიად სწავლული და ხელოვნებით მწერალი წიგნ-  
თა საღმრთოთა.“

## თ ა ვ ი   X

გორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა . — ისანე  
 მღვდელ-მონაზონი . — ეფრემ მცირე . — არქიტ იყალ-  
 თოელი . — ტაძარის : ბედისა, ხაფარისა, ქუთაისისა  
 ხახულისა, გელათისა და სხვანი . — ხვილანი .

შედა ესთევათ, რომ ყველაზე დაუღალავი მშრომე-  
 ლი გამოჩნდა წმიდა ზორბგი, მეერის მოწამ-  
 ტოს არხიმანდრიტი, მღვდელ-მონაზონი ქართლელი, ად-  
 ვილით მრიალეთით. ამ ზორბგიმ შეამსო ნაკლულევანება-  
 ნი წარსულთა თვისთა მოადგილეთა და ხელოვნურად გა-  
 დმოსთარგმნა ქართულად : 1, სჯაჭვარი დიდი, საფუძველი ეპ-  
 კლესათა; 2, ცხოვრება, გამოკუბებული საწელიწადო; 3, ბავ-  
 ლე სრული და საშემ მოციქულთა და ეპისტოლები მოციქულ-  
 თა; 4, ბავლება გამოკუბებული საწელიწადო; 5, თოვე-  
 ნი ათორმეტნივე; 6, სტიქარნი საწელიწადო-  
 ნი... 7, სტიქარნი თვით ავავნი... 8, წიგნი ექვსთა  
 დღეთა წმ. ეპსილის თქმელი; 9, წიგნი ეპისტოლები წმ.  
 პანატე ღმიერთ-შემოსილისანი; 10, წიგნი საფსალმუხე დავი-  
 თისა, სამეცნიერო და გვირგვინი ურკველთა წიგნთა; 11, დადი  
 შარაკლარონი, სამეცნიერო ეკკლესიათა, სხვითა მინავდოთა ეკ-  
 თილთა აზსავსე; 12, დადი მარხვანი; 13 ზატიკა მინავალ



ფერითა კეთილდღია აღსავსე; 14, წიგნი თეოდორე სტოდე-  
ლიძა, სწავლანი დადგთა მარხვათა საკითხევა; 15, წიგნი და-  
ბადებისა, თარგმანი წმიდა თანა თქმილი; 16,  
წიგნი მექანისის კრებისა; 17, ქაისტოლუნი წმ. გირილესნი  
და სს. წმ. მამათა განკუთისათვის ნებრორ უსველოისა; 18  
წიგნი გრიგოლ ნისელისა, რომლისა მშეგნება და ქება ზესთა  
არს ყოვლისა მოთხოვობისა.

აქვე დაუმატებთ, რომ თუმცა ახალი აღთქმა თარ-  
გმნილი იყო მე V საუკუნეში დაით და სტეფანოზის მიერ  
იქრუალიშვილი და შემდეგ დელოფალ რუსულანისთვის სხვაი  
მცხეთას, მაგრამ მაინც წმ. ზიორგიმ ხელ-ახლა შეამოწმა  
და ხელ-ახლა სთარგმნა სახარება და სამოციქულო, რად-  
გან ეს წიგნები მშვალებლობის ზედ-გავლენით ამ დროს  
სამარტი იქნენ შეცდომილებითა.

მოგვყავს წმ. ზიორგის ანდერძი, რომელი:  
ცა სწერია ხელ-ნაწერისა სახარებასა ზაქარიასასა;  
ეს სახარება თვით წმიდა ზიორგისაგან ნაწერია; ანდერძი:

ეკუ საცნაურ იუსტ უოკელთა, რამეთუ წმიდა ესე თოხ-  
თავი ახლათ გვითარებნია ფრიადითა ძელებითა მმათა ვიეთმე  
სულიერთათა და ბერძნელთა სახარებათა და შეგვიძოწმებია  
ფრიადითა გამოწვალვითა და ვინცა ვინ დაწერდეთ, თუ ამის-  
გან ჭერ გიხნდეთ დაწერა ღვთისათვის სიტუათა ნუ სცხა-  
ლებთ, არამედ ვითარეა აქ უსწერია ეგრე დაწესწერეთ და თუ  
რამე გშენდეს წევნი უოკელნი სახარებანი პირველითგან წმი-  
დად თარგმნილნი და კუთილად ხან-მეტნიდა და საბა წმიდურ-  
ნიცა მენით დაწერეთ და ღვთისათვის ერთმანერთსა ნუ გაჭ-  
რეთ, ხოლო გლასაკისა გიორგისათვის, რომელმან ქსორგ მნე,  
დოცებ ჭერეთ. 2

თეისი შრომა ზორბგიმ გაღმოიღო სამშობლო ქვეყანაში და მეფის ბაგრატ IV-ის მოწვევით ხუთი წელი და ჰურ საქართველოში, საღაც იმ დროს „გარდაიწერნეს წიგნი მისნი მრავალთა საეპისკოპოსოთა და მონასტერთა და მრავალი საეკკლესიონი წესი განმარტნა“ სამშობლო-დამ დაბრუნებისას ზორბგიშ წაიყვანა აღსაჩრდელად 80 ობოლი ქართველთ ყრმანი ძოსტან ტინქპოლეს, შეცვედრა იგინი ლუკა იმპერატორისა და თვით მეორეს დღეს, შემდევ იმპერატორის ნახვისა, აღესრულა ქართველთ მეფოქსა შინა მრისტ. 1066 წელსა. წმ. გვამი მისი წაიღეს პოონს და დასევენეს იქ, საცა იღო გვამი წმ. შეოთვიმისა. ხსენება ზორბგისა <sup>1)</sup> 27 იქნისს.

ზორბგის დროს იყვნენ კიდევ შემდევი მთარგმნელნი: ილარიონ, ზორბგი მლოთისელი, ვასილი ბაგრატის-ძე, არსენი, ანტონი მნათე და სხვანი.

შემდგომად ზორბგი მთაწმინდელისა ივერიის მონასტრის სახელოვანნი მოწაფენი და საქართველოს სასიქადულო შეიღლი იყვნენ:

ა) ილარე მლოთელ-მონაზონი, ფილოსოფოსი, პეტრი-წალ წოლებული, პირქიმელი; ამისგან, სხვათა შორის, დაბეჭმია სეინჯესარი, რომელშიაც არის გაღვენსილნი ისტორიანი: დეთის-მშობლის ჟობისათვის, ქიოსტეს ჟობისათვის და სხვ.

<sup>1)</sup> იქნო ქანდაკი, სპეციალი მოიშვილი,  
ეპისკოპოსთა დიდება, მღვდელო პატივი  
ამათ მფლობელთად, მახვილ ირპირ მყვეთელი,  
გიორგი წიგნთა თარგმანი იმთაწმიდების,  
მიწას მიწას ჭმართავს, სულისა ასასუფევლებს.



აგრეთვე ამანგა გადაქვესა ააშეივა წმ. მამის იოანე სანქტეფლიციური კლესტერისა.

ბ) მფრემ მცირე; ამან სთარგმნა ბერძნულიდამ: 1, წიგნი დაინოსი არიანაგელისა «ზეცისა იერარქიისათვის»; 2, აშმონიოსის წიგნი; 3, მოქმედება საქართველოისა და 4, ქადაგება წმ. მოციქულის თამაში.

გ) პასენი მყალთოელი სხოლასტიკოსი; ამან კახელ-მა ზედ-მიწერით იცოდა არაბული, ასირიული და ბერძნუ-ლი ენანი და იყო დიდად განათლებული კაცი, ფილოსო-ფისი; იყო მოძღვრად მეფის დავითისა. მახეთში მყალ-თოს ჰქონდა სასწავლებელი და ასწავლიდა: ფილოსოფია-სა, ლეთის-მეტყველებასა, ენათა და „სხვათა აზნაურთა სასწავლებელთა“. შემდგომად ალსრულებისა ქათოლიკოზი-სა მოანესი და მართი ქათოლიკოზად. პმარხია მყალთოშივე. ანსენმა აღწერა: 1, ძეგლის წერა კრებას, რომელიც იქმნა მცხეთის ქალაქისა განკარგულებითა დავით აღმაშენებელისა; 2, მოთხრობა მიზეზთა, რომელთა გამო განსიდგნენ სომეხი მართლ-მადიდებელისა საწმენოებისაგან და 3, გადმოსთარგმნა „ოქროს ნეკტარი“ წმ. იოანე დამასკელისა.

და აგრეთვე მოანე ტარიჭისაძე, სტეფანე, თეოფილე და შრაევალნი სხვანი.

უნდა აღიიროთ ის ფაქტი, რომელ მყერის მონა-სტრის დაარსებიდამ საქართველოს ეკკლესია სრულიად განმტკიცდა სჯულისა ზედა მაცხოვერისა ჩეენისა. ხალხში გატაცებულმა საცხოველებო და საერთო ლიტერატურამ ძლიერად კვალი გაინასკვა საქართველოში და ეს იყო მი-

ზეპი, რომ შემდეგ საუკუნეებში საშინელმა მოწინდებული  
მტრებმა ვერა ლონის ძიებით მეტრიაში ვერ დამტა-  
რეს მაჰმადიანობა.

დედა-ბოძებად შრისტეს სჯულისა საქართველოში,  
მცენრის და მცენრსალიმის მონასტრებს გარდა, შეიქმნენ  
შემდეგი დიდებული ტაძარი:

ა) ხახულის ღვთის-მშობლისა თორთომის ხევზედ;  
„შეფაქლუს მთის კალთას არს ჰყვესად მონასტერი ხა-  
სულისა უკულად წმიდის ღვთის-მშობლისა, დადა, გუნდათაბ-  
ნი, დიდ-მშვენიერად გვზული, შეკნიერს კაცეს ადგილს; ეს  
ადაშენა დავით გვრატ-პალატმან ბაგრატ მეფის მამაბილმან...  
ას შემ, ცალიერ არან და ხატო მისი არს გელათს, რომელიც  
შეაქმნა აღმაშენებელმან, მეომე თავას მევემან“ (გეოგრ. გასტუმრ.  
გვ. 124). ეს ჰყვესად ესტაც არსებობს და აქვთ წარწერანი.  
აქ ბერად შესდგა გამოჩენილი გირჩგი მთაწმიდებული.

ბ) ბელისა. „აქვ ბედიასა აღაშენა მე 54 მეტემან ბაგრატ  
ჰყვესა დადა, დიდ-შეკნიერ-გუნდათანი და შემცი სიმდი-  
დრითა დიდითა ფრიად; დასკა ეპისკოპოსი თდამისა“ (გეოგ.  
გასტუმრ. გვ. 400).

გ) საფარისა. «ცუნქის ხევზედ (საკაბაგრში) არს სა-  
ფარის მონასტერი, შეკნიერად დიდ-შენი, გუნდათანი, უკულად  
წმიდისა. ესე იუ შემცელი უოველთა საკედესითოა და წმ.  
ნაწილებითა და დაუფლენენ ათაბაგნი, და ას არს სუცის ამინ»  
(გეოგრ. გასტუმრ. გვ. 90) გარეშემო მონასტრისა ესტა  
სცხოვრობენ გამაჭმადიანებული ქართველები და მხოლოდ შიგა  
და შიგ ქრისტიანები და ჰქავთ საფარას მღვდელი.

დ) ძუთაისისა. მს არის დიდებული შენობა, აშენე-  
ბულია ბაგრატ III-საგან, რომელსაც ცოლად ჰყენდა.



ასული ბიჭანტის იმპერატორის რომანის არგირისა, უკრავების ტაძრის შეცენიერს შეხედულობას განცეიფრებაში მოჰყავს კაცი. მის კედელზე დაშთენილა ორი წარწერა; ერთი მათგან იხსენიებს ბაგრატ მეფეს და მეორე კი შესანიშნ აეია მით, რომ შეიცავს არაბულს ციფირებს 223; ამ ციფირების აღმოჩენით, მსწავლულთ ჰვინისათ, რომ ციფირების ხმარება უწინარეს ყოველთა შემოვიდა საქართველოში, რადგან ამ ტაძრის წარწერის გარდა, სხვა წარწერა ციფირებით არსად მოიპოვება, რომ ამაზე უწინარეს დროს ეკუთვნოდეს (იხ. **Нумизм.** Факты Груз. Царс. ბარათავისა). ტაძარი წინად იყო საეპისკოპოსო, რომელიც განავებდა მერქეთსა და ზურიასა. მხლო დანგრეულია.

ე) ზელათისა (ანუ გაენათისა), რომელიც მუთაისს შორის 6-7 ვერსიით. აშენებულია დავით აღმაშენებელისაგან (1025). შენობა დიდებულია. მისი კედლები ავებულია მსხვილის ქვით. მრთი ქვა (ცხრა ალაბი სიგრძით) დადებულია კედელზედ თვით დაეითისაგან. საკურთხეველში ასვერი ხატი ლვითი-მშობლისა, ნაჩუქები იმპერატორის ძლევის კომნენისაგან. აქვე ასვერი ხახულის ლეთის-მშობლის ხატი, ქმნილი წმ. ლუკასაგან და მოკმაზული ძეირფასის ქვებით. აქ იჯდა ეპისკოპოსი—ზენათელი, მართველი მკრიბისა და პრევეტისა. მსევე შეიქმას გვეარეულო სავანედ ბაგრატიონთა.

და აგრეთვე ტაძარინი სახსრად წამებულის მსტატესი, დაეითის და ძოსტან ტინერი, მეუე პრინცისა, სასწაულთ-მოქმედი-სა მლარიონისა, მობრონისა, რომელიც წამებულ იქმნა 920 წელს 17 ნოემბერს. მასთან აე აწამეს 133 მხედარნი ქართველნი. ესენი და ამათთან სხვა ქართველნი მურეან ყრუმ 28



დღის ბრძოლის შემდეგ შეიძყრო ციხე უკელში (აზეთუმუნ  
შია), აწამა და მთელი საქართველო გაოხტა.

უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოებაც, რომ უკელა ამ  
მონასტრებთან და სობოროებთან იყო გამართული სკოლე-  
ბი, საცა ასწავლიდნენ უკელ გეარ მაშინდელ დროის  
მეცნიერებათა, სამღეთო წერილსა, ლეთის-მეტყველებასა,  
ბერძნულსა და ასირიულსა ენათა და სხ. მასწავლებელნი  
ამ სკოლებისათვის ბევრნი გამოიიღნენ ჩვერის მონა-  
სტრიდამ, საცა მოღვაწეობდა 500 მეტი ქართველი, აგრე-  
თვე იქრისალიმის მონასტრებიდამ და ზოგიერთ საქართვე-  
ლოს განთქმულ მქადაგებელთა სკოლებიდამ (იგულისხმეთ  
სკოლა პრესნი იყალთოელისა და ს.); მოზარდ თაობაზე  
დიდი გავლენა ჰქონდა თავისუფალთა ჰაზრთა და მსჯე-  
ლობათა შესანიშნავთა ბერძენთა ფილოსოფოსებისა: პლატო-  
ნისა, პრისტოკრელისა, პორფირისა, დამასკინისა და სხ. თხზუ-  
ლებების თარგმანთა.

---

## თ ა ვ ი XI

საქართველოს განთავისუფლება სარაცინთაგან.—  
 ჯვაროსნების ოში.—ქართველის შველიან ჯვაროსან-  
 თა.—მოღვაწეობა მეფეთა: ბაგრატ III.-სა, ბაგრატ IV.-სა  
 და დავით III.-სა აღმაშენებელისა.—ძეგლის წერა.

რა იყო მიზეზი, რომ ამ დროებში მე IX—XII საუკ.  
 ასეთი წარმოუდგენელი წეურეილი და ლოტოლეა ალექსა-  
 ქართველ ხალხს მეცნიერებისადმი და წარმატებისადმი?

თურქენი, საშინელნი და ულმობელნი მოქრნი ქრის-  
 ტიანთ ერთა, მიიღოტოლენ ყოველის მხრიდამ იქრუსალიმი-  
 საკუნ დასაცელელად პალესტინისა და მოსაგერებლად ჯვა-  
 როსნებისა, რომელნიც სცილობრნენ განეთავისუფლები-  
 ნათ სარაცინთაგან (თურქარაბნი) ყოველი ქრისტიანისთვის  
 ძერჩინასი საფლავი იქსო ქრისტესი. თითქმის მოელი მე-  
 როპა მოასცდა მცირე პზიასა.

ის ადგილი (პალესტინა), საცა დაიბადა, აღიზარდა  
 და იმოქმედი მაცხოვარმა, შეიქმნა ქრისტიანების სალოცავ-  
 სათაყვანებელ ადგილად. მე VII საუკ. იგი დაიპყრეს არაბთა,  
 რომელნიც არ აბრკოლებდენ ქრისტიანებს წმიდა ადგილების  
 მოლოცვას. მე XI ს. (1072 წ.) კი პალესტინა დაიპყრეს  
 თურქთა (სელջუკთა), რომელთაც წმიდა ადგილებში სალო-



ცაფად მიმსელელთა ისეთი დიდი გადასახადი. დაუკუთხების შემთხვევაში ქრისტიანი ველაზ მიღიოლენენ პალესტინაში. შევლა ამას დაემატა აგრეთვე საშინელი დევნა ქრისტიანებისა, მათი ტანჯვა და წვალება.

პარეთი მდგომარეობა ქრისტიანებისა პალესტინაში განუმარტა ევროპის ხალხსა, პაპასა და დიდებულთა პეტრე უდაბნოელმა. იგი მწვავის სიცუკებით უხატავდა ხალხს ქრისტიანების დამცირებას მაჰმადიანთაგან, ტანჯვას და საშინელ მდგომარეობას და ყველას სთხოვდა, რომ მიშველებოლენ ქრისტიანებს და გამოეხსნათ წმიდა აღგიღი მაჰმადიანთა მცლობელობისაგან. პეტრეს ხმას მიემატა პაპის თხოვნა-ეკლესიაც და მათი ღალადება არ დაშთა ხმად მღალავებელად უდაბნოსა შინა. თითქმის მთელი ეკრობა ფეხზე დაღვა და აღიჭურვა სურეილით წმიდა აღგიღების განთავისუფლებისათვის. დაიწყეს მხადება და ჯარების შეკრება.

პირველი ჯვაროსანი ლაშქარი (1096—1099 წ.), რომელიც შესდგებოდა ჩამდენიმე ათასი კაცთ, გაეტავდა ზოდფერიდ ბულონელის წინამძღვალობით. მს ჯარები ძისტანტინეპოლიდამ გადავიდნენ მცირე აზიაში, დიდის გაჭირებით აიღეს ანტიოქია და გაზაფხულზე 1099 წ. შემოერტყენ იერუსალიმსა, რომელიც დიდის სიძლიერით აიღეს, ამოსწყვიტეს მაჰმადიანი და ურიანი და დააწესეს თევისი მმართველობა ამ ქვეყანაში. მაგრამ ბატონობა ქრისტიანებისა დიდხანს არ გაგრძელდა. მაჰმადიანი თან-და თან მძღავრდებოდენ და ალავ-ალავ ჟლეტავდენ ქრისტიანებსა, რომელთა რიცხვი მთელს მცირე აზიაში არ აღემარცხოდა 25,000 — 30,000 სულსა. მრისტიანების საშველად ეკრობიდენ წამოვიდა მეორე ჯვაროსანთ ლაშქარი



(1137 წ.), მაგრამ ამათ ბევრი ვერაფრით უშველეს პალეოგრაფიულ  
მოძმეთა, რადგან ამ დროს მძვინვარებდა მისირის (ეგვიპ-  
ტის) სულტანი სალადინი, რომელმაც ქრისტიანნი საშინ-  
ლად დააპარუხა ტიბერიალის ტბასთან და შემდევ ამისა  
იქრუსალიმიც არღო. ამ ამბავმა საშინლად ააღელფა დასა-  
ვლეთის ეროპიელნი. ძიდევ დაიწყეს მზადება. პირეელად  
გაილაშქრა (1190 წ.) ზერმანის იმპერატორმა ფრიდრიჩ  
ბარბაროსმა, რომელმაც ექრ მიაღწია პალესტინამდის და  
ერთ მდინარეზე (მცირე აზიაში) გადასვლის დროს წყალ-  
ში ჩაერდა და დაიხრჩო. მეორედ გაილაშქრა საფრანგე-  
თის მეფემ შილიპე-აგიისტომ და რიჩარდ ლომ-გულმა, მა-  
გრამ გზაჩედ ამ ორთა შეუ უთანხმოება ჩამოვარდა, რის-  
ვამო პირეელი უკანვე დაბრუნდა და რიჩარდ ლომ-გულ-  
მა თუმცა მრავალ ჯერ გარმარჯვა მაჰმადიანებზე, მაგრამ  
იქრუსალიმი მაინც ვერ წართო სარაცინთა. ამის შემდევ  
კიდე რამდენიმე ჯერ ევროპიელთ გაილაშქრეს პალესტი-  
ნის განსათავისუფლებლად, მაგრამ ვერა გაწყეს-რა. პირ-  
იქიმ 1291 წელს სულ მთლად ქრისტიანთ კუთვნილება  
მცირე აზიაში გადაეციდა მისირის სულტანის განკარგულე-  
ბაში. (Ист. IIIлецера т. I).

ამ ომების გამო სარაცინთა, დასტოებეს შორეული  
ქეყნები და გაეშურნენ პალესტინისკენ. პი მიზეზი, რომ  
საქართველოც სრულიად განთავისუფლდა სარაცინთაგან,  
რომელნიც მცირეოდენად დაშონილნი საქართველოში,  
მძღავრის მეფეებისაგან (ბაგრატ III, ბაგრატ IV<sup>1</sup>) და

<sup>1)</sup> ამან შემწეობა აღმოუჩინა აგრეთვე იქრუსალიმის ტაძრებსაც,  
მეტადრე ჯვარის მონასტერებსა. სახე ბაგრატისა გამოსახულია იქრუსა-  
ლიმის ჯვრის მონასტერის კედელზე. ბაგრატის ასევე ამჟობს ანტონი I:



დავით III ) სრულიად განდევნილ იქმნებოდა მარტინის თველოდგან . პრაბთაგან განთავისუფლების შემდეგ ხსენებულთა მძღოლთა შეატყოს მთელი საქართველო, და მისცეს ხალხს შეძლება შინაური აღორძინებისა.

მს გარემოება იყო მიზეზად, რომელ ქართველთ აღმოიჩინეს შესანიშნავი ნიჭი ეკულესიათა და მონასტერთ გამშვენიერებისა და განათლებისა.

შართველნი შინაობაში რომ განმტკიცდენ, ახლა შეუდგნენ საქცევნო საქმეს . ჩვენ ვამბობთ ქართველთა ჯარის მონაწილეობას ჯვაროსანების ოშმი . მრავალის ქართველნი წარემართნენ მეტასალიმისკენ, მაგრამ ერთჯერ შაემა ზღვამ იმსხვერპლა ქართველ ჯვაროსანნი, ხოლო მეორედ იპროტოლეს მტერთა ზედა მეროპის ჯართან ერთად . პმით არ იქმარეს ქართველთა . ჩვენი ეკულესის წარმომადგენელნი მეფეების (მეტადრე დავით III-ის) მოთავობით . შეუდგნენ ბრძოლას მრავალთა მწვალებელთა სწავლასა და მტერთა შრისტესთა .

როდესაც პალესტინა და, საზოგადოდ, მოცული მცირდები

ებაგრატ მეოთხე, ძე გი-რეი პირველის,  
მეფე აფხაზთა, მშევნეორ მორთვანავეთი  
ფილისოფერი, ბრძენი, ტრისტის მაუვარუ,  
ქსარის მზახლე, ურატ-მალატ სუსტის,  
შვებული ომთა, არ განუცდელ მხედარი,  
ამისა დროსა მეფისმასა განბრტყინდეს,  
გორგი დიდით, ლვოვ-ტეტიუ-ციდელისაფისი,  
გარნა ქართველნი, სოფლის კავკა მხაონი .  
(ის. წყობ. ხიტუ. მუხლ. 568 და 569).



ბრძოლის ველად გადაიქცა და ყველას ყურადღება მიქცეული წინამდებრივი იყო მრისტეს საფლავისადმი, მაშინ საქართველოში გამოჩენდა ნენ მრავალნი პირნი, რომელთ ყოფა-ქცევა არ შეესაბამებოდა ქრისტიანების სწავლისა. პი ამათ წინ აღუდგა დაით III. დაითმა მოახდინა სასულიერო კრება და განწმინდა ქვეყანა მრავალთა მრისტეს სჯულის წინააღმდეგთა სწავლათავან; დაითმა ბრძოლა გაუმართა აგრეთვე მონოფიზიტურ სწავლის სომხის ეკკლესიისა და როდესაც სომეხთა წინააღმდეგობა აღმოუჩინეს, თეისის ძლევა-მოსილის ჯარით შეედია სომხეთში, აღმო სატახტო ქალაქი მნი, <sup>1)</sup> სადაც მოახდინა სასულიერო კრება განათლებული ქათოლიკოზის მოაწეს თავმჯდომარეობით და მყალთოს განათლებულის ეპისკოპოზის არსენის, მფრემ მცირის და მოაწე ტაიპის თანადასწრებით. მმ კრებას უნდა შედრობებინა სომეხ-ქართველთ ეკკლესია და სომები დაეყოლია ჩევრი ეკკლესიის სწავლის მისაღებად. მაგრამ ეს კრება და აგრეთვე შემდეგში (1147 წ.) ქასტანტინეპოლის კრებანი უწაყოფონი გამოდგნენ, რადგან სომხის ხალხი ლრმად იცავდა ზრიგოლ განმანათლებელის ტახტსა და სწავლისა.

დასასრულ ჩევრ ვიტყვით, რომ მეფე დაითით III მოლეაწეობდა ქართველთა მეფისის, მერუსალიმის, სინაის, ქეიპრის მონასტრებისთვისაც, რომელთაც შესწირა დიდი განძეულობანი და მამულნი; მმ. სინაის მთაზე მან აღაშენა წმ. მეკატერინეს ტაძარი და დასვა იქ მიტროპოლიტი. დაითმანე აღაშენა ტრაპეზიუნტს მონასტერი, დიდი ლავრა, სახელსა

<sup>1)</sup> დაითმა აქ მყოფობის დროს აშენა დიდი საკრებულო ეჭ-გლესია, რომელზედაც არის მრავალი ქართველი წარწერა.



ზედა სუმელის მონასტერი, რომელსაცა შესწიტებით მიღწეულის და სხ. შემოსავალი; აგრეთვე ააშენა ეკკლესია პლევი და ლომისიას (დუშეთის მხარეს), მოქანა, ნათლის-მცემლის უდაბნო შარაიასა, მარტო-მყოფისა ანტონისა, ძავთისხევის მონასტრის საკრებულო ტაძარი და მრავ. სხ.

დაეთ ალესრულა <sup>1)</sup> 1125 წელსა მრისტე-  
სით. მრავალთა მოღვაწეობათათვის, მამულის მტერთა-  
გან სახელოვანად დაცუისა და განთავისუფლებისათვის,  
ალ შენებისათვის ეკკლესიებისა, მონასტრებისა, ქალაქებისა  
და ციხეებისა მეფე დაეთი წოდებულ იქმნა აღმაშენებე-  
ლად და წმიდანად შერაცხილ. დღეობა 26 იანვარს.

<sup>1)</sup> იქმნა დასაფლავებული მეფე ესე დავითი გაენათის მონასტრის შემზრების შემოსავლის კარის ბჭედსა ქვეშ. შემდეგ, როდესაც შერაცხილ იქმნა წმიდათა შორის, მაშინ მისი გვამი მოწირებით აღმოსავნება და წმიდა ნაწილნი მისინ დაკრძალებს განათის საკუჯბო ტრაპეზას ქვეშ. შათლავის ქვა საფლავისავე ადგილსა დაუტევეს. ამ ქვის სიგრძე 4 არშინი და 6 ვერშოვია, სიგანგ 1 არშინი და 12 ვერშოვი. ზედ არის წარწერა, რომელიც მოგვითხრობს:

«როს ნაჟარმაგვეს მეფენი შეიღნი მე პურად დამესხნეს,  
თურქი, სპარსი და არაპი სამზღვართა გარე გამესხნეს;  
თურქი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს.  
აწე ამთხა მოქმედსა გულწევდან ხელნ დამესხნეს».

წმიდისა ამის და განათლებულისა მეფისაგან დაგვშთა:  
«გალობა სინანულისა და «ანდერძი», რომელშაც, სსვათა  
შორის, მოხსენებულია შემდეგი: «მივეც (შეიღნა დიმიტრის) დროშა  
ჩემი სვიანი და აბეგარნი ჩემი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემი ზე-  
მონი და ქვემონი; ხოლო დროვანი კოსტანტინე ცვატას, ხოლო ჩემი ჩა-  
ლალი და თვალი-მარკალიზი ხახულის დგომის-მშობლისად შემიწირავს,



ამ ძეგლის წერაში კოცული შესავალის შემდეგ მოვანილია ცნობაზი სახარების გარცულებაზე მოვლილში საზოგადოდ და ანდრია და ნიხოსავან საქართველოში კომიტ. შემდეგ მოვანილია ცნობაზი მოვლილთა და კერძოთა კრებითა დაგენილებზე.

საკუთრად დავითის კრებაზე იმავე ბეგლის წერაში არის  
ნათელი: «ესე ცირკუინოსანი, მოჩინდები მარჯვენა და სასუ-  
რელი დავით, ომელი ესე ერთხმად მხნევა არს და პრტკა,  
მართლ და წმიდა, მუედროდა და შეგიდ, სახიერ და ტებილ,  
მოწყალე და ძვირ-უსსენებელ და მიმსგავსებულ სახიერებისა  
ღვთისა. ესე კანადეგან გარეშეთა ბრძოლათა შენა წინა-დაუდა-  
გრომელობით და გარეშეთა საჭმისა ქმნებულითა სხვათა გაცილ-  
ება შესწორებად შეუძლებელ იყო; ამისთვით მან შემოკრიბა  
კრება ღვთის მოუკარეთა ეპისკოპოსთა, შატილისანთა მდგრელ-  
თა და ლიტეთა დაკონთა, ქრისტეს მოუკარეთა შენაზონთა,

କେଣ୍ଟାଳ ଦୟାରୀ ରା ପାତ୍ରିନ୍ଦାରୀ ଏତିବନ୍ଦିକା କାହାରୁଙ୍ଗଲୋକା, ଯଗପା ହେମିଳ ବନ୍ଦିକା କେଣ୍ଟାଳ ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ...» ବିଜୁ. ଶ୍ରୀରାଧାରୀ ଅମ୍ବନ୍ଦିଶ ଚିତ୍ତ ଦୟାଗଠିବା:

» ღმური ნილოსით, მოწყველ-ციბრძით ქართველთა დარბაზ გამოშეტვით, კპარტ-მინდონ-მყოფელი.

ମୃଦୁରତା ମନୋଧି, ଉମ୍ଭରତା ମନୋଧାରୀ;

მაგ გურიულთა, უდიმართა ცისკარი;

სვანთა, აფხაზთა ლიტერატურა, კართა წარული”.



დაუკუჭბულთა და მეუდინოეთა სანატებთა ქართლისჩთა მახლობელიდ თრთა საქართველოსისთა: რეიისისა და ურბნისისა... საკულტურითა და სამღვდელოთა და საქრისტიანოთა ძიებათა-თვის... თავ და წინამძღვარ ქრებისა მის იყო ითანე, უოკლად ღირსი მთავარუბისქორმლის, ქართლიკოსი და უოკლისა საქართველოსა დიდი მამათ-მთავარი... (საქართ. სამოთხე, გვერ. 518—528).

შეით განაჩენი კრებისა:

ა. შირკულად ეპისკოპოსინი არა ღირსებით შემოსილნი ჰატიესა მღვდელთ-მთავარობისასა და ულიოსნი ქრისტეს შირკულისა მწერესთ-მთავარისანი განვეკეთენით და უცხო კუკენით მღვდელობისაგან. ხოლო არა კრულ-კუკენით და არა შეკაჩვენებით, ნე იყოფინ, არამედ ღირტონია ერის გაცთა თანა ზიარებად კუკენით.

ბ. ამსითანავე განვწესეთ, რათა ამიერითგან არდარავინ იყადროს ქმნად, თვინიერ ვითარ იგი განაწესებს კანონი, რომელ ეპისკოპოსი 35 წლისა, მღვდელი 30 წლისა, დაკული 25-სა და წიგნის მკითხველი 8 წლისა ხელ-დასხმული იქმნებოდან...

გ. ხოლო წესი ხელ-დასხმადთა სრულებისა ეგრედ აღესრულებოდედ, ვითარცა ახალთა შინა გურთხევათა ნეტია. სსენტებულისა მიმისა გითარგი მთაწმინდელისათა დაწერილ არს. აგრეთვე გურთხევა კუკენისისა, დამუარება საკურთხეველისა და წმიდა-უოტა ღმერთ-მუოტელისა მირნისა, ეგრეთ სრულ იქმნებოდედ, ვითარცა მუნ შინა მოსსენებულ არს.

დ. ხოლო ქრთამისათვის და საჯასისა, რომელსა მიმღებენ ხელ-დამსხმელნი ხელთ-დასხმადთაგან, წმიდათა მოცი-ჭელთა და შამათა მოცემისა მებრ, განსინებად ვიგადრეთ ჩვენცა

რათა მოისპოს ებე კითარი იგი კედესიაგან და აღიხო-  
 ლოს მღვდელიასაგან, რომლისა შენა ნურთარაძეცა ვის უკად-  
 რებიეს და ნუმცა მიაღებენ ნუცა ქრთამსა. ნუცა ძღვენსა, ნუ-  
 ცა კედოგიასა, ნუცა ქათოლიკოსი კბისკოპოსთაგან, გინა  
 წევეს-დააკონთა და მღვდელთა და ქორ-ქაისკოპოსთაგან; ნუ-  
 ცა ქისკოპოსნი დააკონთაგან, ნუცა რომელიმე სხვათა დასი-  
 საგანთა ანუ საკედესითთა შეფაგან.

კ. მერმეტა სამღვდელოთა ჭურჭელთა და ღვთისა შეწი-  
 რულთა სიწმიდეთაკვის, რომელ არან გაბარძიმ-იუმსუმი, სა-  
 მწირობელნი და უოკელიკ კედესიათა შეწირული და კრთგზის  
 ღვთისადა მიცემული ღვრია, კუცლი, თვალი, მარგალიოტი,  
 ჭიქა, სტავრა ნაქსოვი, სინი, რეალი, რეინა, ძელი, კრისტი,  
 ჭეა. ამას განვაწესებო ჭდებითა წმიდათა კანონთა, რათა არა-  
 კის ხელეწითოს ჩმარებად მისი არა რად, არცა ტუკეთა სა-  
 ხსრად, დაღათე ცუდადება და უხმარად მდებარე იყვნენ.

კ. ამასთან ესეც მოვიხსნეთ, კითარშედ თვინიერ კედე-  
 სიასა და საკურთხეველისა არცა ნათლის ცემა შესაძლებელ  
 არს, არცა გვირგვინისა ჭურთხევა, არცა მონაზონისა ეპისტო-  
 ლითა, გინა სქემითა ჭურთხევა ჭურთხევა და არცა მონაზონისა  
 ხეცესსა გვირგვინთა ჭურთხევად ხელეწითების, არცა ერთიანისა  
 მღვდელისა მონაზონისა ჭურთხევად.

ტ. კედედ არაცი განხსაზღვრებოთ, რათა აშენიდებან არ-  
 დარა კერთხმითიან გვირგვინის ჩხილითა ქალ-ურმართა, არა-  
 მედ უკეთე საჭიროდ რადმე იურს მშობელთა მიმრთ დიდად,  
 დაუწინდებენ იგი ურთიერთობის და, რაუმის ასაგად მოვიდნენ თრ-  
 ნიერე, მაშინ იქრწინონ და ქალი ათლემეტისა წლისა უმცროსი  
 ნუმცა შეუფლებულ არს ქორწინებით მეუღლისადა.



ც. ქათოლიკოსი, ეპისკოპოსი და ქართველი მამა მარიამ გამოიჩინებული სფეროსა და საღმრთოთა წიგნთა მეტნიერი გამოიჩინებული მდგრელი ანუ დასავანი შიშითა ღვთისათა ექცენტრულ მას ფლობად და დაცებულ უკუკელთაგე საქართველოთა წესია, რათა არა რა მათგანი განსცეს ქრისტიანობის, არცა რა განვიდოს ექცელად.

თ. შემდგომად ამითსა ამასაცა სათანადოდ კერძობით მოსხენებად კინადღიან მოძღვრად წოდებულთა მათ მონაზონთა ორიადი და აღურაცხელი არს სიმრავლე და ერთსა მონასტერ-სა შინა რეანი და ათნი, მრავალ-გზის რცინიდა და აცდა ათ-ნი იპოვებან; დიდი თუ იყოს მოსხასტერი და მრავალის შოთ-თისა და განხეთქილებისა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი, ამისთვის განვაჩინეთ, რათა დიდთა მონასტერთა შინა ღრ-ორი, ხოლო მცირებულთ თვითო კმა იყოს მოძღვარი.

ი. წესი იგი, რომელსა კრებულთა დასხმად უწესენ, ნუ-ლარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერიდგან, ნუც მონასტერთა შინა ქმნა საკუჭროთა ერთს-კრებათა, ნუცა რა სხვა სამრავალ-ქო და სასოფლო წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა.

კ. ხოლო ერთსა საკურთხეველსა და მასვე ერთსა წინა-დაგებასა ზედა წმიდასა შესაწირავისასა მრავალთა სულთათვის მრავალთა მღვდელთა მიერ ქმნა წმიდასა კამის წირვისა უწესო არს და განგდებულ, რომელი ესე ნულარამცა სადა ქმნილ არს, უფროსსა თავად საკურთხეველსა დიდისა გვეღებისა საკისერ-მოსოსა, გინა მონასტერისასა, ერთისა არავისთვის წეს არს კამის წირვად არაოდეს, არცა ცოცხლისა, არცა მიციალებული-სათვის, თვანიერ ადაპტა და სულისა სახსენებულად განჩინე-ბულთა ღღეთასა; არამედ მის ეკლესიისა მაშენებელთა და შე-მომწირებულთა და ერთბამდე უკუკელთა ქრისტიანეთა ცოცხალთა



და მიცეალებულთათვის ჭერას უძმის წირვა; ხოლო ერთიან უნიტარული კაცისათვის ანუ ერთიან სულისათვის გეგმიშრთა სადმე შინა უმაღლიობითი ანუ შტოთა გეგლესისათა ჭერას თვითულისა ხეცესისაგან უძმის წირვა.

ლ. რომელიცა სომებთაგანი წმიდასა კათოლიკე მეგლელი სიასა შეერთებულან... ესრეთ განკაწესეთ მათთვის: ოთა სრულიად ნათელ-სცემდენ, გინადგან სხვაც დიდთა მეგლესიათა კვლებით მაქმედად ამისა, კითარ იგი არს საპატიორეთო საუკარისი ანტიოქიისა და უოკელი მიმდგომნი მისნი მეგლესიანი აღმისავლეთიანი.

მ. კუალად განკაწესეთ, ოთა არცა მართლ-მადიდებელი მამა-კაცი მწერლებულისა, გინა წარმართსა დედა-კაცისა, ანუ დედა-კაცი მამა-კაცისა შეელდნენ, გინადგან უოკელი მართლ-მადიდებელი ტაპარ არს დეთისა; ხოლო უოკელი ბოროტად მადიდებელი ანუ უოკელი არა მადიდებელი ტაპარ არს კშევა-სა...

ნ. გინადგან ესერა უწესოება მრავალთა მიერ აღსრულებად გვესმა უფროსდა დიდთა კიეთამე და წარჩინებულთა და არა დიოცინთა კაცთაგან, რომელ არს არა ერთგინ კურთხება კვარწინთა კორწინებით ერთ-ხორც ქმნადთა მეუღლეთა, რომ-გვირგვინთა განკაზღვრებით, რომელიცა მოაქამდე ესრეთ კურთხებისათვის განკაზღვრებით, რომელიცა მოაქამდე ესრეთ კურთხებისათვის უოკელი არიან და კარდინალები არიან, იგინი შენდობილ არიან უმეცრებისათვის: ხოლო უკეთე აწ სადმე იპოვნენ კინმე გეგ კითარინი, იგინი სჯულიერად ცოდნებრად ნუმცა შე-რაცხილ არიან.

ო. მეომეტა ღვთიერობაგებულისა მის და ღვთის განმა-მწარებელისა ცოდვათა უბილწესა საძაგლებისა სოდომელთასა, რომლისა არა კუწეთ, თუ კითარ შეეთვისა იგი უსადრუესა

ამას ნათესავსა და სირულიად განაშონა და უცხო ჰქონდა და საგან.. უკელიშან სულმან ქაისტიანემან მართლ-მადიდებელმან, რომელმან შემდგომად ამის ძეგლისა წარკითხვისა არა იჯმნას ბილწისა მას ცოდვისაგან... კი, ჩემნდა არღარა გურთხევა, არამედ გდე მამ და მხილება დაიმპიდოროს საუკუნოდ!

## თ ა ვ ი XII

თამარის მოღვაწეობა.—აშენება გარდის მონასტრისა  
 და სხვათა ტაძართა.—ცნობანი ქართველთა ტაძარი—  
 მონასტრების იურისალიმს, სინას, სახერმწეოს და  
 სხ.—დაარსება ტრაპეზიუნტის იმპერიისა.

ბერნიერნი დღენი საქართველოს ჰქონდა და უძ-  
 ლეველის თამარის მეფობის დროს. მან თვისის გამჭრიახო-  
 ბით და სიბრძნით მტკიცებ შეაერთა და შეაკავშირა ყო-  
 ველნი ქართველნი. მაყაც მხედართა გონიერად მოხვარე-  
 ბით დაიპყრა ყოველნი მიღამონი შავი და მასპის ზღვი-  
 სანი და შიშის ზარი დასცა ისმალთა (თურქთა), სპარსე-  
 ლთა და სხვათა. თამარმავე დაიპყრო მცირე  
 აზია <sup>1)</sup> და დაარსა აქ ტრაპეზიუნტის იმპერია, რომლის

1) მიზეზი ამისა იყო ბერნენთ იმპერიატორი ალექსი ანგელი,  
 რომელმაც ოვისის სიხარბისა-გამო თამარისაგან დასჩენერებულთ  
 ბერნენ ბერნეს წაართვა ყოველივე, რაც მიჰკონდათ საქართველოდგან  
 თამარის გრძელებით იმერთა ზარი მიუხდენ ბერნენთა და ერთი შეტე-  
 ვით აიღეს ტრაპეზიუნტი, ლიმონი, სამსუნი, სინოპი, კრისუნდი, ქი-  
 ტორია, ამასტრია, ლერაკლია პაფლალონით და პონტი. აქ თამარმა,  
 როდორც ესოქვით, დაარსა ტრაპეზიუნტის იმპერია (1204 წ.), რომე-  
 ლიც არსებობდა 1461 წლამდე. ტრაპეზიუნტი აღშენებულია ბერნენთ—



გამცებელია დასეა თვისი ნათესავი, ძეელადგან საქართველოში გადმოსახლებული ბერძნოთა იმპერატორთ ჩამომა- ფალთაგანი ანდრიანიკაშვილი. პსეთი სიძლიერე ჰერინდა თამარსა გარეშე საქმეებში.

რაც შეიხება თამარის მოღვაწეობას ქართველთა ერის წინ-სცლისა და წარმატებისათვის, ამის აღწერას და დაწელილებით გამოიგებას მეტად დიდი დრო მოუნდება, ამი- ტომ ჩვენ აქ ალექსიშნავთ მნილოდ ამ საკურიველი დედა- კაცის უმთავრეს საქმეთა და მოღვაწეობათა.

ზამეფებისავე თანა თამარმან, როგორც პატრიოტი და მამამან ქეყნისამან, წინ წამოაყენა და მფარეველობა და- უწყო უოველთა ნიჭიერთა და სწავლა-მეცნიერებით აღწუ- რებილთა პირთა. რაც ძალი და ლონჯ ჰერინდა უოველი შეცადინეობა იქმარა მიეცა მათთვის შეძლება, რათა თვისი სწავლა და გამოცდილება კეთილდად მოეხმარათ მამუ- ლის წარმატებისათვის. პრინცის მფარეველობის და მა- მობრივი საუბრულის გამო<sup>1)</sup> საქართველოს გამოეხარდ- ნენ შესანიშნავნი და უკადავნი მოღვაწენი, როგორც სა- მხედრო წილებაში, ისე ხეროში და სასულიეროშიაც. მოანდ და ზექარია მხარეზე მეღრის გელები—სპასალარნი საქართვე-

---

გან. იმპერატორმა აღრიანშა გათხრებინა აქ დიდი ნავთ-საუბრული უს ქალაქი ერთ დროს ეჭირათ გოტებსა, მეტრ ან საუნეს გენუ- ლებსა და იყო და არის ეხლაც საგაჭრო ქალაქი.

1) ამ შეგვიძლიან აღუნიშვნელად დავტოვოთ ის გარემოებაც, რომ თამარის გამოცდებამდის წინა მეფეებისაგან უკვე რამდენათმე იყო მომზადებული ის ნიადაგი, რომელიც დაც ნიჭიერია თამარმა აღმოაცენა და დამცველია ძლიერი სამეფო საქართველოს, ერთად ერთი ნავთ-საუ- ბრული მაშინდელი დროის აზისს უკვე ქრისტიან ერთოვის საზოგადოდ.



ლოს ჯარისანი, შოთა რუსთაველი, ჩახრუხაძე, შავთელი და იმ დროინდელი გუნდი სასულიერო წოდებისა უკვდავნი არიან ქართველი ერის ისტორიაში და სახენებელი მათი საშეილი-შეილოდ გადაიცემის. თამარის დრო (1184—1212 წ.) ოქროს ეპოქად არის ჩაწერილი საქართველოს ერის ისტორიაში.

მს დრო ჰეშმარიტად იყო დრო ქართველთა სულიერის და ზეობრივის ზრდისა და წარმატებისა. ამ დროს დაიწერნენ უკვდავნი თხულებანი, იქმნენ საკეირველონი ძლევანი მრავალთა საქართველოს მტერთა ზედა, გაშენდნენ ქალაქ-დაბა-სოფელნი, <sup>1)</sup> დიდი და მრავალნი ტაძარ-მონასტერნი და მათთან ერთად სკოლანი ხალხის გასანათლებელად, გაფანილ და გათხრილ იქმნენ რუწი, არხნი <sup>2)</sup> ურწყავ აღვილების მოსარწყავად და მოსაშენებლად; ქვეყნის დასაცავად მტრების შემოსეებისაგან მაღალ მთების მწვერვალთა ზედა აგებულ იქმნენ კოშენი, ციხენი, თხრილნი, გამოქვებულნი, საკეირველნი გალავანნი და კარები; ეკლესიის საქმეების განსაწმენდელად და გასაუმჯობესებლად მცხეთაში მოწვეულ იქმნა კრება სასულიერო პირთა,

1) სხვათ შორის, თამარქა ააშენა ქალაქი თამარა-შენი ლიხა-ხვის ხეობაში. ეს ექლდა სოფელით. ააგო სამების ტაძარი აღმაზნის მარცხენა ნაპირზე, დაბა აღლვანში, საცა მას ჭრინდა მშენებირი სასახლე. დასრულა აღშენება გარძის კლდეში გამოკეთილი მონასტრისა, აგრძოვე გამშევნეორა გაენათის მონასტერი და სხ.

2) უგელაზე დიდი არხი, მისგან გაყვანილი, იყო ის არხი, რომელიც აღმაზნიდამ შირაკის ურწყავ აღგილების სარწყავად გაყვანილური. ექლდა არხი გაუშემუშალისა და რამდენიმე მილიონი მანეთი დასჭირდება მის განახლებას.

  
 რომელიც ჩინებულად აღზრდილ იყვნენ პრესტიჟის მთაწმიდელის სკოლაში — თბილისში.

ჩენი მონასტერ-ეკკლესიანი იმდენად მდიდარნი და განწყობილნი იყვნენ, რომ თამარი საზრდოს მიაწედიდა ხოლმე ბერ-მონაზონთა, მონასტერ-ეკკლესიათა უცხო ხალხთათაცა: ბერძენთა, ასურელთა და სხ. თამარმა აღმენა, განახლა და შეამკო ტაძარ-ეკკლესიანი ქართველთა აგრეთვე პალესტინას იერუსალიმს, ძვიპრეს, ანტიოქიას, პთონს, საზოგადოდ საბერძნეთს და მცირე აზიას. უკლა ამათ ხაზინის მიწვდის გარდა «უყიდნა შესავალნი და შესწირნა მამულნი და სოფელნი.»

შემდეგი შეგენიერი ეპიტაფია მოკლედ გადმოგვცემს მთელს შინაარს თამარის მოლეაწეობისას:

«უძის აკაგე საუდარი, უწელოსა წეალი კადინე;  
 ისპანს დაუსდევ ბეგარა, სტამბოლს სარავა ავილე; \*  
 თეთრს ზღვაში რენა ჩაჟაგდე, სმელეთი ჩემსკნ მოვიგდე;  
 ამდენი საქმის მოქმედმან ცხრა ადლი ტიკილე წაჟაფრე 1)

1) თამარი ადესრულა 1212 წ. 18 იანვარსა და ჭმარქია გაენათის დიდებულს მონასტერში.

თამარის ფულზე აწერია შემდეგი:  
 «დედოფათა მაღალ-ხარისხოვანი  
 დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა  
 თამარ, ასული გიორგისა,



მშ თავის დასასრულში მოვიყენ ცნობებს იმ მონა-  
სტერ — ტაძრებზე, რომელიც აქვთ ქართველებს გარეშე  
საქართველოისა. <sup>1)</sup>

ა) ჯეარის მონასტერი იერუსალიმში <sup>1)</sup> აღმენებულა  
მეოთხე საუკუნეში მირიან მეფისაგან. უბოძებია მისთვის  
ადგილი დიდი ძონის ძონის, ბერძენთა და რომია მეფე-  
სა. მავევე მონასტერი და სხვანიცა განამდიტრა მეფე ვახ-  
ტანგ ზორგასლანმან და მეფე ბაგრატ III-მა საფუძვლით-  
გან განახლა, განამშვენა და შესწირა მას დიდი მამულე-  
ბი საქართველოში. ამავე მონასტერისათვის მრავალი იღვა-  
წა შავთის მცხოვრებმა ბერმა პროხორემ, რომელიც სი-  
კვდილამდის სცხოვრებდა იერუსალიმში, ჯეარის მონა-  
სტერში. როდესაც მონასტერი დაძველდა, მაშინ იერუსა-  
ლიმს მიეიდა მოხუცებული შოთა რუსთაველი, დამუშერი  
«ვეზნეის ტყაოსნისა» და დაადგრა ჯეარის მონასტერში;

### შემდეგი მესსიისა

ღმერთმან ადიდოს ძლევანი მისნი.

(იხ. ნუმიზ. ბარათავა).

1) მშვენიერნი და დაწვრილებითი ცნობანი საზოგადოდ უკვდა  
ტაძრებზე და კერძოდ ქართველებისაზე აღუწერია ეპისკოპოსს პორფი-  
რის თავის წერილში: „О надпис. въ Иеруалимѣ и др. мѣ-  
стахъ православнаго Востока.“ ქართველთ ტაძრებზე ნაჩვენები  
წარწერანი (ამ წერილში) განხილუავს 3. ოსელიანს და აღუბერძია  
„საქართველოს მახარებლის“ ნოემბრის №-ში 1865 წლისა.

1) ამ მონასტერს დღესაც თბილისში აქვს თვისი კუთხნილი სა-  
ყდარი (მეტოქი), წოდებული «ჯეარის მამად», აგრეთვე მოელს სა-



მას განუახლებია იგი და შეუწირავს მისთვის კუჭმლებაზე კუჭმლების სიმდიდრე» და „თვითცა ეიღო გარდაცვალებადმდე თვის-სა ყოფილ-არს მუნ, ლოცვითა და ვეღრებითა ღვთისა მი-მართ აღსრულებულ არს და მუნვე ჩვეარის მონასტერსა შინა დაფლულ არს, სადაცა სახელიც მისი არს მუნვე კი-დელსა ზედა დახატული და ჰევის ეირე მოდლენდელად დლედმდე.

ბ) იაკობ პლევეზის ათორმეტთა მოციქულთა მონასტერი აღუშენებია ზიონგი I-სა, საქართველოს მეფესა. „ზარაფხანა მეფეთა მუნ ყოფილა ამ მონასტერსა შინა... ქრითამისა მიცემითა თურქთა ეს მონასტერი წართვეს ქარ-თველებსა და მისცეს სომეხთა.“

გ) შპ. ნიკოლოზის მონასტერი ქახთ-დედოფლის მლენესაგან (მლისაბედი) არის აშენებული. ტიმოთე მიტ-როპოლიტი თავის მოგზაურობაში (128 გვ.) სწერს ამ მონასტერზე: „წმიდის ნიკოლოზის მონასტერი ქახთა დე-დოფლისა, მლენე ყოფილისა მლისაბედისაგან 1) აღუშენებულია; წმ. ნიკოლოზ თეით მჯდარა მუნ; სენაკი მისი მუნ ყოფილა.“ მკლებისა კანკელზე შემდევი წარწერაა: «წმიდაო ნიკოლოზ, მეოს-ექმენ წინაშე მრისტესა ქახთა

ქართველოში მიწები, ბალები და მამულები. უველა ამას განაგებს ბერ-ძენი არჩიმანდრიტი, რადგან ჯვარის მონასტერი იქრესალიმში ეჩლა ბერძენი ხელშია.

1) ელენე იუ დედა მეფის გიორგისა, რომელიც აგრეთვე იწა-ჭებოდა ლეონად. ქმრის სიკვდილის შემდეგ ელენე 1492 წ. მოლო-ზნად შეიმისა და წარვიდა იურესალიმს და იქვე აღესრულა.



დელფალსა მღენეს, ყოფილსა მღისაბედს» (იხ. ჩოხატავის მამათ-მთავრის მონასტერი, სადაც მსაც შესწირა მამამნ მისმან. ტიმოთე ამბობს (157 გვ.), რომელ თავადს პაშიძეს ზიორების დარღვეული ესე მონასტერი განუახლებია ახალს საუკუნოებშით. ამასვე პმოწმობს წარწერა: «ესე მონასტერი მამათ-მთავრის პბრამისა განახლებულ არს საფასითა იმერლის ზიორები პბაშიძისათა 1700 წ.»

ვ) წმ. მოანე მახარებელისა და მოციქულისა და დეოს-მეტადელისა მონასტერი აღუშენებიათ საათაბაგოს პთაბაგებს. მს ყოფილა დედათ მონასტერი და აქ ცხოვრებულან ქართველნი მოლოზანნი, ხოლო ეხლა ფრიანგთა უპყრიესთ. ამავედ არის წარწერა: «მრისც ღმერთო, შეიწყალე მოანე მსანაძე.

გ) ვასილის მონასტერი ჭეარის მონასტერითან ახლოს აღუშენებიათ პმირინდო პმილახორს და მაყას.

ჸ) მეორე წმ. ნიკოლოზის მონასტერი ჭეარის მონასტერითან ახლოს აღუშენებიათ პაატა და მაიხოსრო წულუკიძეთ,

ც) წმ. მეოდორეს მონასტერი აღუშენებიათ ბექანს და ბაალურ ჩოლაყაშეილებს ჭ (ტიმ. 157 გვ.). წარწერანი მოგვითხოვენ: «ჩოლაყაშეილსა შადორსა და მათთა ძმა-თა და ძმ-ს. წულთა ცოდნანი მათნი შეუნდნეს ღმერთშინ. ამინ. წმიდაო მეოდორე შეუნდნე ჩოლაყა... ამინ. მათ-



სა ფრასა შიოს შეუნდნეს ღმერთმან. ამინ.“ მორჩე წარწერა: «ღმერთო და წმიდაო თეოდორე, შეიწყალე ირუბაქისძე... ლავას შეილი ცოდეილი ბენა. მე საყდარი აღმართა მშობელთა შესანდობელად, რათა იქმოდენ აღაპსა თევდორობის პირველსა შაბათსა წმიდათა მარხეათასა. შორინიკონს ტკე» (1635 წ.).

(1) წმ. პირველ მოწამის ქალწულისა თეკლას მონასტრერი აღუშენებია ჭვარის-მმის არხიმან ლრიტს შჩისტეფორე ზედგინიძეს და იმის მამეულთ ნათესავთა.

(2) მონასტრერი წმ. გიორგისა ურიათ უბანში დადიანთაგან აღშენებულია და «მოსახსენ ებელი მათი მუნკე არს.»

(3) მონასტრერი მირქმისა დედათ მონასტრერი აღუშენებიათ რაქის მრისთავთა.

(4) წმ. დიდისა მოწამისა ღიმიტრი თესალონიკიულის მონასტრერი აღუშენებია შენის მრისთავს შალვას და სტ.

(5) მონასტრერი დედათი წმ. დიდისა ქალწულ-მოწამისა მკატერინასი ვანასკერტელის ციციშვილის ამილბარისა და მაჩაბელთაგან არის აღშენებული. ტიმოთეს მისელის დროს (მე XVIII საუკ.) ამ მონასტრერი უნახავს იღუმენია ანჩაბაძის ასული, ორი მოლოზანი კახელნი, აგრეთვე იმერელნი და «ყოველზიე მას მონასტრერსა შინა მცოდნი ქართველნი.»

(6) ბეთლემს არიან სამშირველონი ქართველთანი.

(7) ქლაქ ქერისსოს (საბერძნეთში) იყვლის ეკვლესის მარმარილოს ქვაზელ აწერია ქართულად: „წელსა... ლვთვ-გვირგვინსანსა შეფობასა მიხეილ პალეოლოლისა... აღიშენა ქართველთაგან.“ აქვე მაცხოვრის ერთ



დაძვლებულ ხატზე პ. იოსელიანს წაუკითხავს: „შრისტე  
შეიწყალე ცოდვილი შილქნელ ეპისკოპოსი დაით, რო-  
მელმან მოვაწიგ აქა ქორონიკონს კდ.» (1336 წ.)—1768  
—1778 წწ. აქ მჯდარა ქართველი ეპისკოპოსი ზაბრიელ  
ლვან კითხელი, იმერელი <sup>1)</sup>).

(1) ათონის მონასტერ-ლავრა, საცა ითა' გმნა სამ-  
ლვთო წერილი, როგორც უკვე მოვიხსენიეთ.

აქვე მოვიყვანთ შემდეგ ცნობებს:

ზემოარე მოხსენებული პროხორეს ლუსუმა ასვენია  
ჭერის მონასტერში და თეთი პროხორეს სურათი დახატულია  
მის კედელზე. აქვე ხატიან: მირიან, მახტანგ ბორგ-ასლანი,  
ბაგრატ III, ქათოლიკოსი აფხაზთისა მაქსიმე, თფილისის  
მიტროპოლიტი მლისე, მანვლელ არხიეპისკოპოსი თეო-  
დორე, ბერიელი, ჭერის მამა ნიკიფორე, შარიამ ქართ-  
ლის დელოფალი, დაღიანი ლეონ თვისის მეულლით, პა-  
ტა და მაიხოსრო წულუკიძენი.

აქვე ცხოვრებულიან წმიდანი და გამოჩენილნი პირ-  
ნი: მღვდელ-მოწამე მოსე ქართველი; მღვდელ-მოწამე მა-  
რი ქართველი, ღირსი მამა იოანე პირჭიმელი, პეტრიწად  
წოდებული. მას კახეთში, ქალაქ ბრემში ჰქონდა სკოლა  
და ასწავებდა მოწაფეთა: ფილოსოფიასა, ლეთის-მეტუე-

1) 3. იოსელიანი ამბობს (ყოდ. ნ. ჩელ. გვ. 20), რომ ქა-  
ლაქ იერისის მიწათმიში მე XI საუკუნეში ქართველთა მეფეთ დაასა-  
ხლეს 42 კორდი ქართველი მონასტერთა ჯოგების მოსავლელად,  
მიწის შესაბუბრებლად და ბალების მოსაშენებლად. აწ ეს ქართველინი  
სრულიანულ შეერთებულინი არიან ბერძნებთან და აღარ გაიღევიან მათ-  
გან.



ლებასა, ელინურისა ენასა, ასურულისა, არაბულში და სხვა ენებისათვის აქვე უცხოერიათ მრავ. სხვათა მოღვაწეთაცა.

ზამებულან მუნ:

20 მელისსა სალომე, რომელიც მიუღებლობისათვის მაპმაღიანობისა შეუპყრიათ სარაცინთა, ცეცხლითა და მაჭვილითა უტანჯავსთ და მოუკლავსთ.

19 მეტომბერს ნიკოლაოზ დეალი, რომელიც თურქთა დასწევს ცეცხლითა.

23 მელისსა მღვდელ-მოწამე ლუკა აბაშიძე, რომელსაც მრავალი წვალების შემდეგ წარპევეთეს თავი აფითოთა.

ბატონიშვილი თეიმურაზი თავის საქართველოს ისტორიაში (გვ. 294) ჩვერის მონასტერზე მოგვითხრობს „შემდეგს: „არიან მრავალნი წიგნნი ქართულნი, თარგმნილნი ბერძნულით, ასურულით და არაბულით ჩვენთა ღია ასთა მამათა ქართველთაგან, ჩვერის მონასტერსა უმრავლესნი არიან და იციან მუნ ვიდრე მოდლეინდელად დღემდე და სხვათაცა მონასტერთა შინა ქართველთასა მერუსალიმს იპოვებიან წიგნნი ქართულნი.»

1) ოვით ათონის დიდებული ივერიის ლავრა, ეხლაც უსამართლოდ უტერიათ ბერძნენ ბერძნებს და ქართველებს აღარც კი უშედებ შიგ. ქართველნი მოღვაწენი ეხლა იქვე შორი-ახლო ძველი მონასტერისა აშენებენ ახალის საგანეს. ხოლო ძველი თვისი საკუთრება — ივერიის ლავრა ჰქამართლით უნდათ დაიბრუნონ. ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლისა რესეფისამ, ალექსანდრე ალექსანდრეს ქ' III-მ ბევერითად მოისმინა საჩივარი ქრისტიანულ ბერძა, აღუთქეა შემწეობა და საქმის გათავესამდე დაუნიშნა უოვალ წლიური საჩუქარი.



შველა ეს წიგნი, სენებული მონასტერი და კულტურული ცენტრი ეხლა უცხო ტომთ ხელშია მართველთ მო-  
ლეაწეთა ეს მონასტრები ოსმალთა დევნისა გამო სრუ-  
ლიად დასტოვეს. დატოვება მათი მოახდა არა უწინარეს  
მე XVIII საუკუნისა. 1523 წელში მოგზაურს ნემეცს ბაუმ-  
ბირტეს სოლომონის ტაძარში, სხვათა შორის, უნა-  
ხაეს ქართველი მოღვაწენიც, რომელთაც ხარისხით და  
პატივით სჭერიათ მეოთხე აღგილი შემდეგ რომალთა,  
ბერძენთა და სირიელთა. სანუკი (Hist. des Croisades)  
ამბობს, რომ მარტო ქართველებს პქნდათ უფლება გა-  
შლილ დროშებით უხარკოდ მერუსალიმში შესვლისა.  
მერუსალიმის წმიდა აღგილების მოსალოცავად შიშვლელს  
ახლევინებდენ (სულხ): ლათინს 14 პიასტრსა (გროშსა),  
ბერძენს 7-სა, არაბთა და მისირიელთ 3, ხოლო ქართ-  
ველთ და აბისიენიელთ არაფერს (იხ. Օრელიგ. ი. იული.  
იუსტ. გრივ. მე XVII საუკუნეში, წერილი აკადემიკის ბრო-  
სესი).

### თ ა ვ ი XIII.

საქართველოს ასტრეპა სპერსთა და მონგოლთა-  
 გან.—წამება: შალვასი, ათთა ბევრთა მოწმეთა, მეფე  
 დამიტრი თავდაცებულისა.—გადაწევა ქვაბთა-ხევის  
 მონაცემისა.—ფრანგობის მქადაცებელნი საქართვე-  
 ლოში.—მოღაწეობა მეფის გიორგი ბრწყინვალისა,  
 ალექსანდრესი, დამიტრისი.—განაწილება საქართვე-  
 ლოში სამ სამეფოდ და სუთ სამთავროდ.—დამ-  
 ხობა ბიზანტიის და ტრაპეზიუნტიის იმპერიათა.—  
 ვაპის მოხელეთ მეცადინება ქართველი გაფრანგე-  
 ბისათვეის.—საათაბაგოს გამცემელად ინიშება გა-  
 მაჟმიდიანებული უგარუვარე ფაშა.

თამარის მოადგილე მეფეთ ქვეყნისათვის და ქრის-  
 ტიანობისათვის ზრუნვა არ ეხალისებოდათ. მს იყო მიზე-  
 ზი, რომ ხალხის მოძღვარნი და მსახურნი, მოკლებულნი  
 მეფეთ წყალობას და მფარველობას, ზნეობითად დაეცნენ  
 და შეიქმნენ ანგარ და ვეტელ-მოკვარენი. საუბედუროდ,  
 ამავე დროს საქართველოს აღმოსაზღვრენ ახალნი მოერნი  
 —მონგოლნი, რომელთაც ჩინგის-ყაენის წინამძღვალო-  
 ბით დაიპყრეს, თითქმის, მთელი პზია, რუსეთი და მოად-  
 გნენ საქართველოსაც. ჰატარა ერი თუმცა მამალურად  
 შეებრძოლა გუნდსა მორისასა, მაგრამ მისის სიმრავლისა-



გან იძლია და შეინიშნა კავკასიონის მთის კალთებ-ღელებ უმაღლეთი ებზი. მტერმა გადასწევა და პირქვე დასცა ჩვენი ქვეყანა. სალარც ერთი ტაძარი, ალარც ერთი შენობა ცოცხალი აღარ გაუშეა. თვით დიდებული მცხეთის სამთავრო ტაძრისაგან დარჩა მხოლოდ მისი საძირკეელი. პატივისცემისათვის საკურიელის და ღიძად ქებულის წმ. ნინოსი დაუნგრეველ-გაუოხრებელი დასტოვეს მხოლოდ ბოლბის ტაძარი წმ. შიომრეისა ნინ ას საფლავზე, მაგრამ ისიც არა უკნებელად. ვინც კი ქრისტიანი წელთ იგდეს, თავები დასკრეს და მათგან ააგდეს სამუჟთხიანი გოლოლნი. ამისთანა სამწუხარო და. სავალალო დროს, როდესაც „ჩემთვის ცუნდრუცებდეს ყოველნი მტერნი ჩემი, ჩემთვის ჰერახეი-დეს ბოროტსა“ (ფსალმ. 40—9), მეფე რუსუდანის შემდეგ საქართველო გაიყო ორ სამეფოდ: მეტერთისა და მართლისა; მალე დროში იმერეთის სამეფო განაწილდა შემდეგ დამოუკიდებელ სამთავროებად: მდიშისა (სამეგრელო), ბურისა, აჯახეთისა, ხეანეთისა და ჭიქეთისა. სამეფოს დასუსტებისაგამო შაბარდოში, ჭიქეთში, მსეთში და აფხაზეთში სრულიად მოისპოვ ქრისტიანობა, რომელსაც უფრო მწარე დღენი დადგა შემდეგში, როდესაც ბრძოლის საჩინიელზე აღმოჩნდა საშინელი თემურა ანუ თემურ-ლენგი; მონგოლთა წინამძღვრი.

როდესაც მონგოლნი შუა-გულ აზიდამ შემოებრძოლნენ სპარსელებს და სხ. მაშინ „ვერ შემძლებელმან ჯელადლინ, სპარსთა მეფემან წინა-დადვომად მონგოლთა, ეითარ ძლეულმან მათგანმან, ელტოლეა კმეულ-ჰურ სპითა, დედა-წულითურთ და მგზავრ მოსრულმან სომხეთისა შინა, ალაოხრა ყოველი მხედრობაი სომხეთისა“.

მაშინ დედოფალმან რუსულან წარგვაუნა მაშეცელი გვიჩრები  
მიანე და მისი ძმის შალვა პხალციხელების წინვებულების  
ლობით, მაგრამ ეს ჯარი იძლია და თვით შალვა და-  
ტუევებულ იქმნა. რამდენიმე წელიწადს შალვამ ტუეობაში  
დიღი ტანჯვა და წვალება გამოიარა. მცენინი სცლილობ-  
დნენ, რომ მას დაეტყვა სჯული მრისგესა და მიეღო მაჭ-  
მადიანობა, მაგრამ ყოველი მათი მეცანინება აშაოდ  
დარჩა. მაშინ პოწამესა ჭეშმარიტებისა „ჰევემდეს უწყა-  
ლოდ მუკერეფა; მეტმელა საპყრობილება შინა შეაყენა და  
პირად-პირადითა მძეინვარითა ტანჯვითა გაუცდილმან აღა-  
სრულა სრბად მარტვილობითი“ (1227 წელს). შალვა  
ჩევნი ეკულესისაკან შერაცხილია წეიდანად <sup>1)</sup>). იმავე  
ზელადინზა სომხეთში გასწუვიტა, თითქმის, უველა შეცოვ-  
რებნი, მეტმე შემოვიდა მბილისში და გასწუვიტა ასიათასი  
ქრისტიანე. ბელაბრის ხიდზე გადმოპკიდა სიონის ლეთის-  
მშობლის ხატი; რომელი ქრისტიანც მას არ შეაფურთ-  
ხებდა და არ ჰემობდა, იმას ხიდიდან წყალში—მტკეარში  
ჰყრიდა. შრისტიანთ სისხლი, ისტორიის მოწმობით, ქუჩებს  
რუებრ სდიოდა. პლატ ერთი სახლი დაუჩინებელი არ  
გაუშეა, თეით სიონის სობოროს გუმბათი ძირისა ჩამოაგდო;  
ამ დროს წამებულ იქმნენ ათნი—ბევრნი <sup>2)</sup> მოწამენი

1) ანტონ ქათოლიკოზესაგან თქმული იამსიკო შალვაზედ:  
„შალვა განმმედრი, უხორცოთ მტკერთა;  
სიმხნით აღადგენს, პრძოლათა მრავალ-ფერთა;  
მოიღეს ძლევათ ღირისადმი და საჭერთა;  
ეგ სახედ ჯილდოს, ანგელოთ საჭერეტ-სამზერთა;  
სისახლით ზიარ-ქმნილ, ქრისტეს შესაფერთა.“

2) იმისაგანვე თქმული ათა-ბევრთა მოწამეთა შედა:



თბილისა შინა 1289 წ. შრისტესთვის ეწამა პროფ-  
ნისაგან ხალხის საყვარელი მეფე დიმიტრი თავდადე-  
ბული, რომელიც ხალხს შეუყვარდა უურიო იმიტომ, რომ  
, „ლამით ჩაიცავდა ხოლმე კაბა-ჯუბასა, წავა და ინახუ-  
ლებდა საწყალის ხალხის უბანსა; მოიკლიდა ქვრივ და  
ოხერს, დავრდომილსა და ობოლსა. თავის ხელით ური-  
გებდა მოწყალებას და საზრდოსა.“ „და ამიტომ „ერი, ბერი,  
ობოლ-ქრიფი სულ იმის დღეს ლოცულობდა“.

თვით თემურ-ლენი შვიდ-გზის შემოვიდა ჩერნი ქვე-  
ყანაში და რაც დაშორილი იქნ წინადელი აოხრების  
შემდევ და რაც ხელ-ახლა აორნძინებულიყო კველა  
გააოხრა, გაანადგურა. „შვიდ-გზის მიიღო ქართლმა (სა-  
ქართველომ) ქნებად მისგან (თემურისგან) მახვილისა მიერ  
ტყვეობისა და ცეტლისა და შენობითთა საფუძვლთა  
აღმოყრისა.“ „მრთი შემოსეებს დროს თემურმა ერთ დას-  
ტას თვისის ჯარისას უბრძანა გაეოხრებინა მონასტერნი და  
შენობანი, თუ კიდევ დაშორილ იყვნენ საღმე მიყრულ-  
ბულს ადგილებში. ამ დასტამ მიაგნო მეაპთახევის დეთის-  
მშობლის მონასტერს, რომელშიაც მტრის შიშისა-გამო  
ჩაკრილი იყვნენ: „გარემო მახლობელთა მონასტერთა-  
განნი მონაზონნი, მრავალნი მამანი და დედანი, ახნაურ-  
თაგანნი და მღვდელნი და დიაკონნი და თვით მონასტ-  
რისა მის ძმანი.“ მტრის სიმრავლემ შეამტკრია კარები

---

„მარტივთა შენთა რისხვ ას გზის ათასი;  
აღმოჰსტევის შენი სამელი რა მათ ასევი;  
მიიღეს სურვილით იგი სასმიაჭ თასი,  
სადაფის ფერად, ჰსპეტეს ფერ სათასი,  
ერთად მოიგეს, სამეფოდ ცათასი.“



მონასტრისა, რომელიც ჯერ გაუარცა სრულიად და შეი-  
მე კარები ჩაუყენტა და გადასწვა შიგ მომწერლებული ხალ-  
ხითურთ <sup>1)</sup>.

ასრეთი სოფლის ღელვა, სპარსელთა, ოურქთა მოა-  
გოლთა შემოსევა იყო მიზეზი, რომ დედოფალი რუსუ-  
ლანი 1239 წელს მიიქცა მძლავრის რომის პაპა ბრიგორი  
მე IX-დმი და სთხოვა შემწეობა. პაპამ უპასუხა, რომ მე  
ოვითონაც გაჭირებულს მდგომარეობაში ერთ და ძალიანაც  
რომ მინდოდეს შველა, მაინც ვერ გიშველი, რადგან ჩე-  
მი ჯარი საქართველოში ვერ შემოვაო: გზები საჩაუინთა  
აქვთ დაკვერილიო. ამის შემდეგ პაპა აჩევას აძლევს რუსულანს  
დაემორჩილოს მას და შემწეობის მავიერ ჰეზავნის საქარ-  
თველოში 7 ბერს ძმათა მქადაბელთა გუნდისას (fratres  
praedicatorum), რომელთაც მთელი ქართველთა ერი,  
პაპის ფიქრით, უნდა დაემორჩილებინათ რომის წმიდა ტახ-  
ტისათვის. რუსულანმა ბრიგორისაც ისეთივე ცავი უარი  
განუცხადა, როგორიც მის ყოფილ მოადგილე პაპს მეო-  
რიოს III-ს, რომელიც აგრეთვე სცდილობდა ქართველთ  
გაფრანგებას.

1289 წ. პაპა ნიკოლოზ მე IV-მ კიდევ გამოგზავ-

<sup>1)</sup> ანტონ ქათოლიკოზის მიერ თქმული იამპიკო წამებულთა-  
ოვის ქვაბთა-ჩევის მონასტერსა შენა:

„ქვაბთა-ჩევის წმიდა, სამხოლოო ივანი,  
მჰელებისა პირშოთასა საგვანი,  
საკურთხეველი მსხვერპლთა ზეცად ამევანი,  
დაწელთ ნაბეჭდინი, კელელ-იატაკ-ქევანი,  
ჩევინდა საქადულ, მენ მსხვერპლი საღმრთო დაწევანი.“



ნა საქართველოში სჯულის მოძღვარნი — ფრანგი<sup>1)</sup>, რო-  
მელნიც მეგობრულად მიიღო საქართველოს მეფემ მახტანგ II  
და ნება დართო თბილისში დაეკრძინათ საკუთარი საე-  
პისკოპოსო. წინ ამძღვარი ძმათა მქადაგებელთა იყო ზღო-  
რენტინის ეპისკოპოსი ჩოანე.

ზორბგი ბრწყინვალის გამეფებიდამ (1318 წ.) საქარ-  
თველომ ცოტა შეისცენა გარეშე მტერთა შემოსევისაგან.   
მიზეზი იყო ბრძენი მეფე ზორბგი, რომელმაც მთელი სა-  
ქართველო ხელ-ახლა შეატა, მრავალგან დაამარცა და  
განდევნა მტერბი და გახდა მეფედ სრულიად საქართვე-  
ლოისა, რომელსაც გაშენება დაუწყო. მის შემწეობით  
მკიორცხლთა და გონიერთა ქართველთა მაღლ დროში კი-  
დევ ააგეს ტაძარ-მონასტერნი, ციხე-გალავანნი, ქალაჭი  
სოფელნი, დასთესეს მინდორ-ველნი და მრაშენეს ვენახნი.   
თეთო მეფე სკულილობდა ხალხის დაცემულ ზნეობის ამაღ-  
ლება-გაუმჯობესებას. მანვე მთიულთათვის შეადგინა საე-  
რო კანონები.

უკანასკნელი შემოსევა თემურ-ლენგისა მოხდა  
1395—1400 წწ., რომელიც გათავდა ქართველთა და  
მონგოლთ შერიგებით <sup>2)</sup>). ამის მიზეზი უფრო იყო ისა,

<sup>1)</sup> თუმცა საქართველოს დახავლეთიდამ არ მოხდიოდა შემწეო-  
ბა ქრისტიანთა ხალხთაგან, მაგრამ ქართველნი იმდენად გაპრაზე-  
ბულნი იყვნენ სარაცინებზე, რომელ დედა-წელითურთ ჰერიდათ  
ამნედრება ევროპის ჯართან ერთად წინააღმდეგ მტერთა დასაცემელად  
სარწმუნოებისა და თვისის ხალხსნობისა (ვინცენცი).

<sup>2)</sup> მონგოლები ანუ თათარნი თუმცა ქრისტიანების დაუძინებელი  
მტერები იყვნენ, ქართველ ხალხს ვაუგაცობისათვის, სხვა ხალხებთან  
შედარებით, ვატიკას სცემდენ. ქართველთ მოგზაურთ წმიდა ადგი-



რომ მონეოლთ აღუჩინდათ საშინელი მტკრი—შაიაზელი, რომლის დასამარცხებლად მონეოლინი გაეშურნენ მცირე პრისკენ.

1389—1445 წ. ქართველთა მეფენი, როგორც მხედართი შრისტესი გულ-მოდგინებით ებრძოლენ მტკრთა შრისტესთა და სცდილობდნენ ეკვლესის აღორძინებას. ბრძოლი ქათოლიკოსებთან ერთად მიუენი: ზოორგი VII, პასტორინი, ალექსანდრე I და ვახტანგ IV აშენებლენ ტაძრებსა, აშვენიერებლენ გაოხრებულ მონასტრებსა და სცდილობდნენ ქრისტიანობის დანერვებს იქ, საცა დროთა გრძელებსაგამო ხალხი გადუდეა შრისტეს სჯულსა. შველაზე მეტი ამ შეფერაგან იღვაწა ალექსანდრე I. მს დაუღალავად შრომობდა თავის ქვეყნისათვის. შოველი კუთხე საქართველოსა მს სცნობდა თავის კუთილ მოძღვრად, პატრიარქად და გამხნევებელად. მან, სხვათა შორის, აღალენია დანგრეული სამთავრო, სეეტი ცხოველის მცეთის ტაძრი. რამდენიმე წელიწადს ხალხს სრულიად ხარჯი არ გამოართვულა თეთიონ თავადაზრუნებით იკვებებოდნენ თვისის საკუთარის შრომით. სასულიერო პირთა ზეობის აღსაღევნად მანვე მოიწვია კრება მცხეთაში და ვლორენტიის სასულიერო კრებაზე მიწვეულმა.

---

დავში არ არმევდნენ ხარჯეა. ოსმალნთ და მისინის სულტანთ იმდენად დათასებული ჰყვანდათ ქართველი, რომელ ქართველთ ტუვეთაგან ადგენდენ თვის ხაკუთარ ამაღლას ანუ ჯარს, რომელსაც უემდეგში ეწოდა მამელუკის ჯარი. მიხეილ ნეანდერი (XVI საუ.) ჰემიტონის, რომელ ქართველთა ვაჟაცობა, გულოვნის, სიმტკაცე ქრისტეს სჯულისადმი ამდენი უძევურებების უემდეგ აგირვებს მოელს დასავლეთსაო (ევროპა).



შესარიგებელად აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკულესიათა, შემდეგითიან გაგჩაენა მიტროპოლიტი ზრიგოლი (ზრისებს თქმით სოფ-რონი), რომელმაც არ მიიღო დადგენილება კრებისა და გამოიქცა საქართველოში<sup>1)</sup>.

ბოლოს ჭამს თვითის სიცოცხლისა პლექსანდრე ბე-რად შედგა, იწოდა პთანასედ; მცხეთის ტაძრის გვერდით აიშენა ეკველერი, მეფობა გადასცა თავის შეილს ვახტანგს (1442 წ.) და თვით მრისტესთვის დაიწყო მოღვაწეობა. შეილიც და მამაც დახოცნენ 1445 წელს. გამეფება ზი-ორგი მე VIII, რომლის მეფობის დროს საქართველო ტრულიად გაიყო სამ სამეფოდ: მართლისა, მახეთისა და მცერეთისა და მ სამთავროდ: აფხაზეთისა, ოდიშისა, ხვა-ნეთისა, ზურისა და სამცხისა (საათაბაგო). ამასთანავე მცერეთისა და ლიხს იქითი სამთავროებისათვის დაარსდა ახალი საქათოლიკოსო კათედრა მუთაისში. მუთათელი

<sup>1)</sup> ფლორენტიის კრებაზე დაესწრო ტრაპეზინტის მიტრო-პოლიტიან საქართველოს მიტროპოლიტი გრიგოლ ერთი თავადი-თურით. გრიგოლ, როდებაც ნახა სურილი პაპისა და გაიგო მისი ჰარემი საქართველოს ეკატერინის შესახებ, იდუმალად გამოიქცა საქარ-თველოში და ხელი არ მოაწერა კრების განჩინებაზე (Древ. биб. Т. VI. გვ. 33—36). ამასვე ჭმოწმობენ დასავლეთის მწერალინა და თვით რუსეთის პატრიარქი ნიკონი (ЛНТОП. по Никонову списку, т. V; გვ. 145) გორაცი ჯუსტინიანი ამბობს (გვ. 72—73): საბერძნეთის და ლათინთ ეკალესიების შესარიგებლად მოწეველის კრებაზე ქართველთაგან გაიგზავნა 1438 წელს იმერიის მიტროპოლიტი და მასთან მეფის სანდო კაცი მჭევრ-მეტუველი; ამათ ხელი არ მოაწერს გარდა უკვეტილებაზე (იხ. ი. ი. რელიგიоз-ისტ. Груз. до XVII) გვ. 141, წერ. ბროსესი).



აკურთხებდა შეთაისში იმერთა მეუეთა და დამოუკიდებლად შემწყსილა იმერთ სამწყსოთა. ამ დროიდანვე ჰყონდი-დელმა<sup>1)</sup>, მეფის პირველმა ეჭირმა დაპქარება თვითი მნი-შეველობა არათუ პმერთა სამეფოთათვის, არამედ იმერთა სამეფო-სამთავროთათვისაც და პმართავდა მხოლოდ ჰყონ-დილის ეპარქიას.

ამისთან უჩედურ დროს საქართველოს ეკკლესიის გამამარწყინვებელად გამოაჩნდა მეუე ღიმიტრი, რომელიც ბერად შეიმოსა (დაერქეა ღამიანი); მას თვისის მაღალ ზნეობრივის ცხოვრებით და მაგალითებით უნდოდა განემა სხვებინა სასულიერო წოდება და დაცალიერებულ მონა-სტრებში ისევ დაესახლებინა ბერ-მონაზონნი. მაგრამ ყო-ველი მეცადინეობა ღამიანისა და სხვათა ველაზ შეველოდა ქვეყანასა, მით უმეტეს, რომ 1454 წ. სრულიად დამზრა ბერძენთა იმპერია და მაგირ დაარსდა ოსმალთა სამეფო ანუ სასულონო, რომლის სატახტო ქალაქად შეიქმნა დი-

---

1) ჸყონი მეგრულად ჰქვიან მეხასა. წარმართობის დროს სამეგ-რელოს სოფ. მარტივილში მდგარა ერთი დიდი მეხა. რომლისათვისაც თაუგანი უციათ მეგრულთა. ქრისტიანობის დროს დაუშრიათ ეს მეხა და მის ადგილას აუგიათ საეპისკოპოსო საყდარი და პატიკისცემისა-თვის ქრისტიანობის გამარჯვებისა წარმართობაზე აქე დაუშესქმიათ კათედრა ჸყონდიდელოს (1001—1015 წ.) ამ კათედრაზე ინწევდენ იმისთანა კაცს, რომელიც ცნობილი იყო თავის მაღალი-ზნეობით და სწავლა-განათლებით. «ჸყონდიდელის ხელისაწინი იყვნენ ქვრივ-ობოლო-ნი, დაფრთხომილნი, უსამართლო-ქმნილნი, შეწუხებულნი და შეჭირ-გაბულნი. ესე აუწყებდა ამათვის ყოველსაც მეფესა; ესევ იუ მწი-გნობართ უწუცესი და ყოველთა სამეფოთა მწერალი; ესევ მისცემდა მეფისაგან პრძნებასა ეკკლესია-მონასტერთა და ლაშეართა მოწევად,



დებული ქოსტა ტინეპოლე, სტამბულად წოდებული. რო-  
დესაც ოსმალთ შეკიდრად ფეხი მოიდგეს საბერძნეთში,  
შემდევ გამოიყიდნენ მცირე აზიაში და 1461 წ. დაამხეს  
თამარისაგან 1204 წ. დაარსებული ტრაპეზუნტის იმპერიაცა  
და მერმე წამოვიდნენ საქართველოსკენ ქრისტიანთა ხალ-  
ხთა გასაწყვეტად ანუ გასამაჰმადიანებლად.

ამისთანა საშიშარ დროს კათოლიკეთ ბერნი, ქრის-  
ტიანთა ერის შეელის მაგირ, სკოლობდნენ საქართვე-  
ლოში გაეცრცელებინათ საკათოლიკო სარწმუნოება <sup>1)</sup>.  
მათის ჩაგონებით მეცე ქოსტან ტინე მესამე კიდევ შემწე-  
ობას სთხოვდა პაპა პლექსან დრე VII, რომელიც შემწეო-  
ბის მაგირ უფრო აქცებდა თავის სჯულის მქადაგებელთა  
საქართველოში და ტიუბინგენის და მარტინ კრუზისთან  
ერთად სკოლობდა ქართველთა ერთ დაემორჩილებინა  
თავის ტახტისათვის. მაგრამ უკელა მათი ცდა დაშთა ხმად

და მათთა სამშეირნოთა მოხსენებად მეფისა; ესევე იყო ღია შეკრიბისა  
უაშესა პატიოსნისა ჯევარისა მძღვანებელი წინაშე სპათა და ბრძოლისა  
უაშესა უკან მსვლელი ანუ ჩახთავილი და ახალ წელს მაკვლევი მეფი-  
სა (გარეშე). პირველ იანვარს, უწინარეს ცისკრის ღოცვისა, უკე-  
ლევდა მეფესა ჭიონდიდელი ჯევარისა და ხატისა და სამეურლისა მე-  
ფესა და დედოფალისა და სანკუარისა შაქრისახასა“ (გარეშე) ისტ.  
გვ. 14).

1) საკათოლიკო სარწმუნოება მართლმადიდებლობითი სარწმუ-  
ნისაგან მით გაირჩევა მხოლოდ, რომ იმის წარმომადგენელი არის  
პაპა, რომელსაც ქრისტეს მოადგიდებდ ჭხადან, სარწმუნოების სიმ-  
გლოლოშია დამატებული: „მრწაში სული წმიდა, რომელი მამისაგან და  
ძისაკან გამოვალს.“ აგრეთვე მღვდლებს შეულლების ნება აქვთ და  
წვერის დაუკენება კი ჭანონიერი არ არის.

ମହାଲାଲେଖେଲାଦ ଉଦାଦନିମୂଳା ଶିଳା. ମପ୍ରେଟିଲି ସାହାତ୍ରିହିନୀଙ୍କିର୍ଣ୍ଣ  
ପାଥରୀ ବୁଝି ଶୈଶବଧ୍ୟେକେଲାଦ ଲାଖିତା, ତୁମିତ୍ରା ନିଗ୍ରୋହିତତା ମିଳି-  
ତା ମନ୍ଦିରାଘେତା ନିର୍ମିତିରେ ହରମିଳି ରାତ୍ରିରେ. ଶୈଶବ ପ୍ରାଚୀନ ଉତ୍ତ-  
ରିତ ମେଘାଦ ଶାତାପାଗରୁପ ମପ୍ରେଟିହେଲି.

ମିଳିଲ ମିଳେବି ଶୈଶବକ୍ଷିରା ଏତାବିଗ୍ରହ ଶ୍ଵାର୍ଯ୍ୟାର୍ଥୀ. 1580 ଫ୍ର.  
ଶ୍ଵାର୍ଯ୍ୟାର୍ଥୀ ଲାତ୍ର୍ୟେବେଦୁଲ ବିମିନା ଲାମାଲାମାଗାନ ଲା ମର୍ମକ୍ରାନ-  
ତ୍ରିନ୍ଦିପାଲାଶି ମାନ ମିଳିଲା ମାତ୍ରିଲାଦିନରିତା ଲା ଦାନିନିଶିନା ଅବାଲା-  
ପିକିଲ ଫାଶାଦ. ତୁମ୍ଭିନିକ୍ରମିଲ ମାତ୍ରିଏଲେଖେଲିତା, ଲାକ୍ଷମିନିମି  
ପାଶିମ, ଅନ୍ତରିକ୍ଷିମ, ଧେରଲାକିମ, ଅନ୍ତରିକ୍ଷିମ, ଶ୍ରୀଜ୍ଞାନପ୍ରମିଳା ଲା  
ଶରୀରଜ୍ଞାନମିଳା ମାନକ୍ରିନ୍ଦେ ମାନକ୍ରିନ୍ଦିମ ହାତାଗର୍ବନ୍ଦେ ଶ୍ଵାର୍ଯ୍ୟାର୍ଥୀରେ, ରା-  
ତା ନେବା ମିଳୁଥା ତୁମିଲି କ୍ଷେତ୍ରେକ୍ରିଲମିତାତ୍ତ୍ଵରେ ମିଳିଲାତ ଶାକା-  
ତାଲିକ୍ରେ ସାର୍ବଭୂତରେବା. ଲା ମିଳିଲ ମିଳେବି, ହରମେଲ ଏବଳା  
ମିଳେବି କାନିତାପ୍ରେଲି କାତାଲିକ୍ରେ ଅବାଲପ୍ରିକିଲ ମିଳାର୍ଥେବି.

## თ ა ვ ი XIV.

ქართველნი კუშელიან დევნულთა პერძენთა. — არც-  
 დესა ახტალას ბერძენთ საეპისკოპოსო. — სპარს-  
 ოსმალნი იყოთენ საქართველოს. — მაჟმაღანინბა  
 ფეხს იდგამს მთის ხალხში და საქართველოს  
 ზოგი-ერთ კუთხებში. — ამისთანა დროს ქრის-  
 ტიანინას უწინდებიან თვისნი სვეტინი. — წამება:  
 გარეჯის მოღვაწეთა, მეფე ლუარსაბისა, ქეთევან  
 დედოფლისა და სხვათა.

საბერძეთის იმპერიის დამხობის შემდეგ საქართვე-  
 ლოს არა თუ საიდანმე შემწეობა არ მოსდიოდა, არამედ,  
 თვით უშემწეოდ დაშთენილი, სხვა ხალხებისათვის, შეძლე-  
 ბისამებრ, უნდა შემწეობა მიეცა. როდესაც ოსმალთა ჩატევა  
 და დევნა დაუწყეს ბერძენთა, მაშინ ისინი მოიქცინენ საქარ-  
 თველოს მეფეთაღმი და შეელა სთხოებს. მეფეთაც მიპატი-  
 ბით გაჭირებულ მდგომარეობას და დასახლეს იგინი სომ-  
 ხეთში, საცა მათთვის დაწყესეს საკუთარი საეპისკოპოსო სო-  
 ფელ. ახტალის (ახტალის ბერძენთა ეპისკოპოსი ემორჩილე-  
 ბოდა საქართველოს ქათოლიკოზს და ეს კათედრა არსებობდა  
 1827 წლამდის და ბოლოს უკანასკნელის ეპისკოპოსის  
 იოაკიმეს სიკედილით სამუღამოდ მოისპო საეპისკოპოსო  
 კათედრა ახტალისა).

როდესაც მოანგოლთა ზღვები ღელვა შეჩერდული იყო  
დესაც რუსეთი, ოსმალეთი, სპარსეთი და საქართველო  
განთავისუფლდნენ მათ ხელიდამ, მაშინ ქართველთ მცირე  
ერი—ერი უმშევნიერესი ყოველთა ერთა შორის, მქონებელი  
უმშევნიერესის და მდიდარის მიწა-წყლისა და  
უტყბილესის მრისტეს სარწმუნოებისა, შეიქმნა საკილობელ საგნად სპარსთა და ოსმალთა შორის. მრხავე  
ამ ურჯულო ხალხსა უნდოდა თვისი გავლენა და უზენაესი უფლება ექონია საქართველოზე, და, რადგან ქართველნი არ ემორჩილებოდენ არც ერთსა და არც მეორესა, ამიტომ ისინი შემოისეოდენ ხოლმე საქართველოსა, არბევდენ და აოხრებდენ ქვეყნასა. რადგან საქართველოს დამორჩილება, მათი ჰაზრით, შეუძლებელი იყო,  
თუ ამ ქვეყნაში ქრისტიანობა არ მოისპობოდა, ამიტომ იგინი ყოველ გვარ ღონის ძიებას ხმარობდენ, რათა მიეღებინებინათ მათთვის მაჰმადიანობა. ნიშნად თევისის გამარჯვებისა მეფეების და წარჩინებული პირების გამაჰმადიანება მიაჩნდათ. მს არის მიზეზი, რომ მე XVII საუკუნიდამ მოკიდებული საქართველოში ეხედავთ მრავალ გამაჰმადიანებულ და აგრეთვე წამებულ მეფეებსა.

ცილობა სპარსთა და ოსმალთა 1624 წ. დასრულდა  
მით, რომ ამერეთი დარჩა სპარსელთა მფლობელობაში,  
ხოლო იმერეთი და საათაბაგო ოსმალეთის მფლობელობაში.

ამნ აირად ორთავე საქართველოს მტერთა მეცადინეობით მაჰმადიანობამ ფეხი მოიღეა დალისტანში, ჩეჩენში, ტავეთში, ჩერქეზეთში, სენეთში, აფხაზეთში, ლაზისტანში, საათაბაგოში და შაი-ბბაზ II-ს შემოისეის (1642—1667 წ.),



მახეთის აობრების და 100,000 ქართველის აუზის და შუაუგებულობის გულ სპარსეთში გადასახლების შემდეგ (ამას წმოწმობს მუსეუმმანთ ისტორიკოსი ისაკანდერ შენჭავა-- თიფლის ვხ. ისტორიკ. ი ათნოგრ. ი თხ. დ. ბაქაშაძესა და ნ. ბერძენივისა) მაპმაღიანობა გაერცელდა ჰერეთშიაც (საინგილო) და აქ მაპმაღიანობა უფრო დამკაიდრდა მაშინ, როდესაც ოსმალთ და სპარსელთ ქომაგობით ლევნი ჩამოვიდნენ მთიდამ და დასახლდენ ვარბელაქანში<sup>1)</sup> და დაარსეს თეისი საკუთარი მმართველობა.

ასრე ქრისტიანობა საქართველოში დარჩა საშინელ მოწების ხელში: მსმალთა, სპარსთა, ლევთა, ჩერქეზ—შიქთა და მრავალთა სხვათა ქრისტიანობის მოსისხლეთა მცირეთა ზედ-გაელენაში.

1) ჭარი (ფიფინეთი), ბელაქანი, კაკი და მიღამონი მათნი ქ. ნუხამდის, რომლის ახლოს სოფ. გოუში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი, ძველი დროიდან ეყვითნოდნენ საქართველოს და აქ ჰუგავოდა ქრისტიანობა. ამის დასამტკიცებელ საბუთად, გარდა მრავალოთა და საკვირველთა ნაოხართა და ეპატლესია-მონასტერთა ნაშთთა, დაშორილოთა ყველთა წილთა და კალთთა კავკასიისათა და აგრეთვე მიღამოთა და ტყე-ლურთა აღაზნის გელისათა, ჩენ აქ მოვიყვან ცნობებს ამ ადგილებზე აგრეთვე ქათოლიკოზის მელქისედეკის სიგელიდამ, და-მტკიცებულიდამ დიდისა შეფის გაგრატ მეოთხისაგან (1027-1072 წ.) და სხვათაგან.

სიგელი ასრე იწყობა:

ქ.

, და შევსტელე სვეტი ცხოველი ოქროთა და ველილითა და შევსტელე წმიდა საკურთხეველი ოქროთა და ველილითა, თეაღლით და მარგალიტითა, და მოვსტელენ კანკელინი და ქარნი საკურთხეველისანი ოქროთა და ველილითა, და შევსტელე ქელნი ცხოვრებისანი ოქრო-



ზანაწილებული და რამდენიმე ნაწილად გამოყენებულია საქართველო ამისთანა საშინელ და სამწუხარო მდგომა-  
რეობაში არასტროს არა ყოფილა, რადგან იმ ადგილებ-  
შიცაც, საცა ქრისტიანობა ჯერ კიდევ არსებობდა, სპარს-  
თა და ოსმალთ პოლიტიკურმა მოქმედებამ კეთილ-მარწ-  
მუნეთა მეფეთა, მთავართა, სამღვდელოთა და ერისთავთა  
შორის ჩამოაგდო შულლი, ურთიერთ სიმძულვარე და  
დაეიდარაბა.

თუმცა ასრუთი იყო მდგომარეობა ამ დროისა, მაგრამ  
მაშინ საქართველოს ერს მაინც მოეძეოდა მრა-  
ვალნი პირნი, რომელნიც კეთილად და ერთგულად  
ემსახურებოდენ მამულსა, სარწმუნოებასა და თვის  
გვარ-ტომობასა და მით სძლეველენ და აქარწყლებდენ ბო-  
როტ-განზრახვათა და მოქმედდებათა საქართველოს მცირთა


სანი ყოველნი თვალითა და მარგალიტითა და შესჭედე წმიდა ესე  
სამარტივილო ოქროთა და ვეცხლითა, თვალითა და მარგალიტითა და  
სმას შიგან დაუსვენენ ყოველთა წმიდათა ნაწილნი და ძელი ცხოვ-  
რებისა და დაუსვენე ხატი ოქროისა, რომელი მიბომა კოსტანტინე  
შეიძენთა შეფეხან და სამარტივილოსაგე შიგან დაუსვენე ხატი ესე  
წმიდას ღვთისმშობლისა, შემობილი ოქროთა, და მარგალიტითა,  
რომელი მიბომა გასილი ბერძენთა შეფეხან და . . . . . (ჩამოთვ-  
ლილია ხატთა რიცხვი) . . . , ქათოლიკოზის შეუწირავს კიდევ წმ.  
ჭრიჭელნი, წიგნი, რომელთა რიცხვი მისი მოწმინდო , ესე წიგნე-  
ბი, რომელ მე დამიწერია ჯუმლად არს თავი კე. “ შეუწირავს აგრე-  
ოვე შესამოსელნი და შესამოსავალიად მცხოვის ტაძრისათვის მრავალ-  
ა ტაძართა სოფელ-ქალაქთა შორის შეუწირავს , პერების მონასტერი  
და და გაკე ვაჭარნი და ზიარი სოფელი დიღი. ” (იხ. ჩებინოვის ქრისტ.  
გვ. 203-208).



ამ გვარნი პირნი იყენენ:

სხვათა შორის, მთელი გუნდი ზარეჯის მოწამეთა.

შმიდანი ესე ძმანი ზარეჯისანი ეწამნენ წმ. ალდონის  
დღესა სპარსთა ჯარის დანაშთენთაგან. „დამწუებელთა  
ლოცვისა ცისკრისათა იწყეს ლიტანიობად გარემო ეკკლე-  
სიისა სიმრავლემან წმიდათა მამათამან და ხელთა შინა  
მათთა სანთელი აღნთებული და იხილეს შორს მდგომა-  
რე და დამალულ ბარბაროსებმა სანთლის შემწეობით  
კრებული იგი საღმრთოი, წარეიდეს მათ ზედა. მსრეთ  
ზედა—დამსხმელთა ბარბაროსთა ეკკლესია გარეშეიცვეს და  
წმიდა იგი კრებული უწყებულ-ჰყენები ეითარმედ, ანუ დაუ-  
ტევეთ მრისტე, რომელსა აღიარებთ და მოსულნი ჰსჯუ-  
ლისა-დებისა მომართ მოციქულისა ჩეენისა დაემკვიდრე-  
ნით ჩეენთათა... უკეთუ არა ისმინოთ ჩეენი, აპა მახვილ  
ნი, აღმოხდილნი ხელთა შინა ჩეენთა, რომლითა აღისპ-  
ნეთ, თვინიერ ერთისაცა თქვენგანისა განრომითო ცოც-  
ხალ-აღრე.“—მამასა მონასტრისასა და სხვათაცა ძმათა  
მტრისათვის მოუხსენებიათ, რომელ „ჩეენ სჯულის-დება-  
თა ცრუისა მის მოციქულისა თქვენისათანა არა შეეიწყა-  
რებთ და არცა დაუტევებთ მეუფესა ჩეენსა და შევალსა  
შრისცესა“... ზეაცადეთ, „ჭამად პასექისა მის უკედავისა...  
იპყრენით უკვე კარნი ამის ეკკლესიისანი ძლიერად... შე-  
მდევ დასრულებისა საღმრთოისა ლიტურღიისა, რაიცა  
გნებასთ, ჰყავთ.“ მართლაც, ბარბაროსთა დაუკდიათ  
მათთვის და ლიტურღიის შემდევ უკედანი დაუკლავთ და  
დაუხოციათ ტაძარსავე შინა, რომელიც სრულიად გაუ-



ცარცუფეთ და წასულან. ძეალნი ამა წშიდათაწინ გამოსულის სა-  
ინახებიან გარესჯის ეკვლესის ეკვედერის გამოქვაბულის სა-  
წნახელსა შინა <sup>1)</sup>.

აქვე მოეისენებთ წამებასა ნეტარისა მეფისა  
ლუარსაბისა.

ლუარსაბი იყო ძე მეფისა ზიორგი X <sup>2)</sup> და გამეფ-  
და 1605 წ. ამ დროს სპარსეთში ხელმწიფობდა შაჰი-  
აბაზ I, რომელიც საშინელი მტერი იყო ქრისტიანობისა  
საზოგადოდ და ქართველებისა კერძოდ. მას ამ დროს  
აქეზებდა და უფრო ამხნევებდა ლუარსაბის მტერი მოუ-  
რავი სააკადე. 1615 წ. შაჰი ურიცხვები ჯარით წამოვიდა  
საქართველოზე. მეფენი მახეთისა თეიმურაზ I და ქართ-  
ლისა ლუაზ <sup>3)</sup> ბ II მიიქცნენ იმერთა მეფისადმი, საიდამაც  
შაჰმა თვირთ მღიერნელობითა და მეგობრობის გამოცხა-  
ლებითა გ. ათბო ლუარსაბი, „მეფე თეიმურაზი კი ვერ  
აცოტუნა.“ ზიხარებულმა აბასმა ქვეყნის აოხრება მიანდო

<sup>1)</sup> ეკვლესისა პირ-შშოთასა ნეტარნი,  
აქა ზადიკობად მისრულნი ეკვლესიად,  
აღთვინდეს ფრთითა წამებისათა სიბრძნით,  
მუნასა მიმართ ზადიკისათვის აქათ  
და შეურთნეს ზენათა იერ-არჩთა.

ანტონ ქათოლიკოზი.

<sup>2)</sup> გიორგის ჰევანდა სამი ასული: ელენე, ხორეშან და თინა-  
თინ. ელენე მიეთხოვა რუსთა მეფის გოდუნოვის ძეს თეოდორეს; ხო-  
რეშანი მიეთხოვა კახთა მეფეს თე მურაზისა, თუმცა ასლონ ნათესავი  
იყო მისი, მაგრამ ასრე ჰსურდა შაჰსა თინათინი ჭარომეულ იქმნა  
აბაზისაგან თვის საცოლეებ (საქართ. ს ითხე)



თვისი ჯარის მეუფროსეთა და თვითონ კი ლუარსაბი წაიყვანა ისპანში და ლიქნითა ესე ჰქეება: „უკეთუ უარ-ჰკო ჰ-ჯული მჩ-სტესი და იქმნე მოსახელე მაჭადისა, დი-ლითა პატივ-გცე და მრავლითა დიდებითა გან-გიტეო ქვეყანად შერდა.“ ლუარსაბმა უარი უისრა, რის გამო ჟაპის ბრძანებით მეფე შირაზის საპურობილები ჩა- ეცს და, შეიღი წლის პურობილობის შემდეგ, გამოიყენეს მოედანზე და თავი მოჰკვეთეს<sup>1)</sup> (1622 წ.).

წამება წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთევან გახთ-დე-დოფლისა.

შეთევან იყო ასული აშოთან ბაგრატოვანისა, მე- ფის პოსტანტინეს ძის წულისა. დედ-კაცი ესე იყო განს-წავლული ფრიად და ბრძენი. შმარი მისი დაეით იყო ძე მეფისა ალექსანდრესი.

ბოროტა შაპ-პაზისა ჰსურდა მახეთის გჰოსტება. მისი ხელშემწყობი გამოიჩნდა. მს იყო ძე მახეთის მეფისა ალექსანდრესი, ანუ მაზლი შეთევანისა — პოსტანტინე, რომელიცა პატარაობითვე სპარსთა ხელმწიფის კარზე იზ-

<sup>1)</sup> „ეპალესითა უცვილი შეფე ქართლისა,  
ლუარსაბ მოიგნ, საჩინოდ აღმოჩეობს,  
ყოვლად-წელ ტანხელი, გულაბს პურისით მარტობს,  
შშეილდის თუ ხმე წვით თვისთა განვერმობს,  
მმიმეს მმიმეთ ჭრთავს, სულსა აღა-ღვთის-კარვებს.

#### ნიკოლოზ ტეოილელი.

დღესასწაული მისი 21 ივნისსა. წმიდა გვამი მეფისა ჭმარისია შირაზის. საფლავისა მისისაგან ეხლაც , სნეულნი მაილებენ ჟურ-ნებასა“ (ქართლ. ცხოვ).

რდებოდა და იქნებოდა გამაპმადინდა. თუ რათ ემსტეტიკული  
ძალანტინი მახეთის მეფესა და მასა თეისსა, შესა და ნახა  
ნახავთ შემდევში.

ასე აბაზი დიდ-მალი ჯარით გამოისტუმრა ძალა-  
ტინტინ მახეთსა და უბრძანა მოყვლა თეისი მამა, მმა და  
გამეფებულიყო მახეთში. ძალანტინ, მოსტანტინმა კახეთს,  
დაიბანაკა ჰერეთის (საინგილო) ქალაქ ბაზარს (ებლა  
გაოხრებული სოფელია) და აცნობა მოსელა თეისი მეფე, ა  
ძლევანდრეს.

გახარებული მეფე თავის ძით დაეითათურთ მაეკება  
ძესა თეისსა ძალანტინეს, რომელმაც თვისსავე კარავში  
ღალატით დაახოცინა: მამა თეისი ძლევანდრე, მმა  
დავათ და მხლებელი მათი: აბელ ანდრიანიკაშეი-  
ლი შორჩიბაში (მამა ადამ ხულონისა) და მმა აბე-  
ლისა მარიამისი რესთველისა. მერმე , სხეულნი იგი  
მართალნი აღჭიდნა აქლემთა ზედა და წარგზავნა ღავლ-  
ვად პლავერდს და შეჭრებულა მისდა (მეთევანისად) სიტყ-  
ვანი ყოვლად ულმრთოსა. მეპრი ნებისა თეისისა შეერთე-  
ბისანი, “ ეს იგი მეთევანსა, რძალსა თეისსა შეუთვალა,  
ჩემზე გამოთხვდიო. წმიდამან მეთევანმა, ღიღად შეწუხე-  
ბულმა ამა ულთოისა საქციელისაგან, დაასაფლავა ქმარი  
და მამამთილი თეისი და მერმე წარგზავნა ჯარინი ღასასჯე-  
ლად მაენისა. მართლაც, მახეთის ჯარისაგან იძლია ულ-  
ვთო ძალანტინ და მოკლულ იქმნა. მეთევანმა , ძალ-  
ლთა მიგდებადი იგი მძღოლი დაყროლებული ძალანტინე-  
სი პატივად თვისებისა თეისისა და გვარ-მალლობისა მის  
უკეთურისა დაფლებად უბრძანა” და ღიღი საჩუქრები გაუ-  
გზავნა შაჟა, რომელთანაც მძევლად იყო ძე დედოფლისა

თეიმურაზი და მიუწერა: „ვითარმედ, მეფეო, მომეც ძევ ჩემი თეიმურაზ, რამეთუ სახმარ არს მეფობისა შენისა მკვიდრი განგებად მეფობისა, რომელიც დამორჩილებულ არს შენდა, თუ არა სამეფო ესე განუდგეს ნებასა მეფობისა შენისასა და ერჩდეს სულთანსა საბერძნეთისათ.“  
 შაჰი, რომ არ დაკარგოს გაელენა მახეთზე, ისტუმრებს თეიმურაზს სამშობლოში იმ მოსაზრებით, რომ შევდევში მაინც სამაგიეროს გაღუნების კახელებსა.

შართლაც, მალე შაჰი დიდის ჯარით მოვიდა და, განჯაში დაბანაკებულმა, „მიაელინა მოციქულნი და სთხოვა წინდი და წარუგზავნა თეიმორაზი ერთი ძეთა თეის-თავანი, ჰსთხოვა კუალად წინდი და წარუგზავნა თეიმურაზ მეორეცა, შეჰსძინაო კუალად მესამედ ყევნმან და ითხოვა წინდი და წარუგზავნა დედად თეისი.“ დედა გაგზავნა მეფემან დასაწყნარებელად შაჰისა, რომელიც უმეტეს განძინდა, ტყვენი გაგზავნა სპარსეთში და თეითონ წამოვიდა მახეთის ასაოხრებლად. მახეთს დაადგა საშინელი წამება. თეიმურაზი გაიქცა მმერქთად და სპარსთა აღაოხრეს სოფელ-ქალაქი, მოსწყვიდნეს ეპისკოპოს-მღვდელ-დიაკონნი, გაელიტეს მრავალნი ქრისტიანენი, პირქვე დასცეს მკლესიანი და მრავალი ხალხი აპიარეს და გადაასახლეს სპარსეთში, საცა ძის ძენი შეთევნაისანი საჭურის ჰეკინგს და შეთევნილა უარ-ყოფისათვის მაჰმადიანობისა აწამეს: „მოვიდეს უკვე მტარებალნი იყი დედოფლისად, თანა მექონნი მრავალ-ნაკვეთთა რეკინათანი, აღატუინეს ცუცხლი და შთაყაჩნეს მას შინა რეკინანი განხურებად... ზანჭიმნეს ხელნი და მაჯანი, გლოხაკთა გამომზრდელნი... დაპგლიჯნეს მარწუხთა მიმართ ძუძუნი და დასდევეს წყლულთა მათ ზე-

და საჯნი, ლურსმანი იყნეს მრავალნი ქვეშე წმიდისა და  
 მათ ზედა განრთხმულ-იყო და ზედაცა დაჰყარნეს იგრივი მრა-  
 ვალნი... ბანაელეს მკერდით ზურგამდე შამუური... ჩაჭერა  
 შემოარტყეს... ბარნი შემოსდევს და აღმოახეთქეს თხემა...  
 ქაბი რვალისა დაჸდევს განსურებული თაესა ზედა...  
 სხეული წმიდისა დაწურეილი ძეირად შთავდეს მწერეთა  
 შინა... საჭმელად ძალლთა და მხეცთა. იქვე დასაფლავე-  
 ბული მისი სხეულის ნახევარი, წლის თაეზე იტალიანელ-  
 თა მონაზონთა მოართვეს მეიმურაზსა და მანცა ქართლ-  
 კახეთის სამღელელოებითურთ დიდის პატივით დაასაფლავა  
 ძლავერდის სობოროს ტრაპეზსა ქვეშე<sup>1)</sup>). დღეობად წმი-  
 დანისა დაინიშნა დღე აღსრულებისა მისისა 13 სეკუნძე-  
 რი. მწამა<sup>2)</sup> 1624 წელს (მახუშტი).

მეფეთა და წარჩინებულთა თავადთა გვარში იყნენ  
 აგრეთვე მრავალნი, რომელნიც ბერად შედიოდნენ და  
 თავის კეთილ-გონიერებით და ქრისტიანებრივის უმწიკულო

1) ეს ქრისტეს სძალი, ისაპ მშერლეალი ლალი,  
 არ ნათელ მცხრალი, არ ყვავილ ფერით მზრალი,  
 აქეს საღმრთო ალი, ვითა ცხოველი წყალი,  
 გული უძს სალი, მით დასცა მძღავრი მწყრალი;  
 ამას იქმს ქალი, ბენებით ჭირთა მკრთალი.  
 თხემსა ლამაზს ჰუოფს, საკაი ცეცხლო-მსროლელი,  
 ქედს ზედ-სადგარი, მანიაკ საუკვდავოდ,  
 მუძუთა საჯნი, ნაბერწყალ მკლოოლვარენი,  
 გულს ბარი, წელსა ჯაჭვებ განცხელუბული,  
 მუსეულო მარწეხნი, შემფერნი მხურგალენი.

• • • • •  
 ჰყანენ ქეთევანს შესაბამ სიძე სძლობის.  
 ანტონ ქათოლიკოზი.



ცხოვრებით მაგალითს აძლევდენ მცურთა და მტარ-  
ვალთაგან შეიწროვებულ ქრისტიანეთა. ამგვარნი პირნი  
იყვნენ: მეფის დე იმპერეტის სამეფოსა სიმონი, შემდევში  
ბიჭენიტის ეპისკოპოსი, ქათოლიკოსი პეტაზეტისა და იმე-  
რეტისა მალაქია ბაზაშიძე, ზენათის ეპისკოპოსი მელქისე-  
დევი, დე შეფის ძისა ბაგრატისა დაეითი, რომელიც ბერად  
შედგა, მეფის დე ზოორგი, რომელსაც ბერობაში ერქვა  
შერასმე, შეფის დაეითის ძმა ბაგრატი, ბერაბაში ბაჩნა-  
ბად წოდებული, მეფე ქართლისა ზოორგი, რომელიც  
სპარსელებმა მოსწამლეს, რადგან მან არ იჩვენება მაჰმა-  
დი, მეფე სიმონი, რომელიც მოსწრებული ისმალთა სრამ-  
ბულში, წამებული მღვდელი მანგლისისა მეოდორე და  
სხვანი.

<sup>2)</sup> ცხოვრება და წამება ამა წმიდანისა დაწერილი იქნა ქეთევანის  
წამების მხილეველთა ბერთაგან (იხ. მოხსრობა სპარსეტის და სა-  
ქართვ. არევლობის თაობაზე მ. დე პეტიონელის „ივერია 1879 წ.  
№ 7); შემდეგ მისივე ცხოვრება აღუწერიათ: წამებელის ძეს ოებმუ-  
რაზ I-ს, ქახეთის მეფეს არჩილს, გიორგი მღვდელმონაზონს გარე-  
ჯისას, ქათოლიკოზ ბესარიონს, პატრიარქეს ანტონი I-ს და ბოლოს  
1833 წელს ქეთევანის ისტორია გამოიცა პარიუში.

## თ ა ვ ი XV

სპარსელნი უმოღიან საქართველოში, იშერენ კა-  
 ხეთს და სახლდებიან აქ 80,000 კომლამდე.—  
 მტარგალობა სპარსთა.—ბიძინა, ელიზბარ, შალვა  
 და სწავლის მოღვაწენი.—მოგზაურობა საქართველო-  
 ში პატრიარქების პაისისა და დოსიფოზისა.—ქა-  
 რთველნი იურგალიშის ტაძრებს სწირავენ 150,000  
 პიასტრამდე.

შმწარესნი დღენი დაადგა ქრისტიანობასა და საქარ-  
 თველოს ეამსა ყენობისასა სპარსეთს უღმრთოისა შაპ-ბბას II  
 მცირისა და მის შემდეგ ვიღრე 1744 წლამდის, ე. ი.  
 მთელი საუკუნის განმაელობაში იწიწყნებოდა საქართვე-  
 ლო, რომელიც მრავალთა ტანჯვა-აოხჩებათაგან უკვე  
 ემსგავსებოდა წამებულსა გვამსა.

როდესაც შაპ-ბბაზ პირველისაგან აოხჩებული ქვეყ-  
 ნის შენება დაიწყეს ქართლ-კახეთში, მაშინ შაპ-აბაზ II-მ,  
 არა მსურველმა საქართველოს კეთილდღეობისა, „წარმო-  
 გზანა ურიცხვი ულუსი თათარნი დედა-წულითურთ მა-  
 თით და ფალავნებითა მათითა და ყოვლითა სიმდიდრითა  
 მათითა და თავად მათდა უჩინა სულტანი პრდალალისა  
 და იგიც ყოვლით სახლეულით მისით, რათა სრულიად  
 აღხოვონ ქრისტეანობა. მყის აღიძრებს და მოიწეოვნეს  
 კახეთად და დაიბანაკეს მუნ და დაემკეიდრეს იგინი და

აღიგხო სრულიად კახეთისა თემი (ქვეყნა), რამეთუ ვერა-  
ვინ შემძლებელ იყო წინა აღდგომად მათდა სიმრავლისა-  
თეს მათისა. იწყეს-რა შენებად ზემო ბახტრიანით <sup>1)</sup> ...  
ეიდრე ლანუხამდე (აწ დიდი და პატარა ზოინუფი ნუხის  
მაზრაში), რომელსა აწ ფარიპით უხმობენ, იმიერ და ამი-  
ერ პლაზნის პირსა და ყოველთა აღვილთა ქახეთისათა.“  
შევლა ამ აღვილებში დასახლებულთა სპარსელთა სახლ-  
ულობანი იყვნენ 80,000 კომლამდე.

ამ დროს ქახეთის შმართველად დროებით იყო ქა-  
თლის მეუე მაჭადანი როსტომი, პატარაობილგანვე გა-  
ზრდილი სპარსეთში, მერმე როსტომის სურვილისამებრ  
დანიშნულ იქმნა (1657 წ.) სპარსელი სალიმანი, კაც  
სასტიკი, უდიერი, მტარეალი. შრისტიანობა ჩაგარდა სა-  
შინელ მდგომარეობაში. მკალესიანი, მონასტერინი და-  
გრეულ, გაოხრებულ იქმნენ. ისლამთა მასწავლებელნი  
სდევნიდნენ და აწვალებდენ მღვდელთა, ეპისკოპოსთა,  
ქრისტიანთა, აგინძებდენ და სტანჯავდენ მათ. დიდი, ძე-  
ლი და შესანიშნავი პლავერდის ტაძარი შეიქმნა მაჭადიან-  
თა სამღლოცელოდ. მისი ძერჩაუ ხატი გაცარცულ და  
წალებულ იქმნა. მოისპო ქრისტიანობა პლაზნის ველზე  
და მხოლოდ ძენი მუშეთისანი, ვაჟ-ხევსურ-ტიანეთისანი,  
ჩაკრილნი მაღალთა კალთათა შინა კავკასიისათა, კა-  
ცევ აღვიარებდენ (რასაკვირეველია ცხადლივ) შრისტიანი.

<sup>1)</sup> „უტოს ხევის შესართავის პირის-პირ, ალაზნის აღმოსავლე-  
თის გადგეთა ზედა არს ციხე ბახტრიანი ანუ მაღრანისა... უსე ყოფილ  
არს დიდ-შენი და მაგარი, განა აწ უქმი (გახუშტი გეოგრ. გ. გ.  
320).

მაგრამ ამისთანა საეკლესიალო დრომაც ქართველნი სა-  
სოწარკვეთილებაში ვერ შეიყვანა. პიდევ იუვნენ მჩავალნი  
შრისტეს მხედარნი, რომელთაც იმედი ჰქონდათ გამოეხ-  
სნათ მამული და ჰქონდათ განსაკლელისაგან. ამგვარ პირ-  
თავან, სხვათა შორის, იუვნენ მილიზბარ და შალვა შენის  
შრისტაენი და ბიძინა ჩოლაკაშვილი, შმართველი ზემოისა  
ქახეთისა. ამათ იღუმალად ეხმარებოდა აგრეთვე არაგვის  
შრისტაენი ჭალი.

ზამოსტენლთა ამა მამულის შეილთა შეჰქობეს ჯარი,  
მოუწოდეს თუშ-ცუშავ-ხეესურათაცა, გადაეიღნენ ქახეთს-  
და დაეცნენ მტერსა და უდაუწყეს სრეა და ხოცა და  
ესოდენ ასწუყიტეს, ვიღრე სრულიად მოსპობადმდე და  
აოტეს და განაპნიეს და მოსრეს პირითა მახეილისათა  
და თვით სულლთან იგი, მთაერად მათდა ჩინებული, ძლიეს-  
ლა შეესწრა ცხენსა და მცირედითა ოდენ კაცითა ივლტო-  
და, დამტევებელი ცოლთა და შეილთა თვისთა; ხოლო მათ  
უოველთავე აწყვიდეს და იავარ ჰყენს და სრულიად მოს-  
პეს და განაპნიეს.“ სპარსელნთ, დაშთენილნთ ცოცხლად,  
ლტოლვილნთ უკუნ სპარსეთად, უოველივე მოახსენეს  
შაჰ-ბაზსა, რომელმაც უბრძანა მეფესა ქართლის შაჰ-ნა-  
იზსა ( ამ დროს მეფედ ქართლისა იყო ვახტანგი—გამაჰ-  
მალიანებული შაჰ-ნაიზი), რათა შეიცყრნას ბიძინა, მლიზ-  
ბარ და შალვა და წარუგზავნოს მას. ვახტანგიც მოიქცა ბრძა-  
ნებისა მებრ ყენისა. სამნივე ესე მხედარნი „განაშიშელეს და  
სიცხესა შინა შინისასა ჰაერსა ქვეშე განყარნეს, შეკრულნი  
ხელით და ფერხით და დაკლებულნი შიშიშილისა და წყუ-  
რებილისაგან განკაფულნი და ბუზთა და ბზიკთა მიერ უწ-  
ყალოდ წერტილნი“. შემდეგ ამისა მლიზბარს და შალ-



ეს „წევითა მათთა უხეთქნეს მახვილნი და მუხლთა ზედა  
დასცნეს ქვე და ეგრეთდა წარპკვეთეს თავნი მათნი.“ ბი-  
ძინა ჩოლაყაშვილს კი, მრავალის გამოცდისა და წევალების  
შემდეგ, ასო-ასო დასჭრეს სხეული და ისრე მოპკლეს  
(1661 წ.). საქართველოს ეკულების სამარივე ესე სანატ-  
რელი აღიარა წმიდანებად. დღეობა მათი დღე აღსრუ-  
ლებისა მათისა—18 სეკლემბერი. სხეულნი წმიდანთანი<sup>1)</sup>  
სამარივე ჰმარხიან იქორთას ტაძარში.

არა უკეთეს მდგომარეობაში იყო ქრისტიანობა ქარ-  
თლში. ჯერ როსტომის დროს ეყ მრავალნი ქრისტიანები  
სპარსთა ზედ-გაელენისა და შიშისა გამო იღებდენ მაპმადიანო-  
ბასა. თვით მეფე მფარველი იყო მაპმადიანთა. მს იყო მიზეზი,  
რომელ მეუეს მეუხავი, ქრისტიანეთ მფარველი, მართლის  
ტახტე თეიმურაზ I მსურეელი, განათლებული ქათოლი-  
კოზი მედემისი შეპყრობილ იქმნა როსტომისაგან და, რა-  
მდენიმე ხნის პყრობილობის შემდეგ, მაღალის ცხილმ ჩა-  
გდებულ მტკვარში. მაგრამ ჯერ არს აღნენიშნოთ,  
რომელ როსტომისაგანაც და მახტანგ—შაპ-ნაოზისაგანაც  
შევრი საქართველო საქმე გაკეთდა. პრათ შემდეგ გამეფე-

1) სამნი მარტვილნი, სამებისად შერმოლობენ;  
ერის მთავარნი იანი, ქსნის შპანეპნი,

შალვა თვით იფრთებს, ელისბარით აღისუფევენ.  
მატაკარანი ბიძინა, მათ წინა-მსწრობი,  
ახოთ განთვისით, სპარსობრივ იაპარი,  
შვერილით ნაჭვრად ნასხამთა ჭრმობს სიხარულით.

ნ ტფილელი.

ბულმა მრეკლე I<sup>1)</sup> გადააყენა სწავლული ქათოლიკოზი ნიკოლოზ და ბერი აენო ქრისტიანობას.

ჩენი ეკულესის მასწავლებელნი მაინც არა სცხრებოდენ და კოველ ღონისძიებას ხმარობდნ ქრისტიანობის დასაცელად. იგინი, როგორც შინ, ისე გარეშე საქართველოს

1) 1658—1669 წლამდის საქართველოში უმოგზაურნია იქრუსალიმის პატრიარქის პაისის, რომელიც თან ჭრილებია მოვლი სინკლიტი და გამოჩენილი ღოსითობის, რომელიც შემდეგ პაისის მოადგილის ნეკტარითობისა აღინდა ტატტის ზედა იქრუსალიმის პატრიარქისა. პაისი ლაზიკოთ, გურიით შამოხულა იძრინაში, ყოფილა მცხეთას, თბილისში, გელათში, ქუთაისში, მოქეში და კველებან უმოგზაურნია. მისი მეზავრობა დაწვრილებით აუწერია ღოსითობის თვის შესანიშნავს თხზულებაში ისტორია იქრუსალიმის პატრიარქთა (Bulletin Scientifique თარგ. მ. ს. სელენენგისა). ამას გარდა შესანიშნავნია ეპისტოლები თვით პატრიარქის ღოსითობისა საქართველოსადმი. პორველი ეპისტოლე იწყობა ასრულებული უდიდებულესო, უუბალდესო და მრავალ-მშენიერო, მეფე ქართლისათ, და ყოვლისა ზემოისა იძრინისათ, ბატონო კირ-ნიკოლაოს (ე. ი. ერეკლე I).. (პატრიარქი მოიკითხავს, კურთხევას უგზავნის, ჰესის მისოვის სიცოცხლე და დღე-გრძელობა). შემდეგ ამბობს: ბაგრატიონთ შთამომავლობა, ესე იგი კონილმასახური მეფენი იგერიისანი ჰელადგანვე იყენებ მფარეველნი და კტიტორნი წმიდასა და ცხოველს მყოფელისა ქრისტეს საფლავისა. მფარელები იმიტომ, რომ ბერძენი მეფეთ, მასირის მეფეებიან ომების დროს, იქრუსალიმის მონასტრები და შონენ აღუგველნ მხოლოდ ივერიელთ მეფეთ წყალისით; კტიტორები იმიტომ, რომ ბერძენ-ფრანგთა სარაცხიებოთნ ომების დროს ეს მონასტრენი სრულიად დაპველუბულნი იყენებ და ინგრედენტებ, მაგრამ, როგორც სჩანს ერთი ქართველი სიგველიდამ, შენახულიდამ წმ. გოლგოთაში, ქართველთ მეფეთ განუახლებით და დაუცავთ იგინი. შემდეგ ღოსითობის ჩამოსოფლის უველა შეწირულებათა ქართველობასა, რომელიც მისივე ჩვენებით აღმ



ლოისა, ეკულესის საქმეებში იღებდენ მონაწილეობას. მაგ. მოწოდებიამებრ ალექსანდრიი პატრიარქის პასისა საქართველოდგან მოსკოვში წინაღმდეგ ნიკონისა იგზავნებიან მიტროპოლიტი მპიფანე და არხიმანდრიტი პანოში.

---

შატება ვიდრე 150,000 პიასტრსა (გრაშა); კიდევ სონგვს მეფესაც და ერთაც, რათა მიაწოდონ იერუსალიმის მონასტრებს საჩუქარი, რადგან მათ დასდებიათ 100,000 პიასტრი ვალი. იერუსალიმის ტაძრებში წირვის დროს იხსენებიან: მეფე დავითი, დედოფალი ელენე, მეფე ერეკლე I, დედოფალი ანა, ქათოლიკოზი ევდემის, ოვალე, ლუალაბი და სხ. ერეკლეს თავის დედა ელენესთან გაუგზავნია იერუსალიმის მონასტრებისათვის ერთხელ 1667 პიასტრი, მეორეთ 1,000 პიასტრი (იხ. ბროშ. მისამართი იერ. პატრ. დისიე ვ. გრუზია გვ. 1—26).



მოღვაწეობა ვახტანგ მე VI-სა.—ტიპოგრაფიის დაა-  
რსება და ბეჭდგა მრავალი-გვარ წიგნებისა.—დავა-  
სპარსთა და ოსმალთ შორის საქართველოს ფლობისა-  
თვის.—ქრისტიანობა საშენელ მდგრმარებაში.—  
თეომურაზ II შევიდობიანობას ამყარებს.—იმრეთი-  
ჯგან იდენტიან ლამაღნი.—ქუთაისში ტიპოგრა-  
ფიის დაფუძნება.—თელავისა და თბილისს არსდება  
სემინარიის.—საქართველოს მოღვაწენი: ანტონი I,  
გაიოზი და სხვანი.—ქართველოს ბერნი აშენებენ ტა-  
ძრებს დარუბანდში, აშტრახანს და ყიზლარს, საცა-  
დაარსეს სასწავლებელიცა.

შეკვეთი დღენი დაუდგა საქართველოს მეფე ვახტანგ  
მე VI დროს. თვით ვახტანგი იყო ღეთის მოყვარე, კე-  
თილი, სწავლული კაცი. მან შეადგინა სჯულის კანონი<sup>1)</sup>,  
დამყარებული ქრისტიანების სარწმუნოების სწავლაზედ  
და ამან დიდად დაიტარა ხალხი გარუნილობისაგან და მაჰ-  
მადიანთა სწავლისაგან. მეფემ აღიყენა ქათოლიკოზის ტახტსა  
ზედა ხარისხ ჩამოხდილი ქათოლიკოზი ნიკოლოზს, (ღეთის-  
მეტავრი და ფილოსოფოსი) რომლის სიკედილის შემდეგ  
ქათოლიკოზობა მისცა ძმასა თეისსა ღომენტი III, რომ-  
ლის დახმარებით შეუდგა ეკკლესიების აგებას, დანგრე-  
ულთა და გაოპრებულთა მონასტერებთა განახლებას. მრის-  
ტიანობის დასამკეიდრებელად და სასულიერო<sup>2)</sup> წოდების

<sup>1)</sup> ეს კანონი შეიცავს:

1. თვით ვახტანგისაგან შედგენილ 276 მეტლთა.
2. ბერნენია კანონებს—სულ 420 მეტლი.



გასამხნევებელად შეღვენილ იქმნა კრება სწავლულთა პირთაგან. ამისთანავე პირთაგან შესდგა კომისია, რომელი  
მაც გამოიყენა და შეადგინა ისტორია საქართველოისა  
ზორები ბრწყინვალიდამ მახტანგის დრომდის. მრავალი  
საღვთო და საერო წიგნი 1) აღმცენილ იქმნენ პირვე-  
ლად საქართველოში მახტანგისაგან დაიხსებულ სტამბაში.  
აღმცენილინი სასულიერო წიგნი იგზავნებოდენ საქართვე-  
ლოს ყოველ კუთხისკენ ყველესია-მონასტრებში სახმარე-  
ბლად. მახტანგმაც დაარსა სასწავლებელნი, საცა ასწავ-  
ლიდნენ ყველასა, განუჩერჩეველად წოდებისა და ხარისხისა:  
სამრთო წერილსა, ფილოსოფიასა და სხ. პაგვარის მი-  
სის მოღვაწეობით, საქართველოს მონასტრებიდამ მაღლე  
დროში სწავლა-მეცნიერება დატრიალდა მთელს საქართვე-  
ლოში და ხალხი, ცოტა არ იყოს, მოსულიერდა, რო-  
გორც ზნეობრივის მხრით, ისე ნივთიერის. მახტანგმა მე-  
რაუსალიმის ტაძრებსაც მიაწოდა თები წელილი. მან მე-  
რაუსალიმის ქართველთ ტაძრებს გაუგზავნა 2,000 თუმანი  
(20,000 მანეთი). ქეთილთა ბერ-მონაზონთა ამისთვის მე-

3. სომენთა კანონებს—სულ 431 მუხლი.

4. მეფის გორგი VI კანონებსა—46 მუხლი.

5. აღმცენას კანონებსა, დაწერილია 1446 წ.—სულ 176 პ.

6. მოქალაქეთა, გმირულეფილთა დაბადებილამ—სულ 52 პ.

7. ქათოლიკოზთა კანონი, შედგენილი იმერეთის ქათოლიკო-  
ზის ევლემის II-საგან 1667 წ.—სულ 24 მუხლი.

8. აღგილობრივთა ჩვეულებათა, ძველებური დროიდგანვე დაშოუ-  
ნილთა ხალხში—სულ 74 მუხლი და სულ 1499 მუხლი.

1) ეს წიგნები არიან: სახარება, სამოციქულო, დავითი, დაბა-  
დება, ლოცვანი, ქართლის ცხოვრება, ეფთხებს-ტყაოსანი, სზელის

უკას გამოუგზავნეს სასწაულთ-მოქმედი ოქონის ღვთხს-მშობელი ბატონის ხატი, რომელიც ბოლო დრომდის ინახებოდა ზეა-  
ნათის ტაძარში.

სამწუხაროდ ყკლესისა და საქართველოისა, ოსმა-  
ლინი, რომელთაც ეპურათ დასავლეთი იქერია, გადმივიდ-  
ნენ აღმოსავლეთის ნაწილშიაც, გაიმარჯვეს სპარსელებზე  
და აღიყვანეს ქართლის ტახტზე გამაჭმადინებული იქსე,  
წოდებული მუსტაფა-ფაშად. ვახტანგი კი, ფრიად შეწუხე-  
ბული საქართველოს. უნუგეში მდგომარეობით, წევიდა  
რიცხვეთში <sup>1)</sup> შემწეობის სათხოენელად წინააღმდეგ სპარ-  
სთა და ოსმალთა. იქსემ ხელ-ახლა -გაავრცელა მაჭმადია-  
ნობა. ააგო მეჩეთები და მფარველობა დაუწყო მა-  
ვალიანთა. მრისტიანთა მფარველნი და უღვთო მეუის გა-  
მეორხავნი იყნენ ქათოლიკოზი ღომენტი და დაეით-ზარე-  
სხის უდაბნოს წინამდებარი იქანე სააკადე.

თუმცა სრულიად საქართველოს ჯერ-ჯერობით  
ჰულობდენ რსმალინი, მაგრამ სპარსელთ ფიქრადაც არ  
მოსდიოდათ მათთვის დაეთმოთ ეს ქვეყანა. იგინი ხშირად ყცე-  
მოდენ საქართველოს, აოხრებდენ ყკლესიებს და ატ-

---

ჭიდნ და მრ. სპარსი. ეს უკანასკნელი შემდეგში გადათარგმნილ იქ-  
ვა რუსულად და 1837 წ. დაიბეჭდა პეტერბურღში, სენატის ტიპო-  
გრაფიკაში (3. ოსელინი).

<sup>1)</sup> გახტანგისაგნ რუსეთისადმი მიმართვა პირველი მაგალითი  
არ იყო. შემწეობის სათხოვნელიად კახეთის მეფეთ: ალექსანდრე I-მა  
(1492 წ.), ალექსანდრე II (1587 წ.), თემურაზ I (1619 წ.) მიჰ-  
მარებს რუსეთის ხელმწიფეთ ითანე III, თეოდორე ითანეს ძეს და  
მიმაც აღუთებეს ოვესი მფარველობა და შემწეობა (იხ. ისტ. იო.  
Рос. Карам. т. VI, გვ. 250, т. X, გვ. 63).



